

პოეზია
მირანდა ერისთავი
რაულ ჩილაჩავა
გოჩა სხილაძე

პროზა
დავით ხარატიშვილი


ერითია
ადა ნემსაძე -
„კვაზიმოდოს ქალაქზე“

ახალი თარგმანები
უილიამ ფოლკნერი
ლეონარდო შაშა

საქართველო
1852
N5 2024

ლილიანა
ლილიანა





№ 5 // 2024

ლიცენზიანტური – სამთავრობო მუნიციპალიტეტი
ქუთაისი

მთავარი რედაქტორი
ამირან გომართელი

პასუხისმგებელი რედაქტორი
თამარ გელიშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა
მარინე სიყმაშვილი

დიზაინი
ირაკლი უშვერიძე

ქუთაისის გამოცდის
საქართველოს
კულტურისა და სპორტის
სამინისტროს ხელშეწყობით



საქართველოს კულტურისა
და სპორტის სამინისტრო
MINISTRY OF CULTURE
AND SPORT OF GEORGIA

ciskari1852@gmail.com
<https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/2>

სარჩევი

პოვინი		თემო ჭახნაკია	31
მირანდა ერისთავი	3	მასალები ქართული პოეზიის ლექსიკონისთვის	
რაულ ჩილაჩავა	8	წისქვილის თემა ქართულ	
გოჩა სხილაძე	13	პოეზიაში	
პროზა		წარმატებით პატარებს	
დავით ხარატიშვილი	17	მურად მთვარელიძე	39
ჰემატოგენი ჩემი არსობისა		მოთხოვბები	
პრიტისა-ცენტრის		ახალი თარგმანები	
ადა ნემსაძე	23	უილიამ ფოლკნერი	54
ომი, სიყვარული და სიძულვილი აბუქანიდან პარიზამდე (ნოდარ მაჭარაშვილის „კვაზიმოდოს ქალაქი“)		მიღმა ინგლისურიდან თარგმნა მედეა ზალიშვილმა	
		ლეონარდო შეშა	65
		ლვინისფერი ზღვა იტალიურიდან თარგმნა მაია ჭავახაძემ	

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ;
გთხოვთ, მასალების ელვერსია გადმოგზავნოთ ვორდის ფაილით;
უურნალის ყოველი ნომრის ელვერსია მომდევნო ნომრის გამოსვ-
ლისთანავე განთავსდება საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბ-
ლიოთეკის ციფრულ ბიბლიოთეკა „ივერიელში“ – <https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/2>

ძირანდა ერისთავი



●
თითქოს ფილტვებში გადის ოზონი,
ცაც მოსაწევად მსურდა მესინჯა,
და შენ კი, როგორც გრანდიოზული,
მოდიხარ ისევ მარტო მესიჯად

და ეძებ ჩემში დღემდე მოკეთეს,
თუმც მტრისათვისაც მზად ვარ – ვიომო,
თითქოს სულყველა კარი მოკეტეს
და ზეცის ლურჯი აკვარიუმი

თავზე დამემსხვრა. ჰო, არ ვამლაშებ,
შენზე ოცნებებს ვატარებ მუცლით,
ჩემ გვერდით ვხედავ მარტო მამაჩემს
და არ გაჩენილს სახელებს ვუცვლი,

როგორც იმედს და როგორც იდეას,
სანამ ვიღაცა ფრთებსაც მოაჭრის,
თუ გინდა სულმთლად განმერიდე ან
მოჰყევ სახლამდე გულის მოაჯირს...

გადავხლართულვარ შენში თასმებით
და გხატავ ჩემში ლამაზ ესკიზად,
ჩვენ ღვინოსავით სხვისთვის გვავსებენ
და თუ დაგვცალეს, ბოლოს, ეს გვიზამს

მას, რაც ქნა ამ დრომ ყველა მოკვდავთან,
 (დრო ყველას ჰყავს და ყველას ერევა),
 ვიღებ ცხოვრების ბოლო ოქტავას
 და ცას გიტოვებ, როგორც რევერანსა!

შე6

შენს სხეულს ვსწავლობ, როგორც ცას და როგორც ვერნისაფს,
 შენს სილამაზეს, რომც მინდოდეს, გვერდს რას ავუვლი,
 დღესასწაულებს კალენდარში არ თუ ვერ ვნიშნავ,
 რადგანაც შენ ხარ ყველა დღეც და დღესასწაულიც...

გარბიან წლები სულისა თუ წამის ალგზნებით,
 გიკრავ სუნთქვას და გიხსნი ხელით ხალების ხალათს,
 შენს მთელ სხეულზე ვენებივით დავიქსაქსები –
 ხვალაც!..

სასვენი ნიშნები

ჩემი თვალების კითხვის ნიშნები
 ელიან შენგან ნიშანს ძახილის,
 ტირედ გაწვდილი ხელით მიშვებდი
 და მაინც შენთან დავრჩი წუხელის.

რადგანაც მსურდა, სასვენ ნიშნებად
 ამევსო კოცნით შენი თითები,
 შენი თვალების ჩამქრალ ნიშებთან
 შენით ატეხილ სურვილს ვითმენდი.

მერე კი იყო ეს წერტილ-მძიმეც,
 უთქმელ სიტყვის წინ ვსვამდით წერტილსაც,
 შენით მჩატე და უშენოდ მძიმე
 გაგიდეფისდი, გაგცდი წყვეტილად.

ახლა ისე ვარ, იქნებ, ვუშველო
 თავს, დავისვენო სასვენ ნიშნებთან,
 რას ვიფიქრებდი, თუ ეს უშენო
 მრავალწერტილი გამაგიუებდა...

დორიან

შემახე თითები, დავუკრათ დო, რე ან
 მი, ფა, სოლ და ასე გაგრძელდეს დილამდე...
 ეს ჩვენი სურათი იხრნება, დორიან,
 შენ კი ისე რჩები, როგორიც გინატრე –
 პირველად წლების წინ და მერე ამ ზაფხულს,
 ერთად რომ ვხვდებოდით ქუჩაში განთიადს,
 მინდა, დრომ ერთხელ შენ გვერდით კვლავ ამსახოს,
 მაგრამ ეს დღეებიც ნატვრაში გადიან...
 დო, რე ან მი ბემოლ, სიბემოლ მაჟორებს –

მაურულებს, მუსიკა ისევ რომ აურევს,
შენთან მე იმდენი დღეები მაშორებს,
რომ ფიქრში ძლიგსლა ვერძნობ შენეულ აურას.
დო, რე, ან მი თითებს გაურბის მუსიკაც,
მე ყელთან ვიხსენებ შენყვეტილ ამბორებს,
დრო მირბის ჩქარა და დღეები უცისკროდ
ლამდება, ვმთავრდებით, როგორც ეს ამბავი.
დორიან,
მდორეა, გრძნობებიც ხანდახან,
(თუმცა კი ვნატრობდი რომ იყოს მძაფრი ვით
ის ჩვენი ალერსი), ნეტავი, სადა ხარ? –
ვკიდივარ ჩვენ შორის გაწყვეტილ ძაფივით...

●

ჩემს თავს მე ისევ საზღვრებს ვუწესებ,
კვლავ სახლად მექცა ლექსთა ამქარი,
თოვლს ვტოვებ თეთრად ყველა ფურცელზე,
რადგან ზამთარი ჩემთვის აქ არი.
ხან თავს სულყველას ჩარჩოს ვაჭოლებ,
ჩემს გადიდებულ სურათსაც გავცდი,
შენთვის გაშლილი ჩვენი საწოლი
ხელებსა ჰევანან ქუჩაში გაწვდილს...
და ამ სუნთქვასაც უფრო ჰერმეტულს
გავყავარ ბეწვის ხიდის წყვეტამდე,
გაგახსენდები სადმე მერე თუ,
მიჯობს, რომ ისევ შენთან მხედავდე...
ზამთარს აცვია თოვლის აპრილი,
(გინდა, არ გინდა, ეს გზაც მკაცრია),
და დამაქვს როგორც თავშესაფარი,
შენით მუდმივი ეგზალტაცია.

პირველი პილოტი-უფალი

პირველი მფრინავი – ჯვარია,
პირველი პილოტი – ქრისტე,
არა ლირს არავის ჩარევა,
როცა შენ ქრისტეს გზას მისდევ...
პირველი ინვიტროც მარიამს
ხვდა! (რადგან ღვთის ძლიერ სწამდა),
მერე ყველაფერი ავრიეთ,
რადგან ასვლა გვსურდა ცამდე
ჩვენითაც! შევქმენით მფრინავი,
რობოტი, სინჯარის ბავშვი,
თუმცა აღარ გვახსოვს ვინა ვართ,
ანდა ვინ ვიყავით მაშინ!
მიწა ვართ და მიწად ვიქცევით,
ნეკნიდან ჯერ ვერ ვქმნით კლონებს,
გვჯერა, გველოდება იქ ცები,

როცა აქ სიკვდილით გვკლავენ.
სჯობს, დავრჩეთ ღმერთივით უბრალო
და გვწამდეს – არაა ძნელი!
პირველი პილოტი – უფალი,
პირველი რაკეტა – ძელი.



ღმერთო, ნეტავ, სადა ხარ,
ასე როგორ გაგყიდეს,
ჩემი წილიც რომ ვერსად ვერ გნახე და გიპოვნე,
შენი მზერა შემაჭკნა ამ სამყაროს გაღმიდან,
ისე როგორც ის ძველი ჩვენი ეზოს იფანი...
უკვე იმდენს გეძებ, რომ
სულშიც როცა ჩამიყავ
ხელი, მაინც ვერ შერჩი სისხლად შემხმარ აორტებს,
არადა, ვუმტკიცებდი სულყველას, რომ ჩემი ხარ,
სულყველას, რომ ჩემი ხარ! –
ვუმტკიცებდი, არადა...
ისე დაბლა დაეშვი მაშინ, როცა ლავიწზე
მყავდი, ყელთან გიჭერდი თოკის ნაკვანძ ყულფებად,
ახლა, როცა ჯვრის ნაცვლად, მარტო პირჯვრად დაგიწერ,
როცა უშენობასაც ჰქვია შენი სუფევა...
ღმერთო, ნეტავ, სადა ხარ,
რომ გაკოცეს ყვრიმალთან,
რომ უარგყვეს, შენ მაინც მათთან ლუკმას ტეხავდი,
შენი ხილვის სურვილმა ჩემში ისე იმატა,
რომ დღეს უკვე მე გძერნავ ადამივით თიხიდან...

საიდუმლო სერობა

დღეს საიდუმლო სერობას ჰგავს ჩვენი სადილიც,
შენ ისევ სდუმხარ,
ანდა როდის ამბობდი სათქმელს...
მე, როგორც გუშინ, გავიხურე კარი ამ დილით,
გარეთ გაქცევა გვექცა უფრო ღირებულ საქმედ.
...ჰო! საიდუმლო სერობას ჰგავს ყველა სადილიც –
ერთი ჯამიდან ადრეც ვჭამდით, თუმცალა ლუკმას;
ვყლაპავთ ბევრ წყენას
ისე, როგორც აბებს საძილეს,
და იუდას და ქრისტეს ვმალავთ თვალების უკან.

უშენობა

მაინც არასდროს არ ხარ სახლში და
უაზრო დღეთა ვიტან იერებს,
ეს უშენობა ისე გახშირდა,
რომ თვალებს ისლა მითვალიერებს...
მაინც არასდროს არ ხარ ჩემთან და
შენი პერანგის ვრჩები ამარა –
წუხელაც სიტყვის კუბოს ვჭედავდი
და ამოვავსე ფიქრის სამარე.
შენი არყოფნა ჰეგავს გულის სევდას,
დამდალა ლექსთან მუდმივ არშიყმა,
არყოფნა ისე გასულიერდა, –
რომ მგონია, რომ მუდამ სახლში ხარ...

შიმშილი

ვშიმშილობ! – ტანი რომ ჩავტიო
ძველი გაზაფხულის კაბებში,
ყველაფერს გბატიობ მარტივად,
თუმც ვთვლი, რომ არ უნდა გაგეშვი!
ვშიმშილობ!
მინდა, რომ ჩავტენო
ეს სულიც ოცი წლის წინანდელ
სხეულში, დღე არის ნოტიო,
ძლივს ვყლაპავ მომწარო სიმართლეს.
ვშიმშილობ, რომ გავძრე ტყავში და
გავყვე მოგონების ლიანებს,
სიყალბე პულსივით გახშირდა –
სიცილი კვლავ დაიგვიანებს!
ვშიმშილობ! – თავი რომ მოვარგო
შენ მიერ დადგენილ ჩარჩოებს!
ვიცი, რომ როდისმე მოვა დრო
და დღეს რაც ერთმანეთს გვაშორებს,
გაქრება შენსავით სრულიად! –
იქცევა ეს სულიც მეჩერად,
ოცნება მოლურჯო რალია,
რომელიც თვალებში გვემჩნევა!
დრო გაწვა ძალლივით რიყსთან,
ცა ღვენთავს სისხლივით ჩეროდან –
მზე ისევ შენსავით მიყვარს და
შენ გარდა, არც არვის მჯეროდა!
გშიმშილობ! ვნატრობ შენს მოკითხვას,
მივყვები აკრძალულ კენწეროს!
და თუ ხვალ სიკვდილი მოგიხმობს!
მე წავალ! შენ ჯვარი გენეროს!



რაულ ჩილაჩავა

ზეგლიფური ელეგიაბი

ის აონა იყო ჩვემი ტრაფობის ზურჩალთ-ზურჩალი...

ვფრთხილობდი, მაგრამ კოკა მაინც გატყდა წყაროზე,
ეს კლასიკაა, ოდონდ რაღა ახლა გამართლდა...

ჩემს იპოდრომზე უიღბლობამ დოლი გამართა.

აცივდა უკვე და არც ველი მეტად ტაროსებს.

სხვა რა საქმე მაქვს, შენს ნაჩუქარ ნივთებს დავყურებ,
ყველა მათგანში, ვიცი, გულის ნაწილიც არის.

უკვე არ ველი გაგონებას ნანატრი ზარის.

ლექსების წერა მივატოვე. წიგნი დაეხურე.

ეს ნამსხვრევები აღარა ღირს უკვე გროში და
ვფიქრობ, ერთხელაც რომ ნამია ქვეყნად ყოველი.

ვდგავარ უსიტყვოდ ნამსხვრევებთან... თითქოს მოველი,
რომ ახალ ჭურჭელს მომიტანენ ხვალვე შროშიდან.

მანალვლიანებს ეს სიყვითლე ტყეთა, მინდორთა,
და ისიც, შენთვის რომ ბოლომდე ვარ გაურჯელი.
ის კოკა იყო ჩემი ტრაფობის ჭურჭელთ-ჭურჭელი,
ის წყაროს წყალიც შენთვის მსურდა, შენთვის მინდოდა!

სასკოლო
1852

30საც ახსოვდით, ახსოვხართ და ემახსოვრებით!..

იყავი უკვე. აღარა ხარ. გააძარავდი.
წერამნერალმა სიხარულის წიგნი დახურა.
წვიმის წვეთები აკვდებიან სახლის სახურავს,
არ შემრჩა სახე, ნაოჭებით შენ რომ დარავდი.

რაღაც უცნობი, იდუმალი არის ამაში –
ერთად დასრულდა უამი სიბრძნის და გახელების.
აღარ ეძებენ დაშლილ თმებში სითბოს ხელები,
და მეჩვენება, ის რაც იყო, იყო თამაში.

მაღე ბარშიაც აცივდება. ზამთრის მსტოვრები
ჩამოივლიან სოფელ-სოფელ თოვლის უსტარით:
„გული არ დაგწყდეთ, თუ სიყვარულს ვერ მიუსწარით,
ვისაც ახსოვდით, ახსოვხართ და ემახსოვრებით!“

შენ, ჩემო თავო, თან ვერ იტან, მაგრამ თან იტან,
ამნაირ ყოფას, დაგრჩა კიდევ მცირედი ვალი
ჩავლილი ტრაფობის... და მე მნუსხავს ურჩისულის თვალი
სიცარიელის ამაზრზენი ჭუჭრუტანიდან.

და ძველ სიყვარულს მერამდენად დავხარჩები...

სოფელში ოქროს შემოდგომამ ჩამომაკითხა,
დგას სურნელება დაფნის, ბიის, სიმინდის ყანის.
აჲა, სურათი მზეჩაღვრილი საღამო ხანის:
ეკლის ღობესთან მწვანე ყლორტებს კორტნის მაკე თხა.

დავეხეტები, როგორც ლანდი გარდასულ უამთა
და ვეძებ იმ ბიჭს, დიდი ხნის წინ აქ რომ დავტოვე.
ეს გარინდება, ეს სიჩუმე, ეს სიმარტვე
უხმობენ თითქოს უღრანებში გახიზნულ ზამთარს.

მე ვერ გაჩვენე ყველაფერი, რაც აქ მიყვარდა,
და ანი უკვე ვერც გაჩვენებ!.. (ვნანობ, ცხადია!)
გულდაწყვეტილი (უკვე მთელი წელიწადია!)
ვჩერდები ელვად გაკვესილი წლების ტიხართან.

კვლავ თვალწინ მიღვას აზიდული მაღლა წარბები,
და მედიდური მოძრაობა გავსილ თეძოთა...
დავისხამ მწუხარზე წითელ ღვინოს უმიზეზოდაც
და ძველ სიყვარულს მერამდენედ დავეხარბები.

გამახსენდება: მეც მიყვარდა, მეხარა, მეცვა...

დავკეტავ სახლს და დაკეტილი იქნება ასე,
ჩემ ჩამოსვლამდე არვინაა მისი გამლები.
მე ისევ ძველი ტკივილებით დავიდამლები,
მარტოდმავალი წუთისოფლის დამეწყრილ გზაზე.

გამახსენდება: მეც მიყვარდა. მეხურა. მეცვა.
ზოგჯერ მოდურად, ზოგჯერ სადად, ზოგჯერ – ისე რა!
მერე კი ჩემი საწილი გადაისერა
და თუ ვინმე ნაწამები, მათ შორის მეც ვარ!

როცა გამოჩნდი, გავიფიქრე, მგონი, ინათა,
მელის სხვა ცეცხლი, აღტაცება და ურუანტელი,
მაგრამ იმედი გადნა, როგორც თოვლის ფანტელი,
როგორც ოდესლაც, არაერთხელ, ადრე, წინათაც.
მე დავინახე: ქარი ხებს ხებს ახლიდა,
მწუხარე ზეცას ღრუბლებიდან ცრემლი სდიოდა
და გარიურაჟზე ფეხაკრეფით გამოდიოდა
შენი აჩრდილი დაკეტილი ჩემი სახლიდან!

ჯერ აი... ჯერ მოდი... ძველებურად ისევ ამო ვარ...

რა შეიცვალა? არაფერი! ისევ თქეში და
უნინდებურად გაორთქლილი სარკმლის მინები.
მე მხოლოდ შენზე, მხოლოდ შენზე ვწერ მოთმინებით
და ვულკანების ქშენა მესმის მიწისქვეშიდან.

მე შევერვივ ამგვარ ყოფას: წამშლი, მიმატებ,
დღეს ცოცხალი ვარ, ხვალ – პირიქით და ასე შემდეგ!
მე მოვდიოდი, მოვდიოდი და, აპა, შევდექ,
მოდი და სიცხით დამსკდარ ტუჩზე ტუჩი მიმადე.

ბედნიერი ვარ, გათენდა და მზე ამოვიდა,
(ის დღე მაშინებს, როცა იგი აღარ ამოვა!)
ჯერ კი... ჯერ მოდი... ძველებურად ისევ ამო ვარ,
ოღონდ ისურვე და მკერდიდან გულს ამოვიტან!

ვუმზერ დარჩენილ ჩემს ცხოვრებას, როგორც არტეფაქტს,
რომელსაც როსმე შემოდებენ მაღალ თაროზე.
ჯერ კი... ჯერ მოდი, ჩემი სუნთქვა დააჩაროზე,
რომელიც ისეც შენია და ისეც გბარდება!

შენ – ჩემი ლექსი, ჩემი ბრავო და ჩემი ტაბი...

მე მხოლოდ ჩემ თავს ვსაყვედურობ: არა ვარ, ალბათ,
ის, ვინც ბოლომდე შეძლო შენი გულის მოგება.
ჩემი სახელი დალლილ მხრებზე ტვირთად მოგება
და სხვა სახელებს შორის თითქოს ბრჭყვიალებს ყალბად.

ჩემი ადგილი იქ აღმოჩნდა, ახლა სადაც ვარ,
და მეც ვეჩვევი, რადგან უკვე ვერ ვხედავ სხვა გზას.
თითქოს ხანძარი მოსდებია საკვანძო ვაგზალს,
ვიღაცამ უკვე მასთან ერთად დეპოც გადაწვა.

ილევა უკვე სექტემბერი. შენ კვლავ შორსა ხარ.
მე ვერ მოვდივარ, შენ არ მოხვალ... ესეც ბედია!
შეყრა და გაყრა წუთისოფლის კვეს-აბედია
და ამ კვეს-აბედს ფლობს იმედის ღმერთი ორსახა.

მე დავასრულე. ბოლო ბგერა მითრთის ბაგეზე...
მზე მეწამული თვითმკვლელივით ეშვება ზღვაში.
შენ – ჩემი ლექსი, ჩემი პრაცო და ჩემი ტაში,
მათკენ შენ მიხმე, შენ მიბიძგე, შენ წამაქეზე!

მე ვდუმვარ, მაგრამ ჩემს საწუხარს ძალლები ყვავან...

მეორე დღეა, ქარი ლენავს ყველაფერს, რასაც
მისწვდება მისი შებუმბლული წვიმებით თათი.
ცარიელ სახლში უშუქობის აჩრდილი დადის
და უჯრის ფსკერზე უიმედოდ დავეძებ ასანთს.

ეს ღამეც, ალბათ, ისევ შენზე ფიქრებში გავა
და დალლილ თვალებს რული ალარ მიეკარება.
დაგმანულ კარებს სევდის კარი მიეკარება,
დღე გაიელვებს, როგორც ბინდში თეთრონის გავა.

არავის ველი, დავიდალე უბრალოდ ძლიერ,
ქარმა კი ლამის გამისამა განგაშის განცდა.
ჩემი ტკივილი ყველა ნიშნულს ერთბაშად გასცდა,
თურმე ამაოდ მგონებია, რომ იგი ვძლიე.

გრიალებს ქარი. სანთლებს კრძალავს წყვდიადის მეფე.
ვამოწმებ მაჯას ჭალარამდე გაზრდილი ბიჭის.
უშენოდ ყოფნა ახლა უფრო მიმძიმს და მიჭირს.
მე ვდუმვარ, მაგრამ ჩემს საწუხარს ძალლები ყეფენ.

„და ყოველივე ახაოო...“ – ხმობინ ბაგენი!

მე დღეს ავედი ჩემი სოფლის სასაფლაოზე,
ვისაც ვიცნობდი, ვიც მიყვარდა, ყველა აქ არი.
აი, თუ გნებავთ წუთისოფლის ნაქალაქარი,
გულქვაც რომ იყო, ცრემლის ფრქვევით რომ დაგაოსებს.

ლექსი, მოთხრობა, ჩანახატი, ნოველა, ესე! –
ვის რა მივუძღვნა, მოუხდება რომელს რომელი?
დინჯი, მქუხარე, უჩინარი, დაუდგრომელი –
ყველა აქ მოვალთ, ასეთია ცხოვრება ესე.

აგერ ჭადარი, აგერ ცაცხვი... მათი შრიალი
თითქოს სუნთქვაა წამოსული საიქიოდან.
და ვფიქრობ, აქ რომ მთელი ღამე ქარი კიოდა,
სწორედ ის მპურძგლავს, ელდად მივლის და მაჟრიალებს.
მრცხვენია კიდეც – ზოგის საფლავს ვერ მივაგენი,
ალზევებულა ბევრგან გვიმრა, ეკალი, ძეძვი...
ვდგავარ, მუხლები მეკვეთება, თვალები მეწვის
„და ყოველივე ამაოო...“ – ხმობენ ბაგენი!

რად მინდა, მაგრამ სახლი მაინც ავაგე, ჰოდა...

რად მინდა, მაგრამ სახლი მაინც ავაგე, ჰოდა,
იქნებ ვიღაცას გამოადგეს ოდესმე ჭერად.
წარლვნების მერეც მე სიკეთის უსიტყვოდ მჯერა,
დე, მას სიმაგრედ ედგას ჩემი მეგრული ოდ!

სახლი ზედმეტი არ ყოფილა არასდროს... დღესაც,
როცა შევყურებ ლამაზ ფასადს, კედლებს, სახურავს,
ვფიქრობ, ოსტატმა ქება მართლა დაიმსახურა,
თავშესაფარი მან აჩუქა ფიქრების დესანტს.

ეზოში ტყიდან შემოირბენს ზოგჯერ მელია,
ზედ სახლის თავზე ზოგჯერ ქორი შეკრავს ირაოს.
თქვენ გეკითხებით: პარასკევო, შაბათ-კვირაო,
აბა, ნამდვილი საჩემო დღე თქვით, რომელია?

მაჩვევს ნისლიან საღამოებს ოქტომბრის თვე და
ვუმზერ ჩემს წიგნებს, გამოცემულთ უხსოვარ დროში.
მათ დაამარცხეს ქარი, წვიმა, სიცხე და თოში
და ჩიტებივით ახლა ახალ თაროზე სხედან.

მე ვიზაფრია, მე ვაითხოდობ: ჩემთან რად არ ხარ?..

დიდი ხანია, მე ამ ქალაქს დავადე ვეტო
და მაინც რაღაც ანდამატი მეწევა მისკენ.
დღეს შევამჩნიე: აქ მეტია ღრუბლების სისქე,
რომელიც ბევრგან აკლია და არ ჰყოფნის ბეტონს.

აქ წვიმებია, როცა გინდა ელავდეს მზე და
ირაოს ჰკრავდეს ხსოვნის ცაში მხოლოდ სკლეროზი.
თითქოს დამარცხდა ფარდებს მიღმა შლეგი ეროსი
და ზავის ნიშნად ფანჯარაში მტრედები სხედან.

მე ვიზაფრები, მე ვკითხულობ: ჩემთან რად არ ხარ?
რატომ არ უსმენ ჩემთან ერთად საყვარელ მოტივს...
მწვანე მთებიდან შეღამების აჩრდილი მოდის
და თითქოს მასთან შესახვედრად მიჰქრის კატარლა.

უამურ ფიქრებს შემოვავლე თალხი აშია,
ზოგჯერ პლუსს დავწერ, ზოგჯერ მინუსს – ვერთობი ასე.
ავდარს კვლავ აფრა აუშვია ქალაქის თავზე.
ვემდური ქალაქს, თუმც ქალაქი რა შუაშია!

გოჩა სხილაძე



მარტოობა

აღარ ჩანს არვინ, ვისაც ვუთხარ სიტყვა მშვიდობით.
სისინებს ქარი, სიცოცხლეა ბრმა, უყვავილო.
უკუნი ღამე შავი ღრუბლით და ქარდიდობით
შემოდის ჩემში, ვით ბავშვის ხმა, მისი ალილო.

ვიღაც ხომ მოდის, აი, მწერი, ჩემსავით თიხით
გამოძერნილი, გრილ სარკმელში თრთის გაბლეხილი.
ღამეში ვუსმენ წვიმის წვეთებს, ქარების ღილინს,
როცა ბალებში ადრეული ჭკინება ხეხილი.

ვივიწყებ სახეს, დიდ გველივით წინ მოსრიალეს,
თვით სიცოცხლესაც, რომ გადამცდა ერთხელ სასულეს,
მაღალი ალვა ამ ღამეში ისე შრიალებს,
ალბათ, ხისმჭრელი მის სინათლეს ხვალ დაასრულებს.

დაბრუნება

შეხედავ ნაძვი, ცად ასვეტილ ნაძვს იქით – ვერხვი,
მაღლა ჩიტების ურიამული, შენება ბუდის,
დიდი გულებით დადღაბნილი, ხის ძირას მერხი,
მერხზე ლოთების ღრიანცელი, ბოთლები ლუდის.

უცებ წამწამებს დაუშვებ და სიბნელეს უხმობ,
გინდა სიბნელე სამუდამოდ დაგედოს ხუფად.

გაზაფხულია შენ ჯინაზე, ტკივილებს უღრმესს
ზამთრამდე კიდევ ბევრი დარჩათ – მადლობა უფალს!

ძირს თავდახრილი თუ შეამჩნევ ბავშვების კედებს,
როგორ თელავენ გვირილებს და სხვა უცნობ ყვავილს,
ხედავ ბავშვები მოჰყვებიან ჩრდილივით დედებს,
გვერდით კი ქმრები – რომ არ ჩანდნენ ჭიქაში ყავის.

მიხვალ სახლში და კვლავ გადაშლი პლოტინს, ან პროკლეს,
ამოდის მატლი ამ ვაშლიდან, უცხო და მსგავსი.
უცებ გადაშლი შენს სიცოცხლეს, ისედაც მოკლეს,
როგორც გადაშლის ხსოვნის ბილიკს მომავლის ხავსი.

გაზაფხული

გავივლი ბალში, გვერდს ავუქცევ ძალლებს ქეციანს.
სკამზე ზის კაცი, განწირული თავდალმართისთვის.
უფალს ამ კაცის ფერადები აუკეცია,
მალე ზამბახებს ამოიყვანს სხვების მარტისთვის.

თავის სინათლით სულ სხვა ჩითებს, სულ სხვა ჩითილებს
სულს ჩაბერავს და ამოხეთქავს წინანე ლერწმებად,
ჩიტი სხვა ბუდეს აიშენებს, იცავს სიფრთხილეს,
ხეებს ფერადი სამოსელი გადაეცმება.

ასკილის სუნით აივსება ვაშპარიანი,
ბაბუაწვერა გადაუფრენს ბავშვის წამწამებს,
სხივის სინაზე, დღე მაღალი და ქარიანი
ვაშლის ყვავილებს მერე ისევ სხვისკენ დაძრავენ.

ჩაცის სიავდილი (ვახტანგ სარალიძეს)

დაგიდგა უამი პერანგების სისხლში გავლების,
გესმის კივილი მკვდარი დედის და ელმავლების.
დაგიტანს დიდი თელის ჩრდილი, დიდი მაგიდა,
ბურუსი ბედის, ბავშვის ლიმი ბნელი ბაგიდან,
ბრმის დიდი ცრემლი, ლვინის მზისფრად აკიანთება,
ორი გოგონა – შენი ცრემლი და ქრიზანთემა,
სახლთან ლელვის ხე ქვესკნელიდან ამონეული,
ლვინით ავსილი შენი ჭიქა, შენი სხეული,
ლაქავენ კუბოს, გაპრიალდა ხე დაკორძილი,
გაცმევენ პერანგს, მაღალ სერზე არის ქორწილი.

აალება

დიდ ვარსკვლავებით მოჭედილ ლამეს,
შენს ბაგეებზე გამომკრთალ ლიმილს,
დილის ვარდებზე დაკიდულ ნამებს,
დიდ მარტოობას, სიჩუმეს მლვიმის,

ვარდებს, მის ჯერაც გაუშლელ კოკრებს,
დავინყებისკენ გადახრილ საგნებს,
ბავშვს, დაისის წინ სხივებს რომ მოკრებს,
მის თითებს, როცა უმატებს, აკლებს,
ხელებს, რომლებიც გეძებენ ძილში,
აქ რომ ვერაფერს ვერ ეჭიდება,
დიდ მატლს, რომელიც ნეტარებს ხილში
და გაღვიძება აღარ სჭირდება,
თვალებს, რომლებიც გხედავენ მუდამ,
ისე შორიდან, თვალმოუკრავად,
ოქროსკანიან, მდუმარე ბუდას,
სანამ სიყვარულს არ მოვუკლავარ,
თაყვანს ვცემ ყველას, უკუნში ნაძერწ
პატარა ლეკვსაც, მის კუდის ქიცინს,
ნაფეხურს შენსას, ასვეტილ ნაძვებს,
ბოლო წერტილსაც, შენ რომ სვამ, ციმციმ.

ზარი

მე ვარ ზარის ხმა რომ ესიზმრათ ვარდებს, ნარგიზებს,
შენი გული კი სამრეკლოა, სადაც ვდუმდები,
მე ვარ ყვავილი მოელვარე შენს გულსაკიდზე,
შენს გაზაფხულში მინდა მოსვლა და ვერ ვბრუნდები.

შენი ცა ასე უძიროა და მოციალე,
მე ვარ დაისი, დიდი ზარი ხმაჩანწყვეტილი.
როცა წავედი ჩემი სახე შევატრიალე
ვარსკვლავებისკენ. ელვარებდა ბნელი წერტილი.

ჩემს ხმაში ათას ველის ყვავილს გააქვს ღალანი,
მაინც არ გესმის ჩემი ცრემლის დიდი ხარება,
ვიღაც იზრდება ჩემში წმინდა, ცამდე მაღალი
და შენს სიზმრებში დაბწეული დაიარება.

დაკარგვა

თან დავატარებ შენი ცის სხივს, შენი სხეულის
ალისფერ ყვავილს, სხვა ფეხმა რომ ციმციმ გათელა.
დავიკარგები შენს გრიგალთან გადახვეული,
როგორც აქ ბნელში მხარქცეული ციცინათელა.

აი, ეს არის დავინყების ტალლის მოქცევა,
თავზე რომ მადგას, დაისია იმ ბაგისფერი,
ძილში ვჩურჩულებ: „შენ იყავი, ამის მოწმე ვარ!“ –
დილის ვარდივით ციალებდა სახე, კისერი.

მომქონდა გული – არავისთვის გამოსადეგი,
სიტყვის ფერები, შორსმხედველი ჩემი სიბეცე.
დამუნჯებული ხნიერი ხის გვერდით დავდექი
და ჩრდილთან ერთად შენს უფსკრულში გადავიკეცე.

სიბრუნვე

მითხვა: ცხოვრება არის დღესავით,
შენ კი არა გაქვს შნო და გერგილი,
რომ ვარ უგრძნობი დიდი კლდესავით,
ანდა ცივი ვარ აისპერგივით.
ეშმა – ამ სოფლის მამასახლისი
ჩემზე სხვა ათას რამეს მოროშავს,
გულზე გადივლის მისი სახნისი –
ამოჰყრის ვარდებს, აფრთხობს ბოლო-
შავს.

ისმის ჩურჩული: ამოიბაგე,
კვლავ შეეგლისე დაისს, სიბინდეს,
კოცნისთვის ჰპოვე წყვდიადის ბაგე,
ოქროსქორიანს, გასცდი სიმინდებს.
მაღალი ხე ხარ, რომ ვერ დაგაპეს,
წადი, წყვდიადის კალთას ებნიე.
თუ ხედავ ვარდებს – ბავშვის საკაბეს,
წამიერია და უნებლიე.

ჩურჩული

ბევრი ფეხის ხმა მიახლოვდება,
გათელეს ვარდი და სამარის მიწა დაბ-
ლისკნეს.
გულში გაისმის შენი გოდება –
ასე მიდიხარ სიბნელისკენ და სიდაბ-
ლისკენ.
თითქოს გადუსვეს შავი გუაში
დაბრეცილ სივრცეს, ღვინით სავსე
ქვევრი დაგლისეს.
მნათი წერტილი ბნელის შუაში
ვარ ისევ მარტო. აქ არავინ მოგისაკ-
ლისებს.



სანამ ეს გული სანთლად ანათებს,
სანამ ფანჯრიდან ჩანს ბეგონია,
მამისგან იღებს ბავშვი ბარათებს,
სიცოცხლე მისი ექო ჰგონია.
გახედავს ბალებს, სიზმარამხდარი,
უცნაურია ვარდის სინედლე,
ღრუბლიანი ცის შუბლი ჩამტყდარა,
ვარსკვლავებიდან მოჩანს სინათლე.

დავით ხარატიშვილი



ჰემატოგენი ჩემი არსობისა

„ლობიანი ლორით... ლობიანი ლორით...“ – გულში ვიმეორებ და სამზარეულოსკენ ჩქარი ნაბიჯით მივემართები.

მართალი იყო რუსუდანი, აქ მთელი დღე საჭმლის გარეშე ვერ გავძლებდი. არადა, ჩემი საყვარელი გამოთქმაა: „შიმშილს კაცი არ მოუკლავს“. ეს ახალი სამსახური მარტო კუჭს მიღლის, სხვა არა მიშავს. თავიდან ფეხები მტკიოდა სიარულისგან, თუმცა კუნთები მალევე მიეჩვივნენ ყოველდღიურ დატვირთვას. მთელი დღე, წინ და უკან „გადი-გამოდი“ გვაქვს. თან, აბა, მიდი და ნაბიჯი შეანელე, უმალ ჯიბე შეგითხელდება. ასე უნებებია ჩვენი ფარმაცევტული კომპანიისა და ამ საწყობის შემოქმედს. აქ მუშაობა, ფიზიკურ შრომასთან ერთად, კაზინოში შესვლას ჰეგავს, რულეტკასავით ტრი-

ალებს ზედდებულის მაძიებელი ჭრელი დისკო და თუ არ გაგიმართლა, დაემშვიდობე ოთხნიშნა ხელფასს...

ოთხნიშნაო... სამნიშნაც სანატრელი მქონდა და საერთოდაც, ეს ჩემი პირველი ოფიციალური სამსახურია. იქამდე თვითდასაქმებული ვიყავი, ჩემი პროფესიით ვცდილობდი ფონს გასვლას, მაგრამ არაფერი გამომდიოდა. კლიენტები ანაზღაურებას მიგვიანებდნენ, ზოგი თავს მაცოდებდა, ზოგიც ჩემით მეცოდებოდა. დაარტყამდა მოსამართლე ჩაქუჩის, გაისტუმრებდა ბრალდებულს ციხეში და მერე ელოდე იმის გამოსვლას... ისედაც თავზარდაცემულს, მის ოჯახსაც ხომ ვერ შევანუხებდი და ისეც არ ენაღვლებოდათ... არა, ამის თავი არ მქონდა!

სხვაც ბევრი ვეცადე, სტაბილუ-

რი სამსახური მეშოვნა, მაგრამ აქაც არაფერი გამომივიდა. ჩვენთან ხომ, სახელმწიფო სამსახურში, სერთიფიკატებზე მეტად, გენეალოგიური ხის დალმავალი და განივი შტოების კვლევას ითხოვენ, მე კიდევ მეზარბა ეს წარსულის ქექვა და ხელის გადაწვდომები, ამიტომაც სამუშაოს ძიებაში შემთხვევითობის სტრატეგიას მივმართე, რამაც სრულიად უცხო კომპანიაში მომიყვანა, დილით გაგზავნილმა რეზიუმემ საღამოს „ეიჩარის“ ზარი გამაგონა. მეორე დღეს უკვე გასაუბრებაზე ვიყავი, მესამეზე – სამსახურში. მარტივად და გრიალურად.

ფიზიკური შრომა ჩემთვის ახალი და მწარე ხილი აღმოჩნდა. როგორც ვთქვი, ამას მალე მივეჩვიე. აი, შიმშილის გრძნობა კი, რომელსაც იქამდე ხელის გულზე გამოჭერილი მწერივით ვათამაშებდი, პრეისტორიულ გიგანტ მხეცად გადაშექცა და საათების მიხედვით, დაბარებულივით დამიწყო პამპულაობა.

პირველ დღეს ვიუარე, თავი გამოვიდე, შიმშილი რას დამაკლებს-მეთქი, თან ჩემი საყვარელი გამოთქმაც მოვიშველიე და რუსუდანს, ჩემს ახალ უფროსს, თავმომწონედ გადავხედე. თვითონაც ასე მიყურებდა და ეცინებოდა: – შეუკვეთე რამე, თორემ, მართლა ვერ გაძლებო, – მართალს ამბობდა.

„ლობიანი ლორით... ლობიანი ლორით...“ – ისევ ვიმეორებ გულში და საწყობის სივრციდან გასასვლელ დაცვის ბარიერს გავდივარ. ახალგაზრდა და ლამაზი ქალი ზის, ზედაც არ მიყურებს, ხელის ფრჩხილებზე მანიკურის ფერს მოჭუტული თვალებით ლანდავს.

ჰე! გამომეტანა პროტეინებით გამდიდრებული შოკოლადები, ვინ რას გაიგებდა?! კამერებით ყველგან როდი სწვდებიან! ნამდვილად გაუმართლა ჩემში კომპანიას, ვფიქრობ და სამსახურულოს ვუახლოვდები, თუმცა „სამზარეულო“ გადაჭარბებით არის ნათქვამი. აქ მხოლოდ წყლის ონკანი, ელექტრომადულარა და მიკროტალდური ღუმელი გვაქვს და მარ-

თლა თუ მოგინდა კაცს მზარეულობა, ვერაფერს გახდები. თანამშრომლების რაოდენობას თუ გავითვალისწინებთ, ვიწრო ოთახში ორი დიდი მაგიდა და რამდენიმე სკამი დგას. ყველა შეკვეთა ერთდროულად მოდის, ამიტომ დამჯდარი მშვიდად ჭამას ცოტა თუ ახერხებს, ლოდინიც როგორი ძნელია მოშიებულზე... ერთი საათი გაჭირვებით გადავაცილე და ახლა ცარიელი სკამის იმედით სამზარეულოში შევდივარ. მიმართლებს!

მაგიდაზე მაინც ბლომად ყრია ცელოფანში გახვეული შეკვეთები. ჯერ კიდევ იცდის კომპანიის ენერგია. ალბათ, ყველა თავისუფალი სკამის იმედად იყავებს თავს. ვუახლოვდები და ქექვას ვიწყებ. დახვაცებულ ცელოფნებში, რომელთაც ქაღალდის მართულხედი ნაგლეჯები აკრია, ჩემი გვარი უნდა ამოვიკითხო. ყელზე ნერწყვმომდგარი ვიწყებ გადარჩევას:

„წიკლაური, ქისტაური, გიგაური.“

ოჳო! როგორ გაურითმავს მთიულებზე... ალბათ, ესენი ერთად უკვეთავენ, ერთად ელოდებიან ცარიელ სკამებს და მერე ერთად შეექცევიან ერთნაირ საჭმელს. ცელოფნებში სალათის კონტეინერებია გახვეული. ნამდვილად ასე იქნება, ვასკვნი და ძებნას ვაგრძელებ:

„გულუა, ყურუა, რურუა.“

სამეგრელოს კი ერთობა არ გაუჭირდებოდა. სადაც არ შემხვედრიან, ყველგან თავიათი პატარა ავტონომია აქვთ ჩამოყალიბებული. სად არ გაიგონებს კაცი მათ ჰაეროვან ენას, ასე რომ ამრავალფეროვნებს ქართულ, ეთნიკურ ეგზოტიკას. თან არც ის მინდა, ჩვენი კვების კურიერს შემოქმედებითი ნიჭი დავუკარგო, ასე ოსტატურად რომ გაურითმავს ცელოფნებზე მიკრული გვარები. თვითონ ის კი არ იცის, ლექსებს რომ ვწერ და ჩემთვისვე მოსაწონი ჯერ ვერაფერი შევქმენი, არავის ვაკითხებ, არც თეთრი გამომდის, არც – ფერადი, თავში კი ათასი ფიქრი დამიქრის... ვითომ დამცინის?

ისევ გვარებს მივყვები:

„ლლონტი, დოლიძე, საღარეიშვილი.“
გურიამ აურია, თუმცა გურული
სისხარტით რომ წარმოთქვა, შეიძლება
გაირითმოს, მაგათ რას გაუგებ?!
ერთი კი ნათელია – აქ ნამდვილად
კუთხურ-კლანური გაერთიანებები
აქვთ. კარგად უნდა ვეძებო! ქართლი
მჭირდება და მათგან – ვერლიბრი...
ძებნას ვაგრძელებ:

„მაისურაძე, კანდელაკი, ელისაშვილი.“
სულ აურია კურიერმა და ჩემი საჭ-
მელიც არ ჩანს. ცელოფნებს თავიდან
ვქექავ, მაინც არ არის. მშიერი ვრჩე-
ბი, ვერ გადავრჩები!

– დაურევე! – ვიღაც ქალი ცდი-
ლობს ჩემს დამშვიდებას, თუმცა, არა
მგონია, სახეზე შფოთო და მღელვარე-
ბა მეტყობოდეს.

არაფერს ვპასუხობ და არც მისი
იდეა მხიბლავს. რომ დავურევო, რა
კუთხრა? ვუსაყვედურო? გავლანძლო?
ამით რას მოვიგებ? მაინც მშიერი ვარ!
რომ მითხრას, გამოგიგზავნე, კარგად
მოძებნეო, რა ვუპასუხო? დუმილი ჩა-
მონვება, უხერხულია... არადა, რო-
გორ მშია, მოვკვდები, ალბათ...

– ხდება ხოლმე, მეც მომსვლია...
– მეუბნება ვიღაც ბიჭი და უკვე და-
ნაყრებული სამზარეულოდან გადის.
დამამშვიდა...

არა! აქ ასე ვერ გავქაჩავ! ფიზიკუ-
რი შრომისას სხეულს ენერგიით შევსე-
ბა სჭირდება და თუკი ხშირად მაშიმში-
ლებენ, შეიძლება სადმე დავეცე. აღარ
ღირს აქ გაჩერება! ავდგები და წავალ!
ვითომც არც მიმუშავია, ერთი თვეც
არ გასულა. ნამდვილად წავალ! ახლა-
ვე გავალ და განცხადებას დაგწერ...
მაგრამ ამ შიმშილს რა მოვუხერხო, ახ-
ლა რომ მკლავს? სხვის საჭმელს ხომ
არ შევჭამ?! შევჭამ? არა! ასეთი ბო-
როტიც არ ვარ. სამზარეულოს კამე-
რები აკონტროლებენ. ნეტავ, თუ ჩარ-
თულია? არა! ვერ ვაპატიებ საკუთარ
თავს, ამას სიკვდილი მიჯობს... მაგ-
რამ შიმშილს ხომ კაცი არ მოუკლავს,
მტკიცედ ვეუბნები საკუთარ თავს.

ელექტრომადულარასთან მივდი-
ვარ და ყავას ვიმზადებ, იქნებ, მიშ-

ველოს... ყავას ხომ არ ვსვამ, მაგრამ
ვინ იცის... სავსე პოლიეთილენის ჭი-
ქას ვიღებ. ხელი მეწვება. მეორე ჭიქა-
ში ვდებ და ისე მიმაქვს. განცალკევე-
ბულ ადგილზე ვჯდები. ყავა ცხელია,
გაცივებას ველოდები და გარშემო
ვიწყებ ყურებას – თანამშრომლებს
ვათვალიერებ...

ეხლალა ვამჩნევ ბიჭს ჩემ პირდა-
პირ, სახელი არ მახსოვს. ერთად ვი-
ყავით გასაუბრებაზე, აქ ერთად მო-
ვედით, მისი სახელი კი ვერ დავიმახ-
სოვრე. ისედაც ბევრი სიახლეა ჩემს
ცხოვრებაში, მიჭირს ყველაფრის აღ-
ქმა. საყვედურით მიყურებს, ალბათ,
გვერდით რომ არ მივუჯექი. მეგო-
ბარს ეძებდა ჩემში, ვიგრძენი, ჩვენ
ხომ ერთად მოვედით, ერთად დავიწ-
ყეთ ცხოვრების ახალი ეტაპი – ახალი
სამსახური... თუმცა მას არ მოსწონს
ეს სამუშაო, გამიმხილა, მე კიდევ თვი-
თონ ის არ მომწონს, ბევრს ლაპარა-
კობს და ყველაფრით უკმაყოფილოა:

– აქ მე აღარ გავჩერდები! – ისე
მეუბნება, თითქოს მე დავაწყებინე
მუშაობა. ამას წინათ გამომიჭირა და
მელაპარაკა, – დაგვცინიან ეს მათ-
ხოვრები... უნდათ, რომ მონურად
გვამუშაონ... მთელი დღეები, აქ რვა
საათი ძალლივით უნდა ვირბინო და
ოთხას ლარზე მეტს ვერ მოგცემთო,
ღორები! პირველი თვეა და ჯერ უნდა
ისწავლოო... არადა, მეც ხომ ვირივით
ვმუშაობ და თუ ჯერ ჩქარა ვერ ვა-
კეთებ, ჩემი შრომა შრომა არ არის?!
არა, ამის მოთმენა არ შეიძლება! უკვე
შევუთანხმდი, განცხადება დავწერე.
ამ თვეს ჩავამთავრებ, ხელფასს ავი-
ღებ და მივდივარ... შენ რას აპირებ?
– ამჩნევს, რომ არაფერის თქმას ვაპი-
რებ და თვითონ მეკითხება.

– მე ჯერჯერობით დავრჩები,
ვცდი მაინც, თითქოს გამომდის კი-
დეც, პატარა ბონუსზეც გავდივარ... –
ფრთხილად ვპასუხობ, უკვე ვხვდები,
რომ გავალიზიანებ.

– პირველ თვეს? – მეკითხება და
თვალები შუბლზე ასდის.

– ჰო, უკვე ზღვარს გადავცდი, –

ვპასუხობ და ორივე ვჩეუმდებით. იმას აღარ ვუმხელ, რითაც კიდევ უფრო მომზიბლა ამ სამსახურმა. აქ ყველა თავის საქმეს აკეთებს. ინდივიდუალურად ვშრომობთ, მხოლოდ საკუთარ თავზე ვართ დამოკიდებული და თუ ერთმანეთს ვეხმარებით ან ველაპარაკებით, ეს ისევ ჩვენი სოციალური ბუნებიდან მოდის. მეც ჩავლუნავ თავს ჩემს ფაქტურაში და ხელი საქმეს თავისით აკეთებს, გონება კი მუზებთან დაქრის.

— ბოლობოლო უნივერსიტეტში ვსწავლობდი! ამათ ხომ არ შევაკლავ თავს?! — ვხვდები, უნივერსიტეტში თსუ-ს გულისხმობს, თორებ ყველა უნივერსიტეტი უნივერსიტეტია. ეს ტერმინი კომუნისტებისგან შემორჩა, რომ უნივერსიტეტი მხოლოდ თსუ-ა. კიდევ კარგი, არ ვუთხარი, მეც იქ რომ ვსწავლობდი.

— რა პროფესია გაქვს? — მაინც ვინტერესდები.

— გეოდეზიაზე გსმენია რამე? — ჰერნია, რომ ჩამჭრელ კითხვას მისვამს, მაგრამ ვერ მივართვი.

— გამიგია, — ამაყად ვპასუხობ, — ეგ ის არაა, სამფეხზე რომ შეაყენებენ ფოტოაპარატივით რაღაცას და მერე მთელი წელი ჰორიზონტს ზომავენ?

— ყველაზე მაღალანაზღაურებადი პროფესია! — თავმომწონედ მეუბნება, თაყვანისცემას ითხოვს.

— მერე არ გიცდია, პროფესიით გემუშავა? — ვცდილობ არ ვაგრძნობინო ჩემი ეჭვები მისი პროფესიონალიზმის მიმართ.

— აქ ხომ იცი, როგორც ხდება?! — იმედგაცრუება ეტყობა სახეზე, — ყველგან ახლობლობით და ნათესაობით იღებენ, მით უმეტეს, ასეთ მაღალანაზღაურებად სამუშაოზე მე, უპატრონოს, ვინ მიმიღებდა?! ამ ქვეყანაში აზრი არაფერს აქვს, რაც გინდა მაგარი იყავი საქმეში, თუ კაცი არ გყავს, დამთავრდა შენი ამბავი...

— სამწუხაროა, — ვეთანხმები და საკუთარი გამოცდილება მახსენდება, თუმცა მოყოლას არ ვაპირებ, ისედაც

ვცდილობ დავიკინწყო და ახალი სამსახურით დავკმაყოფილდე.

— არადა, ჯგუფში საუკეთესო სტუდენტი ვიყავი, — უცებ ენთება და თვალები უბრნებულდება, ამაყობს, — სწავლა უმაღლესი ქულებით დავამთავრე, ბაკალავრიატიც და მაგისტრატურაც... ჩემი ლექტორი მპირდებოდა გერმანიაში დასაქმებას, უამრავი ნაცნობი ჰყავდა... იქ კიდევ, ხომ იცი, ეპროპაა, უფრო მეტს გადამიხდიდნენ, ვიდრე აქ...

— მერე, რატომ არ წახვედი? — ვუბრაზდები, თვითონაც ფრთხება და მშვიდება, სიამაყე სახიდან უორთქელდება.

— ენა არ ვიცოდი, — უკვე სრულიად მშვიდია, დამწუხრებული, ბრძოლაში დამარცხებულ ფალავანს ჰეგავს, აღარაფერს ამბობს და ვხვდები, საუკეთესო დროა მისგან თავის დასალნევად.

— არა უშავს, გული არ გაიტეხო, რაღაც გამოჩენდება! — დავცინი, მაგრამ ეჩვენება, რომ ვამხნევებ და სასოებაჩამდგარ თვალებს მაყოლებს, უგულოდ ვეცლები, სხვა გზა არც მაქვს.

ეხლა კი ზის ჩემს პირდაპირ, ბოლო ლუკმებს ითვლის, მადიანად შეექცევა. გაუმართლა, სადილი შეხვდა, მე კი ცხელი ყავის ორთქლი ცხვირში მიღიტინებს. თვის ბოლოს ოთხას ლარს გადაკეცავს და წავა, არც ღირდა მასთან დაახლოება, მაინც მიდის... მაგრამ მეც ხომ მივდივარ, ასე ვერ ვიშიშილებ. ყავას დავლევ და უფროსთან შევალ... სამუშაო ადგილების მეტი რა არის... სხვა უკეთეს რამეს ვნახავ... ჩვენთან ხომ დუღს ეკონომიკა... დგება და მიდის გეოდეზისტი, ზედაც არ მიყურებს... ან რას ველოდი...

ჩემი მაგიდის გრძელ გვერდზე გოგოები სხედან — ქალები, სამნი არიან. ერთი ახალია, ვცნობ, ორიოდე დღით დავასწარი აქ მოსვლა — დიდი სატრაბახო საქმეა... დანარჩენები ძველები ჩანან, ჩვენთან შედარებით...

— რა გეჩეარება, ქალო, დაჯექი ცოტა ხანს!

— არა, ქალო, უნდა შევიდე, იქნებ

რამე ავილო ნორმალური...

— მაინც წამლებში ხარ, რა გენალურება?! აბა, მე წყლები უნდა ვზიდო...

— ჰოდა, წამლებში რომ ვარ, იმიტომ უნდა შევიდე, ხომ უნდა დავაგროვო რაღაც?! გადავალ მეც წყლებში და მერე აქ დავჯდები, — ორივეს ეცინებათ, პირზე ხელებს იფარებენ, თითქოს სამარცხვინო რამ ეთქვათ. ახალი ჯერ ხმას არ იღებს, არც ეცინება, სადილს მადიანად შეექცევა.

— მიდი, მიდი, ქალო, იმუშავე! — აცილებს სამზარეულოდან შედარებით გამხდარი და ახლა ახალს უბრუნდება. ეტყობა, თვითონ დაამთავრა სადილი, მაგრამ ლაპარაკი ვერ ეთმობა, — ჰოდა, ქალო, ასეა, სანამ წამლებში ხარ, უნდა გამოიყენო დრო და რაც შეიძლება მეტი დააგროვო, საღამოსაც დარჩე და ადრეც მოხვიდე, სხვანაირად არაფერი გამოვა...

— ჰო, ვიცი, ჯერ პირველი თვეა, ნელ-ნელა ავულებ ალლოს...

ოჰო, „ქალო“ არ უხსენებია, ეტყობა, ახალია და ჯერ ვერ გაითავისა. აქ ყველა ქალს ეგ სიტყვა აკერია პირზე, ასე მიმართავენ ერთმანეთს. ახალგაზრდებიც და ხანში შესულებიც, დედაკაცებიც და ყმანვილებიც, მართლა ქალებიც... თან სიტყვას სიმწრის ირონიას აყოლებენ, ღიმილით ნიღბავენ, ვითომ იგდებენ, თუმცა მათ თვალებში ვხედავ, რამხელა სევდა იმალება მის უკან. ფიზიკურად შრომობენ, კაცებს ტოლს არ დაგვიდებენ, არაფერში ჩამოგვრჩებიან და ამ სიტყვას ატრიალებენ, რომ არ დაავინედეთ, ვინ არიან, არ დაკარგონ სქესობრივი იდენტობა, რომ ნაზი და მგრძნობიარე არსებები არიან და საქმით გაუხეშებული შინაგანად პეპლის ფრთებით დაფარფატებენ, ნარნარი ფრენით დაჰყურებენ ნაოცნებარ სამყაროს, რომელიც მიუწვდომელი რეალობიდან იმზირება, მაგრამ წარმოდგენაც ხომ მთელი სამყაროა... სინამდვილეში კი ერთი საფიქრალი აქვთ — შვილებს ლამაზი მომავალი შეუქმნან, მისცენ ის, რაც თავად მოაკლდათ. თი-

თოეულის თვალებიდან გამოსჭვივის ის სიმწარე, რაც თავს გადახდენია, პუნდოვნად, მაგრამ მაინც იკითხება მათი თავგადასავალი — ბნელი დრო რაც ჩვენმა საზოგადოებამ გადაიტანა, შიმშილი, გაჭირვება, შიში... ზოგს ქმარში არ გაუმართლა, ზოგს მშობლებში, ზოგსაც მეგობრებში, თუმცა ვინ იცის... ცხოვრებამ ყველა ათას გზაზე აპამპულავა, ეს ერთი სიტყვა დარჩათ ერთმანეთისთვის სათქმელად — „ქალო“. დარბიან მთელი დღეები კურდღლელს გამოდევნებული მწევრებივით, რომ ორი კაპიკი მოაგროვონ ხელფასისთვის და ამ სირბილ-სირბილში ერთმანეთს თავიანთი შეიძლების ამბებით ახარებენ. ზოგს მართლა უხარია, ზოგი იტყობს სიხარულს...

„ჩემი შვილი წელს აბარებს, აბიტურიენტია...“

„ჩემმა შვილმა შარშან ჩააბარა, ას პროცენტიანი გრანტი აიღო...“

„ჩეენ ჩემპიონები გავხდით, პირველი ადგილი ავიღეთ...“

„ჩემ შვილს ვერ გავაგებინე, რომ სპორტს ცეკვა ჯობია, იდგეს და სდიოს ბურთს...“

„ჩემი შვილი ჯერ მეორე კლასში გადავიდა, დედა ენაცვალოს...“

და ასე უხარიათ და სტკიგათ თავიანთი და ერთმანეთის შვილები, ხოლო ამ სირბილში, ხშირად, საკუთარი თავი ავინყდებათ. „ქალოს“ გადაუგდებენ ერთმანეთს, ლ-ს ოდნავ დაარბილებენ, რომ ღიმილმა სიმწარე კარგად დამალოს და არ დაავინედეთ ვინ არიან. თან ამბობენ, ჩვენ საქმეში ქალი და კაცი არ არსებობს, ეს პროფესია თავად არის ცალკე სქესიონ და ასე დავჭრივართ საწყობში ერთსქესიანები...“

„ქალო, რა ფაქტურა აიღე? ქალო, ბრუნვა რამდენი გაქვს? ქალო, სად გეჩქარება? ქალო, დამელოდე! ქალო, დაიღალე? ყავა არ დავლიოთ, ქალო? ქალო, ხელფასი სწორად დაგერიცხა? ქალო! ქალო! ქალო! ქალის გაჩენა დაიწვა...“

— კარგი, შევედი, ქალო! — დგება გამოცდილი და ახალს დროებით ემ-

შვიდობება, – წავიდე, თორემ, გადამ-დგავს რუსო, – ამბობს და თვალებს მაღლა ქაჩავს.

– მიდი, ქალო, მეც მალე შემოვალ!
– ახალმაც გაიმდიდრა ლექსიკონი აქაური სიტყვით.

მარტო რჩება. მის წინ, მაგიდაზე, ცელოფნებისა და ქალალდის პაკეტებია დახორავებული, კარგად დანაყრებულან. ცისფერი თვალები და ქერა თმები აქვს, თუმცა სალებავის კვალი ეტყობა, ფერი ხელოვნურია. ცისფერ თვალებსაც ატყვია დედაშვილობისა და წარსული მიჯნურობის ვნებათა-ლელვა, გაცრეცილან, თეთრ გარსში განზავებულან.

შეგრილებულ ყავას ვწრუპავ და გულდასმით ვაკვირდები. თვითო-ნაც ტელეფონს დასჩერებია, ამიტომ თამამად ვსწავლობ მის ბუნებას. მი-სი მთლიანობის აღქმა ჩემს გონებაში სიტყვებად გროვდება. ვცდილობ რამე ამოვარჩიო და ლექსი დავნერო მასზე, როგორც მშრომელი ქალის ხატზე, თუმცა არაფერი გამომდის, ისევ კუ-რიერმა მაჯობა გვარებზე, მახსენდება და საკუთრ თავზე ბრაზი მომდის.

ტელეფონს ეშვება და დახვავებულ ქალალდებს მიღმა რაღაცას ქექავს. ეხლალა ვამჩნევ პრიალა შეფუთვას. სადილის შემდეგ დესერტი უნებებია. შოკოლადის ფილას ტეხს და მიირ-თმევს, თან ისევ ტელეფონს დასცექ-რის. რას დამხატავდა, ეხლა, ერთი ნატეხი შოკოლადი ყავაზე მისაყო-ლებლად. იქნებ, შიმშილის გრძნობაც მოეკლა? – ვფიქრობ და ნერწყვი მად-გება. არადა, როგორ მიყვარს შოკო-ლადი! ყოველ საღამოს მუზების შე-საქცევად მთელ შეკვრას მივირთმევ. ლექსი არ გამომდის, მაგრამ ხომ ვტკბები ამ მნარე ცხოვრებაში, ეგ მა-ინც მაქვს საბედნიეროდ. ნეტავ, თუ იცის, მშიერი რომ ვარ? არა, თხოვ-ნას ვერ გავბედავ, ამისთვის ზედმე-ტად ამაყი ვარ... თან როგორ მინდა... თუნდაც ერთი ფილა ენაზე რომ და-

მაღნება, გემოს რეცეფტორებს ჯერ ოდნავ შეუღიტინებს და შემდეგ ქა-რიშალივით თავს დაეცემა. მთელ პი-რის ღრუს მოვლის მდნარი სიტკბო, თუნდაც მომწარო, იყოს შავი შოკო-ლადი, თანახმა ვარ... შოკოლადი ჩემი არსობისა...

ფეხზე დგება. წინ დახვავებულ ნა-გავს ერთ მუჭში აქცევს და ურნაში ყრის. პრიალა შეფუთვა ისევ მაგიდა-ზეა. ეტყობა, შიგ კიდევ არის რაღაც. ჯერ ტელეფონს იღებს, შემდეგ – შო-კოლადს. მიახლოვდება. სახეზე ღი-მილი ეწელება და გარკვევით ვხედავ, როგორ შლის უკან თეთრი ბუმბუ-ლით შემოსილ ანგელოზის ფრთებს. სამზარეულო მისი შარავანდედით ნათდება, სიკაშაშე თვალს მიბნე-ლებს და მხოლოდ შოკოლადის პრია-ლა შეფუთვას ვხედავ...

„პირველად იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთთან და ღმერთი იყო სიტ-ყვა“ და სიტყვით იხსნება ზეცა და ჩა-მესმის ჰაეროვან ბგერათა დასი:

– მიირთვი, გთხოვ! ცოტას მაინც მოგიკლავს შიმშილს, თან ყავასაც მო-უხდება, – მეუბნება და პრიალა შე-ფუთვას ჩემს წინ, მაგიდაზე დებს.

მადლობის თქმასაც ვერ ვასწრებ. ჩემი ლულლული გასასვლელში ეწევა, მე კი ნერწყვი მახრჩობს და შეფუთ-ვას ვხსნი. შიგნით სამი სანუკვარი ფილა მხვდება. ერთს ვტეხ და პირ-ში მივაქანებ. ყველაფერი ბნელდება, ზეციური სინათლე ელვასავით ქრე-ბა. მახსენდება, რომ სამუშაო მაქვს, კარგად ავუღე ალღო ახალ საქმეს და ბონუსიც დაგიმსახურე, ნამდვილად კარგი სამსახურია. დიდხანს მომინევს გაჩერება...

შოკოლადს უცხო, მაგრამ სასია-მოვნო გემო აქვს. მეორე ფილას ვტეხ და შეფუთვას ვაკვირდები. ჰემატო-გენი ყოფილა... გემრიელი... მგონი, აქამდე არც გამისინჯავს... ღმერთე-ბის საჭმელი... გადამრჩენელი... ჰემა-ტოგენი ჩემი არსობისა!


პდა ნემსაძე

ომი,
სიყვარული და
სიძულვილი
აბუქანიშვილი პარიზის
აბუქანიშვილი

(ნოდარ მაჭარაშვილის
"კვაზიმოდოს ქალაქი")

არაბული სამყაროს ულამაზეს ქალაქ აბუქანიდან ევროპის შუაგულამდე — პარიზამდე — იშლება ამბავი ნოდარ მაჭარაშვილის ახალ რომანში „კვაზიმოდოს ქალაქი“. გამოგონილი და რეალური ადგილები თუ ამბები აქ ისეა შერწყმული, რომ ერთ მთლიან მხატვრულ რეალობას ქმნის, რომელიც თანამედროვე ქაოსში ჩართული სამყაროს, ომების, დასავლურ-აღმოსავლური პოლიტიკური თუ მენტალურ-ლირებულებითი დაპირისპირების პირდაპირი გამოძახილია. ამიტომაც, მიუხედავად იმისა, რომ აბუქანი გამოგონილი ქალაქია, ხოლო საფრანგეთის დედაქალაქი — ნამდვილი, ამბავი ყველგან ნამდვილია და ამდენად მტკივნეული, საყურადღებო და მნიშვნელოვანი.

პირველი, რაც ინტერესს აღძრავს, სათაურის პოეტიკაა. კვაზიმოდოს ქალაქის საზღვრები უაღრესად ფართოა, მიუხედავად იმისა, რომ ვიქტორ ჰიუგოს ცნობილი რომანის პერსონაჟის აღუზიას უშუალოდ პარიზთან მივყავართ. ამ ტექსტში კვაზიმოდოს ქალაქი ის ვრცელი სამყაროა, სადაც მოქმედება იშლება — მახინჯი, გადაგვარებული, სიკეთისგან დაცლილი, ერთმანეთ-



თან დაპირისპირებული, ბრმა ტყვიითა და ზიზღით დაცხრილული სამყარო, რომელშიც ჯიუტად ეძებს ადამიანი სიკეთესა და სიყვარულს, სილამაზესა და სათნოებას, მიტევებასა და თანადგომას. კვაზიმოდოს გარეგნული სიმახინჯე მთელი სამყაროს შინაგან არსად ქცეულა და ის სულიერი მშვენიერება, რომელიც პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის მნათეს მახინჯ სხეულში იმალებოდა, სადღაც უკვალოდ დაკარგულა. იპოვის ადამიანი და შეძლებს მის აღდგენას? ამ კითხვებზე პასუხების ამოკითხვას ნოდარ მაჭარაშვილის „კვაზიმოდოს ქალაქში“ შევეცდებით.

რომანს საინტერესო კომპოზიცია აქვს: თანამედროვე მსოფლიოს გლობალური პოლიტიკა და მთავარ პერსო-

ნაუთა ბედი აქ პირდაპირაა ერთმანეთზე გადაჯაჭვული — პირველი მეორის უბედურების მიზეზი ხდება. ტექსტში ორი განსხვავებული სამყარო ეჯახება ერთმანეთს. როგორ მორიგდებიან ეგზოტიკური აღმოსავლეთი და პრაგმატული დასავლეთი, შეძლებენ თუ არა ისინი ერთმანეთთან საერთო ენის გამონახვას? პრობლემა ტექსტის ორ დონეზე ვითარდება: გლობალურზე — ამერიკისა და ევროპის აღმოსავლური პოლიტიკის ფონზე და პიროვნულზე — არაბი ვაჟისა და ფრანგი გოგონას სიყვარულის ამბავზე.

რომანი საინტერესოა არქიტექტონიკის თვალსაზრისითაც. ნოდარ მაჭარაშვილის ენა სინთეზურია, მხატვრულანალიტიკური. ავტორი ქმნის მხატვრულ სინამდვილეს, რომელსაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, რეალური და გამოგონილი ფაქტები ასაზრდოებს, ამის პარალელურად კი შეიგადაშიგ გვთავაზობს ისტორიულ, რელიგიურ და ანალიტიკურ ჩანართებს: მსჯელობს თანამედროვე გლობალური პოლიტიკის მნიშვნელოვან საკითხებზე, ხსნის და განმარტავს ამა თუ იმ რელიგიურ ჩვეულებას და ეძებს მის ძირებს ყურანში, იხსენებს ახლო წარსულის კონფლიქტური ამბების პერიპეტიებს... ცხადია, ამგვარ თხრობას აქვს გარკვეული მიზანდასახულობა — ეს ფუნქციურად მნიშვნელოვანი პასაჟები, რომელთა მხატვრულ ტექსტში შეტანისას ავტორს ზომიერების გრძნობა არასოდეს ღალატობს, უფრო ცხადს ხდის რომანში განვითარებულ ამბებს. ამრიგად, მწერლის ენა ერთდროულად არის მხატვრულიც და პუბლიცისტურ-ანალიტიკურიც.

„კვაზიმოდოს ქალაქი“ აბუქანის ამბებით იწყება. მისი პრეზიდენტი ალავიტი-შიიტი საადია, რომელიც ტექსტის მიხედვით ჰაფეზ ალ-ასადის შვილია (ავტორს აქ თხრობაში სირიის ყოფილი პრეზიდენტი, ბაშარ ალ-ასადის მამა ჰაფეზიც შემოჰყავს, რაზეც ცოტა მოგვიანებით ვისაუბრებთ). საადი თავიდან თითქოს კარგადაა მის ქვეყანაში მყოფ დასავლური პოლიტიკური ელი-

ტის წარმომადგენლებთან (მათ კოლექტიურ სახეს ფრანგი დიპლომატი პიერ ოდიარი განახასიერებს). აბუქანშიც გარეგნულად მშვიდობაა და ცხოვრებაც ჩვეული წესით მიდის, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. „ქვეყანაში დენთის სუნი იდგა და საქმე იქამდე იყო მისული, რომ სადაცაა სამოქალაქო ომი გაჩაღდებოდა. [...] პრეზიდენტი საადი ჩვეული სიდინჯით აკვირდებოდა მოვლენათა განვითარებას და რეაგირებას არ ჩქარობდა. ქვეყანა კი ამასობაში ამოსაფრქვევად გამზადებული ვულკანივით ბუყბუყებდა. რელიგიურ ნიადაგზე სისხლისლვრამდე მისული განხეთქილება საუკუნეების წინათ იღებდა სათავეს...“.

საერთოდ, ამ რომანში დახატული სურათი ტიპურია თანამედროვე აღმოსავლური სამყაროს ყველა იმ ქვეყნისათვის, რომელიც მასშტაბურ სამხედრო დაპირისპირებაში აღმოჩნდა ჩათრეული და სამოქალაქო ომის მძიმე წლები გადაიტანა, რასაც ნგრევა და უამრავი ადამიანური ტრაგედია მოჰყვა თან. ამიტომაცაა, რომ ავტორი არ აკონკრეტებს ქვეყანას, სადაც სუნიტურ-შიიტურ დაპირისპირებაზე აღმოცენებულმა კონფლიქტმა ქვეყნის მშვიდობიანი განვითარება შეწყვიტა და ძმათამკვლელი ომი გააჩაღა. ზოგადი პოლიტიკური სურათი კი ესაა:

„ — თუნისში რკინა და ნავთი გინდათ, ალჟირში — გაზი, ეგვიპტისა ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა გხიბლავთ. ახლა ნავთობის გულისთვის აბუჰანს და ერაყს მიადექით! — ბევრი ქვეყნის წარმომადგენლი სტუმრობდა იმ საღამოს მიღებაზე პრეზიდენტს, მაგრამ საადი საფრანგეთის ელჩს მიმართავდა, სწორედ ის ჰყავდა ამოღბული მიზანში.

— ვერ გავიგე, არ მესმის, თქვენ ჩემს ქვეყანას ადანაშაულებთ თუ ამერიკელებს და თეთრ სახლს?

— ყველას გადანაშაულებთ... მთელ დასავლეთს!

აბუქანის პრეზიდენტის სიტყვებში ჩანს, ადამიანთა უფლებების დაცვის

სახელით როგორ განხორციელდა აღ-
მოსავლეთის ეკონომიკური და პოლი-
ტიკური ექსპანსია, რომელიც ძალიან
მტკიცნეული აღმოჩნდა ქვეყნისათვის:
„არაბული გაზაფხულის“ სახელწოდე-
ბით ცნობილი რევოლუციები მხოლოდ
დიქტატორთა სკამიდან გადმოგდებას
და ადამიანთა უფლებების დაცვას ემ-
სახურებოდა? ეს ზღაპრები და თანა-
მედროვე მითოლოგია სჯობს, ერთმა-
ნეთს მოუყვეთ“.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს გლო-
ბალური პოლიტიკური სურათი მწე-
რალმა ორ სიბრტყეზე წარმოაჩინა, რი-
თაც უფრო ღრმად და ხელშესახებად
დაგვანახა მთელი ტრაგიზმი შექმნილი
სიტუაციისა. დაპირისპირების გასამ-
წვავებლად სუნიტი და შიიტი ძმები და-
აყენა ერთმანეთის პირისპირ, განხეთ-
ქილება ქვეყანაში არსებულ ორ ძალას
შორის ერთი ოჯახის ფონზე გაშალა,
რითაც საზოგადოების საყრდენი, უმ-
ცირესი სტრუქტურული ერთეული —
ოჯახი, რომელზეცაა დაფუძნებული
მთლიანი სისტემის სიმყარე — მოშალა
და საფრთხე შეუქმნა საზოგადოების
ერთიანობასა და სიძლიერეს. უმცროსი
თურანი — შიიტი ჯაპანგირი — საკუ-
თარ მოძმე შიიტებს უნდა დაუპირის-
პირდეს, როცა უკვე განზე დგომა და
კონფლიქტში ჩაურევლობა აღარ შეიძ-
ლება და იარაღით ხელში სუნიტი ძმისა
და მისი თანამოაზრების მხარდამხარ
იბრძოლოს. უმძიმესი არჩევანის წი-
ნაშეა ალი თურანის უმცროსი ვაჟიშ-
ვილი: ერთ მხარეს არიან მამა და ძმა,
რომლებიც „ისლამური სამართლის“
სახელით ჯიპადს გეგმავენ და მიაჩინი-
ათ, რომ ეს სამშობლოს დაცვაა და არა
სამოქალაქო ომი; მეორე მხარეს კი —
შიიტი დედა, პრეზიდენტ საადის ოჯახ-
თან დაახლოებული პირი, რომელსაც,
ამავდროულად, ჯაპანის მეტი არავინ
ჰყავს. ურთელეს მდგომარეობაშია
პერსონაჟი, გარდა გენეტიკური ძაფე-
ბისა, რომელთაგან ერთი უნდა განცდეს
მეორის სასარგებლოდ, ახალგაზრდა
არაბ ყმანვილში პატრიოტის ხმაც საკ-
მაოდ მძლავრდება და იგი კარგად ხე-

დავს, რას მოიტანს ეს დაპირისპირება.
თუკი მუსტაფა ასე ხსნის ამ გარდაუ-
ვალი დაპირისპირების მიზეზს — „საა-
დების ოჯახი ორმოცი წელია, ქვეყანას
ყვლეფს და ანადგურებს... სოციალის-
ტურმა პარტიამ აღარც რჯული შეგ-
ვარჩინა და აღარც რწმენა. ყველა სფე-
რო კორუფციამ გამოხრა. შველა სჭირ-
დება ხალხს, შველა!“ — ჯაპანი კარ-
გად ხედავს, რომ ეს სამოქალაქო ომია,
რომელსაც აუცილებლად მოჰყება
ქვეყნის ნგრევა, ტერორისტული აქტე-
ბი, უსამართლობა და უამრავი უდანა-
შაულო ადამიანის სიკვდილი: „ისლა-
მური სამართალი“ საკუთარი ქვეყნის
დაქცევით და ავტომატის სროლით არ
გამოიხატება. როდესაც მართალი ხარ
და უმოწყალოდ გჩაგრავენ, თავი ისე
უნდა დაიკვა, რომ თვითონვე შენ არ
იქცე მჩაგვრელად. თქვენ აშკარა ტე-
რორიზმს ჯიპადს ეძახით, ხოლო კაცის
კვლას — სამშობლოსთვის ბრძოლას.
რა ვქნა, არ მნამს ასეთი უგუნური აღ-
ტკინებებისა“.

მწერალი ტექსტში ახმოვანებს ყვე-
ლა თვალსაზრისს, რომელიც კი არსე-
ბობს დღეს მსოფლიო გეოპოლიტიკურ
ველზე ამ საკითხის გარშემო. თუმც
პოზიცია — პრობლემების მოგვარება
ქვეყნის შიგნით, გარეშე ძალის ჩაუ-
რევლად — საკმაოდ გულუბრყვილოდ
მოჩანს ლამის 70-წლიანი დაგროვე-
ბული გამოცდილების გათვალისწი-
ნებით. მთელი ეს გამოცდილება მწე-
რალს მხატვრულ ტექსტში გადააქვს,
ერთგვარად ახდენს შეჯამებასაც და
შეფასებასაც, და თან იმასაც გვიჩვე-
ნებს, რომ მსოფლიომ ვერაფერიც ვერ
ისწავლა ამ პრაქტიკით, ვერც პროვო-
კაციის ანკესზე წამოგებისგან თავის
დაღწევა შეძლო და ვერც მოძალებულ
მილიტარიზმსა და რელიგიურ ფანა-
ტიზმს მოუხერხა რამე. ამიტომ, რამ-
დენადაც გულუბრყვილოდ უღერს ჯა-
პანის გულწრფელი და გულანთებული
პოზიცია: „მოდით რა, თავი დავანებოთ
ამ მონსტრ ქვეყნებს და ჩვენს საქმეს
ჩვენ თვითონ მივხედოთ. არ შეიძლება,
რომ ერთხელ მაინც ვცადოთ?“, იმდე-

ნად მკაცრი და სასტიკია პასუხი, მრავალგზის გამოცდილი და განმეორებული: „არა, არ შეიძლება! პოლიტიკა პატარა სახელმწიფოებისთვის თამაში არ არის. აქ არჩევანია გასაკეთებელი, ან იქით უნდა წახვიდე, ან — აქთ“.

ტექსტში ჩანს, რა რთულია პერსონაჟისათვის რომელიმე ერთ მხარეს დგომა, ბრძოლა, თანამოძმის წინააღმდეგ იარაღის აღება, ადამიანების ხოცვა. შეიძლება, მას პირადი გამოცდილება ჯერ არ აძლევს უტყუარი დასკვნების გამოტანის საშუალებას, მაგრამ იმას კი გრძნობს, რომ, თუ ერთი ტყვია გავარდა, მერე მტყუან-მართლის გარჩევა შეუძლებელი გახდება. ეს ისტორიამაც მრავალგზის გვაჩვენა. ომი ყველას სჯის, ყველა მხარეს გამოუსწორებელ ზიანს აყენებს განადგურებული სიცოცხლეების სახით, რომ აღარაფერი ვთქვათ უკან წასულ ეკონომიკასა და უსამართლობის მტანჯველ განცდაზე. ამიტომ, როგორიც არ უნდა იყოს მისი პოზიცია, ეს სწორი თვალსაზრისია: „ოცდამეერთე საუკუნეშიც კი არ ეთმობათ ეს მტაცებლური უინი თუ მზაკვრული ქმედებანი და ამ ავადმყოფური მისწრაფების აღსრულების ცინიკური ფორმა — სიკეთისა და მშვიდობის სახელით ადამიანების ამონვეტა“. და აქ საერთოდ არ აქვს მნიშვნელობა პირველი ტყვიის მსროლელის ძებნას. მთავრი, რის გადარჩენაზეც ლიტერატურა წუხს, შეუფასებელი და განუმეორებელია — ეს ერთი ადამიანის სიცოცხლეა.

ახლა გვსურს, ყურადღება შევაჩეროთ იმ ტენდენციაზე, რომელიც უფრო და უფრო ხშირად იჩენს თავს თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში. ესაა ახალი მხატვრული სტილი ჰიპერერალიზმი (სუპერერალიზმი). იგი ხელოვნების ერთ-ერთი მიმდინარეობაა, რომელიც გასული საუკუნის მეორე ნახევარში ფერწერასა და სკულ-პტურაში გაჩნდა და შემდეგ თანდათან გავრცელდა სხვა დარგებშიც. ლიტერატურაში იგი გულისხმობს რეალური, ცხოვრებისეული დეტალების, ამბების, პიროვნებების ზუსტ, ფოტოგრაფიულ

გადატანას მხატვრულ ტექსტში. ამ ტენდენციას უხვდებით განსახილველ რომანშიც. კერძოდ, მწერალს მართალია პასიურად, მაგრამ სიუჟეტში შემოჰყავს რეალური პიროვნება, სირიელი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, შემდეგში კი ამ ქვეყნის პრეზიდენტი ჰაფუზ ალ-ასადი (ბაშარ ალ-ასადის მამა). „კვაზიმოდოს ქალაქში“ იგი გამოგონილი ჯუჯა სახელმწიფოს, აბუქაანის, პრეზიდენტის საადის მამაა. „კედელზე პრეზიდენტის მამის, თანამედროვე აბუქაანის მმართველობისა და წყობის შემქმნელის, კიტელში გამოწყობილი, ან გარდაცვლილი ჰაფუზ ალ-ასადის პორტრეტი ეკიდა. შვილის გაპრეზიდენტებამდე ჰაფუზი იყო ქვეყნის პირველი პირი და მმართველი, სოციალისტური პარტიის გენერალური მდივანი“. ასევე წიგნის ცალკეული თავის დასაწყისში ხშირად ვხვდებით სხვადასხვა ამბავს თანამედროვე აღმოსავლური სამყაროს უახლესი ისტორიიდან, მათი ურთიერთობის დეტალებს ამერიკულ და ევროპულ ოფიციალურ სტრუქტურებთან, რაც რეალობიდან პირდაპირაა აღებული. აღსანიშნავია რომანში განვითარებული მხატვრული ამბის რელიგიური დისკურსიც, კერძოდ მუსლიმური აღმსარებლობის ორი ფრთის — შიიტებისა და სუნიტების — წარმოშობა-განვითარების ამბები, და ის ერთგვარი პოლიტიკურ-რელიგიური პლატფორმა, რომელიც აღმოსავლეთის ზოგიერთი ქვეყნის დასავლეთთან ურთიერთობის საფუძველზე გაჩნდა ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან და რომელმაც მალე მკაცრი და დაუნდობელი ტერორისტული ორგანიზაციების ჩამოყალიბებას მისცა დასაბამი.

ტერორიზმის საკითხი აქტუალურია ნოდარ მაჭარაშვილის ამ რომანში და ეს ბუნებრივიცაა. ის მხატვრული სინამდვილე, რომელიც ეფუძნება თანამედროვე მსოფლიოს ვრცელ აღმოსავლურ-დასავლურ გლობალურ სამხედრო-პოლიტიკურ თუ კულტურულ-მენტალურ ამბებს, ვერაფრით აუქცევდა გვერდს ტერორიზმს. ჯაპანი

თითქოს თავიდანვე გრძნობს იმ საშიშ მომავალს, რომელთანაც მიიყვანს მუსტაფასა და მის თანამოაზრებს სამშობლოს დასაცავად წამოწყებული ეს ომი, რაც მართლდება კიდევ. მუსტაფა ერთ-ერთი ტერორისტული დაჯგუფების წევრი ხდება და წლების შემდეგ პარიზში ჩადის მისით — მან უნდა შეასრულოს საპასუხო ტერორისტული აქტი, რომლითაც უნდა დასაჯონ მუსლიმებზე დამამცირებული ფილმის გადაღებისა და კინოჩვენებისათვის მისი ავტორიცა და მაყურებლებიც. ტექსტის ეს პასაუი ცნობილი სატირული უურნალის, „მარლი ებდოს“, მიერ ისლამური სახელმწიფოს ლიდერის კარიკატურის გამოქვეყნების გამო 2015 წლის 7 იანვარს მომხდარი სისხლიანი ამბის რეპრეზენტაცია. რეალურ და მხატვრულ ამბებს შორის მსგავსება საკმაოდ დეტალური და გამჭვირვალეა (კარიკატურული უურნალი და ფილმი, თავდასხმის შედეგად დაღუპული უურნალისა და კინოთეატრისა თანამშრომლები... უნდა ვთქვათ, რომ აშკარაა, მწერალი არც ცდილა ამბის გაბუნდოვანებას, უფრო პირიქით). მთავარი აქცენტი, რომელსაც მხატვრული ტექსტი სვამს, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემატური საკითხია დღევანდელ სამყაროში — ის, რაც სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებითაა ახსნილ-გამართლებული ერთი მხარისათვის, რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა და დამცირებაა მეორისთვის:

„ — ამ ფილმით ჩვენ მთელ მუსლიმურ სამყაროს დავანახებთ, რომ არ გვეშინია სიტყვის თავისუფლების, რომ ამგვარადაც შეგვიძლია, პროტესტი გამოვთქვათ.

— ამ გარყვნილებას უნიდებ შენ თავისუფალ სიტყვას? თავისუფლება ყველაფრის უფლებას არ ნიშნავს, უაკ!“ — ვერაფრით ეთანხმება ფრანგს ნანახით შეძრული ნიკა, რომელსაც მიაჩინია, რომ დღევანდელ უკიდურესად დაძაბულ ვითარებაში ეს პროვოკაციაა მხოლოდ და არა დემოკრატიისა ან ლიბერალიზმის გამოვლინება. „არ არსებობს არანაირი

ეპოქა, წყობა, განვითარების ეტაპი თუ დონე, რომელიც სხვისი რჯულის შეურაცხყოფის უფლებას იძლეოდეს!“ — ბოლომდე შეუვალად რჩება ამ პოზიციაზე ქართველი ახალგაზრდა.

ავტორი ამ პასაუით კიდევ ერთხელ აკეთებს პედალირებას, რათა საზოგადოება დააფიქროს: მართლაცდა, რომელ მხარესაა სიმართლე? შეიძლება სიტყვის თავისუფლების სახელით ყველაფრის თქმა და დაწერა? რატომაა თავისუფლება ის, რაც სხვის შეურაცხყოფას გულისხმობს? პროტესტის ნებისმიერი ფორმაა გამართლებული, მითუმეტეს ისეთ მგრძნობიარე თემაზე, როგორიც რელიგია? ნუთუ საკუთარი პოზიციისა და აზრის გამოხატვა სხვისი დამცირების გარეშე არ შეიძლება?

მაგრამ მწერალი აქაც არ ჩერდება, საკითხს კიდევ უფრო აღრმავებს და საბოლოოდ კვლავ ლიტერატურის უმთავრეს პრობლემასთან მიღის — „რა სჭირს ადამიანს?“ ჯაპანს საკუთარი ზომიერი პოზიცია, ორივე მხარის სიმართლისა და შეცდომების ცოდნა, დასავლური სამყაროდან გახედვა და უკვე დაგროვებული ცხოვრებისეული გამოცდილება კიდევ უფრო უფართოებს თვალსაწირს და გაცილებით მნიშვნელოვან საკითხებზე დააფიქრებს. მას, ერთი მხრივ, ებრალება თავისი სამშობლო, არაბეთს შავი მზე და მის ქვეშ მცხოვრები მშობელი ხალხი, თუმცა, მეორე მხრივ, გრძნობს სხვის ტკივილსაც, ესმის, რომ სიკვდილი ერთნაირი უბედურებაა ყველგან. ამ დროს ჯაპანში საბოლოოდ იღვიძებს ღვთის ხატის მატარებელი ადამიანი მთელი თავისი მშვენიერებით. იგი დაპყურებს მინაზე უსულოდ დაგდებულ ერთადერთ ძმას, მაგრამ კინოთეატრში დაღუპული უდანაშაულო ხალხიც არ ავიწყდება. სჯერა, რომ არ არსებობს კაცი, რომელშიც მხოლოდ ბოროტებაა ჩაბუდებული. მთელი ძალით ცდილობს, გაუგოს ძმას და როგორმე ახსნას მისი საქციელი: „ჯაპანგირმა უფროსი ძმის სული ქანდაკებად წარმოისახა და გარშემო შემოუარა. სხვადასხვა ადილიდან

აკვირდებოდა, დაუინებით ეძებდა და მაინც ვერ დაეჯერებინა, რომ სიკეთეს ვერ დაინახავდა". პიქს სიცოცხლის გა-საგრძელებლად სჭირდება, მუსტაფა-ში სიკეთის თუნდაც სულ მცირე მარ-ცვლის არსებობა ირჩმუნოს, სჭირდება ცხოვრებაში დასარჩენად, სწორ გზაზე დასადგომად, შინაგან სამყაროში სიყ-ვარულის გადასარჩენად... მაგრამ, სას-ტიკი რეალობის წინაშე აღმოჩენილი, ხედება, ვერაფრით გაამართლებს ძმის საქციელს — ვერც უმეცრებით, ვერც შურისძიებით, ვერც რწმენის ერთგუ-ლებითა და ვერც სამშობლოს დაცვის კეთილშობილური იდეით.

საინტერესოა, რომ ამ აზრამდე მი-დის ალიც უფროსი შვილის დალუპვის შემდეგ. მან დაინახა, როგორ განირეს მუსტაფა წარმატებული ტერორისტუ-ლი აქტის შემდეგ თანამებრძოლებმა და მის პარიზიდან გამოყვანაზე აღარც უზრუნიათ. თუკი მანამდე ტერორიზმი სწორ გზად, ხოლო ტერორისტები გმი-რებად მიაჩნდა, ახლა საკუთარმა, პი-რადმა ტრაგედიამ დაანახა ის მთავარი, რასაც სიძულვილით დაბრმავებული ვერ ხედავდა. მიხვდა ალი, რომ მისი უბედურების მიზეზი შვილის არასწორი ემოციით აღზრდა იყო — არა სამშობ-ლოს სიყვარულით, არამედ მტრის სი-ძულვილით, სიძულვილით აღზრდილმა კი სხვა გზა ვერ დაინახა. ამიტომ ალი მიიჩნევს, ამ ყველაფერში დამნაშავე უნდა დაისაჯოს, ეს კი თვითონაა. ასე-თია ჰუმანიზმის კანონი — ზიზლი ვე-რასოდეს მოიტანს ვერც მშვიდობას და ვერც სამართალს, რაც ამ წიგნის კი-დევ ერთი მნიშვნელოვანი სათქმელია.

რომანში აშკარა სიყვარულითაა და-ხატული აღმოსავლური სამყარო, თით-ქოს ავტორს დასაკარგავად ენანება ის დიდი ლირსების გრძნობა და სამარ-თლიანობა, რომელიც ახასიათებდა აღ-მოსავლეთს და ცალკეული პერსონაჟის ხასიათით მის გაცოცხლებას ან უბრა-ლოდ შეხსენებას ლამობს თანამედრო-ვე კაცობრობისთვის, რომლისთვისაც სიტყვა აღმოსავლეთი უმთავრესად ტერორიზმთან და რელიგიურ ფუნდა-

მენტალიზმთან ასოცირდება. აღმო-სავლეთის სახე აქ თურანების ოჯახია, ალი და მისი შვილები გამოხატავენ იმ ლირსეულ ადამიანებს, რომელთაც, სამწუხაობ, დრო და პოლიტიკური მოცემულობა მაინც მოაქცევს თანა-მედროვე ყალიბში — ეს უკვე ათაგ-ზის განმეორებული არასასურველი რეალობაა. მიუხედავად რელიგიური სხვადასხვაობისა, ძმებს ერთმანეთთან სისხლის უძლიერესი შემაკავშირებელი ძალა აერთებთ და თუნდაც ისინი სხვა-დასხვა მხარეს იბრძოდნენ, ერთმანეთს მაინც ვერასოდეს წირავენ. როდესაც ჯაჰანგირი ძმას მის თანამებრძოლთა-გან დატყვევებული დედის გამოხსნას სთხოვს, რომელიც მეორე დღეს სიკ-ვდილით უნდა დასაჯონ შარიათის კა-ნონების მიხედვით, მუსტაფა ამბობს: „მამასთან და ძმასთან დაგვიანებული მოსვლა არ არსებობს, სისხლის ყივილ-მა წამზომი და დრო არ იცის...“. და უფ-როსი თურანი საკუთარი თანამებრძო-ლების წინააღმდეგ დროებით იარაღს იღებს ხელში და ძმის გვერდით დგე-ბა. განშორებისას კი ასე მიმართავს: „რაც შეეხება ჩვენს ურთიერთობას, მინდა გახსოვდეს და დარწმუნებული იყო, რომ ბზარი არასოდეს გაუჩნდე-ბა, შენ ყოველთვის ჩემი ძმა იქნები და მუდამ მეყვარები“. ასევე იქცევა წლე-ბის შემდეგ უკვე პარიზში მცხოვრები ჯაჰანიც, რომელსაც კარიერაც აწყო-ბილი აქვს და ცხოვრებაც ასე თუ ისე დალაგებული ტერორისტული მისით ჩამოსულ ძმას უარს მაინც ვერ ეუბნე-ბა დახმარებაზე; იცის, რომ ამით ბევრ ადამიანს გადაარჩენს, მაგრამ მაინც ვერ ახერხებს ძმის დაბეზღებას პოლი-ციაში, მეტიც, მისთვის საკვები მიაქვს მთელი კარიერისა და სიცოცხლის რის-კის ფასად. და ეს იმ ფონზე, როდესაც ფრანგი ელჩი პიერ ოდიარი სამკვდრო-სასიცოცხლოდაა ძმასთან დაპირისპი-რებული, თანაც ყველაზე ამორალური მიზეზით — მის ცოლთან სასიყვარუ-ლო კავშირის გაბმის გამო; ხოლო ძმის სიკვდილის შემდეგ მისი ერთადერთი და დახეიბრებული შვილისთვის ყვე-

ლაფრის წართმევას აპირებს.

დაბოლოს, რომანის უმთავრეს თემასაც მივადექით: სახელწოდება „კვაზიმოდოს ქალაქი“ თავიდანვე მიგვანიშნებს, რომ ტექსტში სიყვარულის ტრაგედია აუცილებლად უნდა გათამაშდეს. ჯაპან თურანი იძულებული ხდება, დატოვოს მშობლიური მიწა და ომის კაციჭამია კანონს ევროპაში გაექცეს. თუმცა ამ გადაწყვეტილების მისაღებად მას სხვა არანაკლებ ძლიერი მიზეზიც აქვს — ეს სიყვარულია. ვერ ვიტყვით, რომელმა უფრო დიდი როლი შეასრულა, ამაში თავად პერსონაჟიც ვერ გარკვეულა. სიყვარული, მეტადრე ვნებიანი სიყვარული, რომელიც გარეშეცნობიერი სფეროს კუთვნილებაა, რაციოს მიღმა მოქმედებს და ამოქმედებს ადამიანს. მიმი ოდიარისადმი ძლიერი გრძნობა პარიზში ჩაიყვანს არაბ ყმაწვილს, მაგრამ მისთვის ვერც ეს მონესრიგებული ევროპა აღმოჩნდება ბედნიერების სივრცე. ზოგადად, აღმოსავლური მენატლიტეტისთვის ბევრი რამაა მიუღებელი დასავლურ სამყაროში და ეს ბუნებრივია. იმის საშუალებას, რომ ადამიანმა თავი იგრძნოს მეტნაკლებად ბედნიერად მისთვის უცხო გარემოში, მხოლოდ სიყვარული იძლევა. ჯაპანს აქაც იმედგაცრუება ელის. წასვლის წინ ქალის მიერ ნათქვამი „მიყვარხარ“ რატომდაც უეცრად სადღაც ქრება.

მიმი ოდიარი ორ მამაკაცს შორის იხლიჩება. ხან არაბი ჯაპან თურანი მოსწონს და ხან ქართველი ნიკა შარაშენიდე. რომანში განვითარებული მოვლენები ცხადყოფს, რომ მას ეგზოტიკა იზიდავს, მის ხასიათში უცხოს, განსხვავებულისადმი ინტერესი უფრო იყითხება, ვიდრე სიყვარული. ამიტომაც მისი სიმპათია ორ აღმოსავლელს ერგო სხვადასხვა დროს. თუმცა ვფიქრობთ, რომ მიმის ხასიათს ფსიქოლოგიური სიღრმე აკლია, რაც ადვილად დაგვაჯერებდა არაბეთიდან ჩამოსული ქალის სხვა მამაკაცისადმი უეცრად გაჩენილ გრძნობაში, შემდეგ კი მის ორჭოფობაში. მაგრამ, მეორე მხრივ, სრულყოფილი სიღრმითაა მო-

ცემული ჯაპანის მხატვრული სახე, ამიტომაც მის გრძნობებში არასოდეს გვებარება ეჭვი. ხოლო ის პასაუი, როდესაც საყვარელი ქალის ჯვრისწერას ესწრება სრულიად მოულოდნელად პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში, ემოციურად ერთ-ერთი უძლიერესი ადგილია ტექსტში. სიყვარული იმდენად ყოვლისმომცველი გრძნობაა არაბი ჭაბუკისათვის, იმდენად ყველაფერ დანარჩენზე მაღლა დგას, რომ ქრისტიანული ტაძარი მისთვის საერთოდ კარგავს თავის დენოტაციურ მნიშვნელობას და მხოლოდ ამ უდიდესი გრძნობის გამომხატველად იქცევა. არაბი ყმაწვილისთვის ამ უცხო ქალაქში ეს ყველაზე უფრო „მისი“ ადგილია, ყველაზე ახლო და თბილი, ყველაზე მანუგეშებელი, რაც ვიქტორ ჰიუგოს რომანის ძლიერი ზეგავლენითაა გამოწვეული. ამიტომ პასაუი, როცა სულის ტკივილის ცოტათი მაინც დასაყუჩებლად კვაზიმოდოს სხვენს მიმართავს, იქიდან კი საყვარელი ქალის ჯვრისწერის მოწმე ხდება, ერთ-ერთი ყველაზე ემოციური პასაუია რომანში. „პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის ზარების გუგუნი გრიგალივით მოედო ქალაქს და მინდვრებს გადაუქროლა... ნოტრ-დამის სამრეკლოზე ატეხილი ზარების რეკვით ჯაპანმა მთელ სამყაროს გააგებინა თავისი გულისტკივილი, მთელ სამყაროს, მიმის გარდა...“. ღვთისმშობლის ტაძრის ზარების გუგუნი დაკარგული სიყვარულის გლოვაცაა და მისი საგალობელი უმაღლესი ჰიმნიც. აქ ამბავი სწრაფად მიიწევს კულიმინაციისკენ და შეყვარებული ჭაბუკის აღსასრული, როცა მას, ტერორისტად მიჩნეულს, კლავენ აღმოდებული ტაძრის სიახლოეს, ამ ტრაგედიის მწვერვალია. სიყვარულის მსოფლიო ტაძარი — ულამაზესი ნოტრ-დამი — იღუპება ყველაზე დიდ და უპირობო სიყვარულთან ერთად.

ყოველივე ზემოთქმული მწერლის სიყვარულის კონცეფციაზეც დაგვაფიქრებს. რისი თქმა სურს მას? მართლა შეუძლებელია დასავლეთისა და

ალმოსავლეთის ბედნიერი შერწყმა? ნუთუ ვერც სიყვარული ახერხებს ამ დიდი ბარიერის გადალახვას? მაშ, რა გამოდის, თუ ასეთი უმართავი და ყოვლისშემძლე გრძნობაც კი უძლურია ამ დროს? თუ ეს იმაზე მითითებაა, რომ დღევანდელ სამყაროში სიყვარულიც გაცვდა და მას ორი სიცოცხლის ერთ სრულყოფილ მთლიანობად ქცევა აღარ შეუძლია? იქნებ უპირობო სიყვარულის ადგილი აღარსად დარჩა? ბევრ ასეთ კითხვას აჩენს „კვაზიმოდოს ქალაქი“, არადა სათაურში ვიქტორ ჰიუგოს ამ პერსონაჟის ხსენება უპირველესად აქეთ მიმართავს მკითხველის წარმოსახვას. კვაზიმოდოს ანუ სიყვარულის ქალაქში სიყვარული მარტოობისა და უბედურების უმთავრესი მიზეზი ხდება. კვაზიმოდოს ქალაქში ანუ სამყაროში კი მხოლოდ ომი, უსამართლობა, ღალა-ტი და სიძულვილი გაბატონებულა.

კულტურას (ლიტერატურას, კინოს, თეატრს, სახვით ხელოვნებას) აქვს

უნიკალური უნარი, კაცობრიობას მის მიერ ჩადენილი შეცდომები სხვა მხრიდან დაანახოს და გადააზრების საშუალება მისცეს. ეს ერთგვარი კათარ-სისის გზაა, ტკივილის კიდევ ერთხელ განცდით მისგან გათავისუფლება, შეცდომის ალიარება და სინანული. ამიტომ ნოდარ მაჭარაშვილის ეს რომანიც უთუოდ დგას იმ მხატვრულ ქმნილებათა რიგში, რომელიც სასიცოცხლოდ სჭირდება ადამიანურ საზოგადოებას სამომავლოდ — დასაფიქრებლად და გასააზრებლად. და კიდევ იმის შესახ-სენებლად, რომ „სანამ ეს ცოდვით სავსე დედამინა ტრიალებს, ადამიანს ყოველთვის მიეცემა შესაძლებლობა, ბედნიერებას მისწვდეს. ბედნიერებას, რომლის მოპოვებაც კეთილშობილების გარეშე ყოვლად წარმოუდგენელია“.

თუმც კეთილშობილებითაც ხშირად შეუძლებელია...

მაგრამ მაინც!



თემო ჭახნავია

მასალაბი
ქართული პოეზიის ლიპსიციონისტების

ნისქვილის თემა ქართულ პოეზიაში

განვიხილავთ და ვისაუბროთ წისქვილის ისტორიასა და ამ თემაზე დაწერილ სხვა ქართულ პოეტურ ტექსტებზე.

პირველი წყლის წისქვილი უძველესი ცივილიზაციის აკვანში ანატოლიის ტერიტორიაზე, ძვ.წ. II საუკუნეში, მითრიდატეს დროს, ქალაქ ქიბერაში (ნიქსარი) ააგეს. მეცნიერებაში გავრცელებული აზრით, საქართველო არის წყლის წისქვილის ერთ-ერთი უძველესი კერა. წისქვილს სამეურნეო ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი ეკავა. ჩვენს მიწაზე ოდითგანვე იყო მარცვლოვანი კულტურები, როგორებიცაა: ხორბალი, ჭვავი, შვრია, ქერი, ფეტვი, სოიო, ღომი, სიმინდი... – ამ უკანასკნელს ხუთასი წელია თესავენ საქართველოში. შესაბამისად, არსებობდა ბურღულეულის დაფქვის საჭიროება. წყლის წისქვილებამდე ჰქონდათ ხელსაფქავები. კასპის მუნიციპალიტეტში, ციხიაგორას ნამოსახლარზე აღმოჩენილია ფარნავაზ I-ის დროინდელი, ძვ. წ. III საუკუნით დათარიღებული საფქვავი დარბაზი, სადაც სპეციალურ დაზგაზე გამართული ყოფილა რამდენიმე ათეული ხელის სასრესელა.

ჩვენი დალოცვილი ქვეყანა უანალო-გოა მდინარეთა რაოდენობით. სამეცნიერო პორტალ „დოქტრინაზე“ ვკითხუ-



ლობთ, ერთი შეხედვით, დაუჯერებელ რამეს: აღნერის მიხედვით, საქართველოში ამჟამად 26 060 მდინარეა, აქედან შევის ზღვის აუზის მიეკუთვნება 18 109 მდინარე, ხოლო კასპიის ზღვის აუზს – 7951. რაღა თქმა უნდა, მდინარეში იგულისხმება ნაკადულებიც და სოფლის დელებიც, რომლებზეც წყლის წისქვილები იყო მოწყობილი. ამჟამად ბარში იშვიათად შევხვდებით წისქვილის ტრადიციულ, მამაპაპურ ტიპს, რადგან ტექნიკის საუკუნეში მასობრივად გავრცელდა ელექტრონერგიაზე მომუშა-

ვე წისქვილები. ელ. ენერგიამ ჩაანაც-
ვლა წყლისა და ქარის ენერგიები.

ზემოთქმულიდან გამომომდინარე,
საქართველოში ყველა პირობა არსე-
ბობდა, რომ ბევრი წყლის წისქვილი
ყოფილიყო. წყლის წისქვილის დო-
ლაბი ნელა ბრუნავს და ხარისხიანად
ფქვავს, ხოლო დენზე მომუშავე წის-
ქვილის დოლაბი სწრაფად ბრუნავს და
ფქვილს ზედმეტად ახურებს, წვავს,
რაც გემოზეც აისახება.

წყლის წისქვილები საუკუნეების
მანძილზე გამართული ყოფილა თბი-
ლისში, მდ. მტკვარზე, ორთაჭალჰესი-
სა და მადათოვის მონაკვეთზე. 977-978
წლებში არაბი გეოგრაფი და მოგზაუ-
რი იბნ-ჰაუკალი, ავტორი თხზულებისა
„გზათა და სამეფოთა წიგნი“, წერს: „ქა-
ლაქი მდინარე მტკვარზეა გაშენებული.
წისქვილები ტფილისში (ისე, როგორც
მოსულსა და რაკაში, ტიგრსა და ევ-
ფრატზე) ნავებზე არის გამართული“.

ძველ თბილისში მტკვარზე არსე-
ბული აზიური ტიპის წყლის წისქვი-
ლები კომუნისტებმა დამალეს. 1951
წელს, გაზეთი „კომუნისტი“ იუნიებო-
და: „აღარ არის მტკვრის სანაპიროზე
საფრთხობელასებრ აღმართული დიდ-
ბორბლიანი წისქვილები. მათ ნაცვლად
სანაპიროს საყრდენი კედელი აქვს მტ-
კვარს გავლებული“.

ცნობისთვის, აჭარაში არის ერთი
ძვირფასი სოფელი „ხაბელაშვილები“,
სადაც ამჟამად არსებობს ტურისტუ-
ლი ბაზა – „წისქვილების სოფელი“.
აღნიშნულ ადგილას ხუთი წყლის წის-
ქვილია. მათგან უძველესი, რომელიც
ბერიძეებსა და ბოლქვაძეებს აუგიათ,
დაახლოებით სამასი წლისაა. დღეს მუ-
შაობს მხოლოდ ართმელაძეების წის-
ქვილი, რომლის დოლაბები ხელვაჩაუ-
რის ქვიდან არის გამოთლილი.

არსებობს ასევე ისტორიული დათ-
ვისის წისქვილი, რომელიც მდებარე-
ობს დუშეთის სოფ. დათვისში, მდინარე
დათვისისხევზე, რომელსაც არქიტექ-
ტურული ძეგლის სტატუსი აქვს.

ქართული ფოლკლორის მიხედვით,
ძველ ხალხში წისქვილსა და მენისქვი-

ლეზე არსებობდა მითოლოგიური წარ-
მოდგენები. წისქვილი იყო სამეურნეო
ობიექტი, სადაც ავსულებიც ბინად-
რობდნენ. მათ დამით არული ჰქონდათ
და ორგიერსაც აწყობდნენ – ასეთია
ხალხური თქმულება.

წისქვილისა და მენისქვილის თემაზე
ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობაში
არაერთი პროზაული ნაწარმოები შე-
იქმნა: X საუკუნის დასაწყისში ბასილი
ზარზმელმა თავის ბიძაზე დაწერა ჰა-
გიოგრაფიული თხზულება „სერაპიონ
ზარზმელის ცხოვრება“, სადაც გამოკ-
ვეთილია წისქვილისა და მენისქვილის
დემონური ბუნება. ასევე, სულხან-საბა
ორბელიანმა დაწერა იგავი – „ვირად
ცნობილი ყადი“, ხოლო ვაჟა-ფშაველამ
– ნოველა „წისქვილი“. მენისქვილე-
ებს ვხვდებით „დათა თუთაშიასა“ და
„ოთარაანთ ქვრივში“.

წისქვილმა მყარი ადგილი დაიმ-
კვიდრა ქართულ ანდაზებშიც: „თაგვმა
შეიძლება მთელი ცხოვრება წისქვილში
გაატაროს, მაგრამ მენისქვილეობისა
ვერაფერი გაიგოსო“; „ვირს რომ ზურ-
გი მოეფხანება, წისქვილის კარებს მო-
ადგებაო“; „ვინც რა უნდა თქვასო, წის-
ქვილმა კი ფქვასო“; „წისქვილის ქვები
ერთმანეთს რომ არ ეხმარებოდეს, ერ-
თმა რამდენიც უნდა იბრუნოს ვერას
დაფქვავსო“; „მოზიდული წყლით წის-
ქვილი არ ფქვავსო“ და ა.შ.

წისქვილის თემა ძველი დროიდან
წარმოადგენდა უცხოელი და ქართვე-
ლი პოეტების ინტერესის საგანს. ამაზე
მეტყველებს არაერთი პოეტური ნაწარ-
მოები, რომელიც შექმნილა ზემოაღ-
ნიშნულ თემაზე. პირველი, ვინც წყლის
წისქვილზე ლექსი დაწერა, იყო ძვ.წ. I
საუკუნეში მცხოვრები თესალონიკელი
პოეტი ანტიპატრე სიდონელი. ბოლო,
150 წლის მანძილზე, გამოცემულ ლიტ.
ჟურნალ-გაზეთებში წისქვილის თემაზე
დაწერილი სამოცდაათამდე ლექსი ვი-
პოვე. დარწმუნებული ვარ, რომ ქარ-
თულ პოეზიაში გაცილებით მეტი ლექ-
სი იქნება წისქვილისადმი მიძღვნილი.

ქართულ ხალხურ პოეზიაში გვაქვს
ათსტრიქონიანი კაფია, იუმორისტულ-

სატირული ლექსი „ბლავანთ წისქვილი“, სადაც ავტორი დასცინის უგარებისი წისქვილის ამგებთა გვარს. კარგი წყლის წისქვილს ნელი ფქვა ახასიათებს, ბლავანთ წისქვილი კი 150 კილოს ფქვას ერთ ლამეში და მარცვალს შუაზე ტეხს მხოლოდ, საიდანაც ცოცხალი ჭიები ცვივა, თავადი ჭავჭავაძები მაგ წისქვილში საფქვავს არ დაფქვავენ და ბოგანო ბლავანთ კი შეეფერებაო, – ასეთია ლექსის სარკაზმული შინაარსი:

„ბლავანთ გამართეს წისქვილი,
კადაჩალს გადის წკრიალი,
ლამეში საპალნესა ჰაფქვავს,
ურმებს გააქვის ჭრიალი.
– ორად სტეხს, სამად ვეღარა,
ეს მამაძალლის ტიალი!
ცოცხალნივ გადმეეყარნენ
ყელში ჩაცვინულ ჭიანი!
– მანდ ჭავჭავაძენ არ დაქვევენ,
ბლავანთ საფერი კი არი“.

რაფიელ ერისთავის ლექსი „წისქვილი“, აღნიშნულ თემაზე დაწერილი ერთ-ერთი პირველთაგანი ლექსია, რომელიც 1882 წელს გაზით „ივერიის“ მე-9 ნომერში დაიბეჭდა. სწორედ ამ ლექსიდან გავრცელდა ან უკვე ცნობილი სარითო წყვილი „ხორბალი-ბორბალი“. ეს რვამარცვლიანი ლექსი მცირე მოცულობისაა, ოთხი სტროფისგან შედგება და პოეტი გასაგები, სადა ენით აღწერს მომუშავე წისქვილისა და ფქვის პროცესს:

„წყალი მომშეუის ღარშია,
გამალებული შხრიალებს,
ქაფი დუღს, სწინწკლავს, ბორბალი
ციბრუტივთა წრიალებს!
წისქვილი მოქუხს, დოლაპი
ბრუნავს და ბრუნავს მალადა,
ვარცლი ზანზარებს, ხორბალი
კრიჭაში მოცურს წყნარადა.
აქ სარეკელადაც ტაშს უკრავს...
ერთი შაპხედეთ კუნასა!..
წისქვილიც, მათი ამყოლი,
ცეკვავს და უვლის ბუქნასა...
თეთრი მტვერია ყველგანა,
არა ჩანს მზისა შუქია,

სპეტაკს ფქვილს ისვრის დოლაპი;
დამდგარა ხორბლის ბუქია!..“

ოცდახუთი წლის გალაკტიონს 1916 წელს დაუწერია თოთხმეტმარცვლიანი ლექსი „წმინდა გიორგი“, რომელიც 1919 წელს ათესიტური რეჟიმის გამო დაუბეჭდავს შეცვლილი სათაურით – „ძველი წისქვილი“. სიუჟეტი ვითარდება ისტორიულ მცხეთაში, არაგვისა და მტკვრის შესართავთან მდებარე წისქვილის მახლობლად. ლექსს აქვს მითოლოგიური ბუნება და დემონური ელემენტები, სადაც დამით ზღაპრული არსებები, ჭინკები როკავენ და ალიონზე, წმინდა გიორგის გამოჩენისას ფრთხებიან:

„ლურჯ ზღაპარივით ხავსი ფარავს
დაწენილ წისქვილს,
წყალი იმტვრევა გადაკეცილ
ბროლის რკალებად.
და სინათლეში სილამაზით სავსე
ალები
კოჭამდე თმებით შადრევანზე
აირევიან –
არის კივილი, მღელვარება, ცეკვა,
სიცილი“. „ხმობა ნელდება, ცა ფითრდება და
მზე ამოდის,
წელში მოხრილი ზვირთივით დგას
ძველი წისქვილი“.

ლადო ასათიანმა 1941 წელს ათმარცვლიანი, ორიგინალური რითმებით შემკული ლექსი მიუძღვნა ნამკაშურის წისქვილებს. ნამკაშური რვაკილომეტრიანი მდინარეა ლეჩხუმში, კერძოდ, გუმარეშში (სვან. ტოპონიმი). ვერ გეტყვით, ამჟამად არის თუ არა აღნიშნულ მდინარეზე წყლის წისქვილები, თუმცა, ფაქტია, რომ მარადჭაბუქმა პოეტმა ამ ლექსით ძეგლი აუგო მას, რასაც დროის დინება ვერასდროს დაანგრევს. როგორც გალაკტიონის ლექსში, ლადოსთანაც გაკრთა წისქვილის მითოლოგიური ხასიათი, მთვარიანში მორონინე ქაჯებისა და ალქაჯების ხსენებით. აღნიშნული პასტორალური ლექსი დახუნძლულია შთამბეჭდავი მხატვრული სახეებით. ვისაც სოფელში უცხოვრია, განსაკუთრე-

ბული ემოციით შეიგრძნობს ამ ლექსის სურათ-ხატებს, ხილვებს, სადაც პოეტი მშობლიურ წისქვილებს მიმართავს:

„მე მიყვარს თქვენი ხის სასუმალი,
თქვენი ბორბლების მძლავრი
გრიალი“,

„თქვენი ქაჯები და ალქაჯები
ია-იების თვალთა ბრიალით“.

„თქვენ, წისქვილებო, უნეტარესი
შთაგონებების რომ ხართ სადგური“,
„მკლავს თქვენს გამჭვარტლულ

ჭურქვეშ შეკრებილ
სახლიკაცობის გრგვინვა-ბუხუნი“.

„და მეწისქვილე ნელში მოხრილი,
სულ ერთიანად გათუთრებული“.

„მკლავს ჩემი ტკბილი ლეჩხუმის

ჰავა, –

ახლადდაფქვილი ხორბლის
სურნელი“.

ვკითხულობთ და თითქოს ჩვენც
გვცემს და გვითრთოლებს წესტოებს
ახალდაფქული ხორბლის სუნი. ცნო-
ბილია ლადოს კიდევ ერთი საუკეთესო
კატრენი „წისქვილი“:

„გათეთრებულა პატარა სხვენი,
ობობა ქსელებს აბამს და ლამბავს,
და სარეკელას მადლიან ენით
წისქვილი ყვება მოსავლის ამბავს“.

საინტერესოა ჯემალ ინჯიას ლექ-
სი „სიყვარული წისქვილში“, რომელიც
1963 წელს დაიწერა და დაბეჭდილია
მის პირველ წიგნში – „ლიახვმა თქვა“.

ფორმის თვალსაზრისით, ეს პოეტუ-
რი ტექსტი შვიდმარცვლიანი საზომით
არის დაწერილი. პირველი ლექსია ალ-
ნიშნულ თემაზე, რომელიც ამ სალექ-
სო მეტრით დაიწერა. სულ ორი ლექსია
წისქვილზე ასეთ რიტმში დაწერილი.
პოეტი ლექსს იწყებს ორიგინალური შე-
დარებით, მდინარე ტანაზე წისქვილე-
ბი ჩიბუხებივით ჩანანო. ტანა გორში
მდებარე მდინარეა, მტკვრის მარჯვენა
შენაკადი. ლექსი შინაარსითაც ორიგი-
ნალურია, არც ერთ სხვა ლექსში მე-
წისქვილე არ გვევლინება აშიკად. ლექ-
სის ლირიკული გმირი ჩიბუხს ეწევა და
ლამაზ პეიზაჟს გაჰყურებს, თან სურს,

რომ სწორფერი წისქვილში შეიტყუ-
ოს საფერებლად. მერე იწყება „შებმის“
პროცესი, ინტერესით ეკითხება: როდის
მოხვალ, როდის მომიტან სიმინდს, ქერს
ან ხორბალსო, თან კვეხით ამბობს,
ჩემნაირ მეწისქვილეს ამ დუნიაზე ვერ
ნახავო, თან ეხვეწება, ოღონდ შენ მეწ-
ვიე და გასამრჯელო თუ გამოგართვა,
მიწა გამისკდეს და ქვესკნელში ჩამი-
ტანოსო. ლექსის კულმინაციური ფაზა
კი მართლაც უბადლოა, მეწისქვილეს
ასეთი პირობა აქვს: მინდად შენ უნდა
დამრჩეო. აბა, რომელი გასამრჯელო
სჯობს მინდად დარჩენილ ქალს?! ამ
შტრიხით ის ყველასგან გამოირჩა და,
სატრანიალო ბუნებასთან ერთად, ლექ-
სმა შეიძინა იუმორისტული ხასიათი:

„ღმერთი გამიწყრეს ცაში,
ჩამომაქუფროს ზეცა,
მიწა გამისკდეს მაშინ,
თან ჩამიტანოს მეცა,
თუ გასამრჯელო გთხოვო.
შენგან არც არა მინდა.
ფქვილს სულ ჩაგიყრი, მხოლოდ...
შენ უნდა დამრჩე მინდად“.

მუხრან მაჭავარიანს აქვს ლექსი
„წისქვილის ლამე“, სადაც პოეტი რე-
ალისტურად და ნათლად ალწერს, პო-
ეტურად გვიხატავს წისქვილისა და
მთვარიანი ღამის პეიზაჟს, რომელსაც
მხრჩოლავი ჭრაქი ებრძვის, ნაჯახმიყუ-
დებულ ბუხარში შეშა იწვის და შიგ სა-
ლორე ღორის ხორცი იბოლება. მეწის-
ქვილე არსად ჩანს. გარეთ ხარი ჩალას
ჭამს და დროდადრო ბლავის, ახლოს კი
სოფლის საყდარია და სასაფლაო, საფ-
ლავის პორიზონტალურ ქვებს წისქვი-
ლის დოლაბებს ადარებს პოეტი:

„ტკბილად ღულუნებს წისქვილი
ლელის,
ლელეს ტირიფი შრიალით ბანს
აძლევს“. „დოლაბს არ გადურჩა, სიმინდი
გაკვნეტა.
წიქარამ ჩალის კონით ამოიძღო
ფაშვი“. „არ ჰგავს საფლავის ქვა წისქვილის
ქვას –

მაინც, ეს სიმინდს ფქვავს,
ის ადამიანს ფქვავს“.

2014 წელს ინტერნეტში გავრცელდა წალენჯიხაში გაზრდილი პოეტის, ანგარდაცვლილი რინოს კვარაცხელიას (1938-2014) ექვსსტროფიანი ლექსი „გოგიას წისქვილი“, რომელიც 1971 წელს დაიბეჭდა გაზეთში „კომუნიზმის დროშით“. ის ამ თემაზე დაწერილი ერთ-ერთი საუკეთესო პოეტური ტექსტია, რომელიც, მართალია, არ გამოიჩინება განსაკუთრებული ტექნიკური მახასიათებლებით, თუმცა მისი შინაარსობრივი და იდეური მხარე, სისადავე და უბრალოება, ემიციური ფონი, არავის დატოვებს გულგრილს. მენისქვილე გოგიასადმი პოეტი მოკრძალებულ დამოკიდებულებას გამოხატავს. წისქვილი პოეტისთვის სოფლის იმედია, რომელიც შემოდგომას წვრილ-წვრილად ფქვავს და სოფლის სიმდიდრეს და სიღარიბეს გლეხის გულივით გრძნობს. პოეტი გოგიასა და წისქვილის მომავალზე ფიქრობს და დარდობს. არ უნდა, რომ წისქვილი დაემსგავსოს ხის ფულუროში უქმად ჩარჩენილ ცარიელ ბუდეს და ოდესმე ნაწისქვილარი დაერქვას, რაც, შესაძლოა, სოფლის ნასოფლარად ქცევას მოასწავებდეს.

ეს ისეთი ლექსია, სრულად უნდა შემოგთავაზოთ:

„სოფლის ბოლოში პატარა დელემ,
გადააქცია ქოხი წისქვილად,
ბრუნავდა მერე, ბრუნავდა მერე
და შემოდგომას ფქვავდა
წვრლ-წვრილად.
აფეთქებული სოფლის იმედად
წისქვილი ლამაზ ოცნებას ჰქავდა,
ხშირად ლამითაც არ იძინებდა
და სიმინდივით ზღაპრებსაც
ფქვავდა.
ბევრი დაფქვა და ბევრი წაიღეს,
მაგრამ ყოფილა ღონების იდილიც,
სოფლის სიმდიდრეს და სიღარიბეს
გლეხის გულივით გრძნობდა
წისქვილი.
ხან სავსე ჰქონდა სიუხვით უბე,
ხან დაღვრემილი კაცივით სდუმდა,

და ჰქავდა ჩიტის ცარიელ ბუდეს,
ხის ფულუროში დარჩენილს უქმად.
ახლა გოგია შენი წისქვილი
ბრუნავს, თოვლია თუ მზე

აცხუნებს.

დელე ჩხრიალებს შენი სისხლივით,
წყალი კიარა ხვავი აბრუნებს,
და მე მგონია დელე თავს იხრჩობს,
ღარში ხმაურით გადამდინარი,
ნუ შეჩერდები გოგიას სისხლო,
ნუ დაგერქმევა ნაწისქვილარი“.

2010 წელს ნინო დარბაისელმა გამოაქვეყნა ლექსი „ძველი წისქვილი“ (შოტლანდიური ფოლკლორის მოტივებზე), რომელიც ოთხსტროფიანია და 10/6 მარცვლიანი სალექსო საზომების მონაცვლეობით არის დაწერილი. უანრობრივად ეროტიკულ-სატრუიალო ლირიკაა (პოეტის ეროტიკული შეფერილობის ბევრი ლექსი აქვს). სიუჟეტი ვითარდება წისქვილში, სადაც თავიდან სამნი არიან, მეწისქვილემ ტომარას თავი მოუკრა და გარეთ გადის. ქალი თავის სწორფერს მაცდურად იწვევს საალერსოდ და მალე წისქვილის ქვა წელსქვემოთაც დატრიალდება. გარეთ კი თოვს:

„მეჩურჩულები.
მერეც მოასწრებ
სავსე ტომრების ცლას.
გარეთ ისევ ცრის. რა გვენალვლება,
რამდენიც გინდა, ცრას.
ფქვილის გემო გაქვს – ვამბობ
ხმადაბლა.
რაღაც ხომ უნდა ვთქვა.
ბრუნავს და ბრუნავს,
ბრუნავს და ბრუნავს
წელქვეშ წისქვილის ქვა“.

აქვე მინდა მოვიყვანო ავთანდილ ყურაშვილის სატრუიალო ბალადის ერთი სტროფი, რომელიც ფრაგმენტულად წისქვილსაც ეხება:

„და, როგორც ჩიტი დაფნიდან,
ელვისად შემომაფრინდა,
თავი მივეცით ბურანს...
ვისღა ახსოვდა აქეთკენ
რაზედაც მოვაშურე –
ფეხზე მკიდია, წისქვილი

ბრუნავს თუ არა ბრუნავს...
არ მიმესვლება ოჯახში,
მაგრა მომხვდება სულელს!“

ავთანდილ ყურაშვილის პოეზიაში
წისქვილებზე სხვა მშვენიერ ლექსაც
ვიპოვთ:

„ჩიფრიფებენ, მოუსხამთ
ხაგსის მწვანე კუნკული,
ისაა – გვერდზე წახრილი,
ესაა – წამოკუნტული;
წისქვილებო, ზღაპრების
გუდა ნუთუ დაცალეთ?
ჩაგჭკნობიათ დაწვები,
ვინ, ვინ აგასანსალებთ?..“

ალსანიშნავია, რომ მეთორმეტე სა-
უკნის საეკლესიო მოღვაწე, პერნარ
კლევორელი წისქვილს „გარყვნილების
ბუდეს“ უწოდებდა.

2016 წელს თემურ ელიავამ გამოაქ-
ვეყნა ელეგიური ტიპის ლექსი „წისქვი-
ლი“. ის დღესდღეობით პოპულარული
პოეტური ტექსტია, რომელიც საინტე-
რესო ექსპერიმენტია, ფორმალისტური
თვალსაზრისით. ერთმანეთს ენაცვლება
8/7- მარცვლიანი სალექსო საზომით და-
ნერილი სტრიქონები. ლექსში გამოყენე-
ბული ემფატიკური „ა“ (თვალისა, წლისა)
ხალხური ლექსისთვის დამახასიათებელ
განწყობილებას ქმნის. ამ რეფრენიანი
ლექსის ასეთი გარეგნული ეფექტი სუ-
ლაც არ არის აზრისთვის საზიანო. ფა-
ბულის მიხედვით, საუბარია მხცოვან
მენისქვილეზე, რომელიც თავის ახალ-
გაზრდობისდროინდელი სიყვარულის ამ-
ბავს ყვება თვალის ჩინდაკარგული, თუ
როგორ აურია თვალკაკაბა გოგომ თავ-
გზა და როგორ აქცია ზურგი, რომელ-
საც ვარსკვლავების მოწყვეტის პირ-
დებოდა. ერთ-ერთი სტრიქონი მეგრულ
ენაზეა დაწერილი, რაც ნათელს ხდის,
რომ ლექსის ლირიკული გმირი კოლხი
კაცია, მისი იმედგაცრუების ძველი ამბა-
ვი მკითხველში თანაგრძნობის განცდას
ბადებს და სევდიან განწყობილებას იწ-
ვევს ზამთრის პეზაჟის ფონზე:

„ასე მითხრა: – არ მინდაო,
ბიჭო, შენი დოვლათი.
რაც მაცვია იმითაო,

სხვას მივყვები ცოლათო“.

„კაცი, საცხა ასი წლისა,
იხსენებდა თავისას...
აღარც ფაცხა, აღარც ქისა,
აღარც ჩინი თვალისა.
გარეთ თოვდა, აბგად ჰქონდა
ერთი მუჭა ხორბალი,
ქარი ქროდა, ქარი ქროდა,
ტრიალებდა ბორბალი“.

2016 წელს ილია ერქვანიამ გამო-
აქვეყნა სამსტროფიანი ლექსი „ქარის
წისქვილი“, სადაც პოეტი ამბობს, რომ
ქვასაც გამოსდის კეთილი საქმე, თუ
მეორე ქვას გაანდობს სათქმელს და
ფუნქციას შესძენსო. აქ გვახსენდება
ერთი ქართული ანდაზა, რომლის რე-
მინისცენციაა ლექსის პირველი სტრო-
ფი: „წისქვილის ქვები ერთმანეთს რომ
არ ეხმარებოდნენ, ერთმა რამდენიც
უნდა იბრუნოს, ვერას დაფქვავსო“:

„ჩემმა წისქვილმა საფქვავი დაფქვა,
ქვასაც გამოსდის კეთილი საქმე,
თუ მეორე ქვას გაანდობს ნათქვამს
და თავის სახელს დაარქმევს
საგნებს...“

პურად ქცეული მერე ის ფქვილი,
სჭირდება ობოლს, ღარიბს თუ
მდიდარს...“

მოაგუგუნებს ქარის წისქვილი
მას, რაც სწყურია შორეულ ციდან...
და უხილავი ძალით და დარდით
ქვა ქვაზე ცურავს, ბლავის და

ცვდება...“

ლამის შავი ფრთა ადის და ჩადის
დიდ, უსასრულო ქარების მთებად...“

2017 წელს, უკრაინაში ყოფნი-
სას, რაულ ჩილაჩივამ გამოაქვეყნა
თოთხმეტმარცვლიანი ლექსი „ნანის-
ქვილარი“. პოეტი პირველივე სტრო-
ში ახსენებს ქართულ მითოლოგიაში
ცნობილი ბოროტი სულის – „ალის“ –
სახელს. ამით ის, გალაკტიონისა და
ლადო ასათიანის მსგავსად, წისქვილის
დემონოლოგიურ ბუნებაზეც მიუთი-
თებს. მისი ხსენება ავისმომასწავლე-
ბელია. მეორე სტროფში ნახსენები
„ჯეგეთა“ წმინდა გიორგის მთაა ზუგ-

დიდში. როგორც ვიცი, პოეტის ოდაბა-დეში, მშობლიურ სოფელ აბასთუმანში, გერგობას (გიორგობა) აპრილის თვეში განსაკუთრებით აღნიშნავდნენ. მითის მიხედვით, ალქალს აფრთხობს შელოცვა და წმინდა გიორგის სახელის ხსენება. სამშობლოდან შორს მყოფი პოეტის ლექსში სიყმანვილისდროინდელი სოფლის კადრები ილანდება და ლექსი მონატრების ძლიერი გრძნობით არის შთაგონებული. თავიდან გვიკვირს, თუ რატომ ჰქვია ლექს „ნანისქვილარი“, ბოლო სტრიქონით ვიგებთ, რომ ფქვილის ნასაღებად მისულ გლეხებს წისქვილი დამწვარი დახვდებათ:

„ნისქვილის ღარში გამალებით
მოშეუის წყალი,
ბრუნავს ბორბალი თითქოს
ბრუნავს სამყარო მთელი“,
„ნვანან ტომრები ბნელ კუთხეში,
როგორც მთვრალები,
სიმინდის მარცვლებს აურიალებს
დოლაბის ხმაზე“.
„ნამლევა მთვარეს ებჯინება
უთრთის კორტოხი,
(კოლხური ღამე ჩემს ხსოვნაში
ჩარჩა ეგეთად).
მთიდან ჩამოდის სურნელება ნორჩი
ფორთოხლის
და მთის კორტოხის სახელია
ჯეგე... ჯეგეთა“.
„სისხამზე სარჩოს წასაღებად
მოვლენ გლეხები,
და რა დახვდებათ? – მხოლოდ
ფერფლი, მხოლოდ ნაცარი!“

ბოლოსთვის მოვიტოვე ჩემთვის გა-
მორჩეული ლექსი.

2009 წელს ინტერნეტში გამოქვეყნდა კობა ჭუმბურიძის შთამბეჭდავი ეთნო-ლოგიურ-ლირიკული ლექსი „ნისქვილისა“, რომელიც 2013 წელს დაიბეჭდა მის სადებიუტო პოეტურ კრებულში, 2018 წელს კი „პოეზიარზე“ განთავსდა ალ-ბომში „პასტორალური პოეზია“, სადაც კოლეგების დიდი მონაბება დაიმსახურა. ეს პოეტური ტექსტი, ჩემი ფიქრით, გამორჩეულია ამ საუკუნის პირველ მეოთხედში დაწერილი წისქვილის ციკლის

თხუთმეტამდე ლექსში. ის ლექსიკური ერთეულების სიმრავლითაც გამოირჩევა, პოეტის მიერ გაცოცხლებულია მივიწყებული ძველი ქართული სიტყვები, რომლებიც არათუ სასაუბრო ენაში, ლიტერატურულ ნაწარმოებებშიც აღარ გამოიყენება, თუმცა დაკვირდით, როგორი პოეტური უდერადობის მქონეა ყველა. მკითხველმა რომ კარგად აღიქვას ლექსის შინაარსი, ნაგულისხმებ სიტყვებს მნიშვნელობებს გვერდით მივუწერ: „ხანდარა“ (ხანგრძლივ წვიმიანი); „ფიორა“ (ერთიანები); „ფრუტი“ (წვიმის ერთ-ერთი ტიპი); „ჭიატი“ (მცირე შუქი); „ფთილა“ (ბამბის ან მატყლის ნაკუნი); „ფოშტოოში“ (მცირე ნისლი); „აშიკი“ (ქალების მუსუსი); „მინდი“ (დაფქვისთვის მიღებული ცოტა ხორბალი); „ნკირი“ (ხის წვრილი ნაპობი); „შურშული“ (ორპირი ქარი); „ხვიმრა“ (პირამიდის ფორმის მარცვლეულის ჩასაყრელი წისქვილში); „ლირლილი“ (ტლანქი); „დოლაბი“ (წისქვილის მოძრავი, დიდი ქვა).

ლექსში მარტის თვეა, ამინდის ცვალებადობითა და დამახასიათებელი ხშირი წვიმებით. პოეტი ოსტატურად, ორიგინალური მეტაფორებითა და ეპითეტებით გვიხატავს სოფლის ლანდშაფტს. ტყემალმა კვირტები გამოიტანა, აბეზარი ქარი ყველგან დაქრის და ლრუბლებიდან ხანდახან თუ გამოიჭყიტება მზის შუქი, ხევიდან კი წისქვილის ხმა ისმის, რაც სოფელში სიცოცხლის დულილზე მიუთითებს. პოეტი ზღაპრების გუდას უწოდებს წისქვილს, რომელიც ავდარში მგზავრის იმედი და თავშესაფარია.

ფორმის თვალსაზრისით, ლექსი შვიდმარცვლიანია, 5/2 იშვიათი მეტრის რიტმული ვარიაცია, რომელსაც ორმარცვლიანი, ჯვარედინი რითმები აქვს. რითმათა სიუხვე ლექსს მელოდიურს ხდის და სტრიქონები წისქვილის ბორბლისკენ დასხლეტილი წყალივით, რაკრაკით იკითხება. ლექსიდან ვიგებთ, რომ მეწისქვილეს ბონდო ჰქვია, რომელიც კეთილი და სათნო კაცი ჩანს, მცირე მინდის და ცოტა ჭორის მეტს არაფერს ითხოვს. მგზავრთან ერთად, წისქვილში არსებულ ბუხარს მიუჯდება სამუსაიფოდ, ცეცხლს შეუკეთებს

და ძველ ამბებს გაიხსენებს. ლექსში
მითოლოგიური ჭინკებიც აფხაკურდე-
ბიან და ბუხარში ფიჩები ჩინჩელებს
გაყრიან. სიცოცხლის წუთები, საათები
და დღეები კი ფურაჟივით იღერდება.
პოეტმა ორიგინალური ტროპი გამოი-
ყენა ლექსში, როდესაც მარცვლეულის
ჩასაყრელი ხვიმრა ქვიშის საათს შეა-
დარა და ჩაგვაფიქრა ყოფიერებაზე,
წუთისოფლის ხანმოკლეობაზე, რომე-
ლიც მარცვლეულივით და ქვიშასავით
ნელ-ნელა იცლება. ლექსის ბოლოს პო-
ეტი მონუსხულ მკითხველს დამის ცაში
აახედებს და ყველაზე დიდ დოლაბს –
მთვარეს შეახედებს, რომელიც ნისლე-
ულშია გახვეული. გავიხსენოთ კობა
ჭუმბურიძის ლექსი:

ნისქვილისა

ვიდრე ხანდარა მარტი
დაიბეჩავებს ავდარს,
ტყემლის ფიორა კვირტი
ედიდგულება ზამთარს.
ქრის აბეზარი ქარი,
თებერვლის ავი კუდი,
ამღვრეულია დარი,
თქეშს ენაცვლება ფრუტი.
ხან რომ შხაპუნა წვიმა
დაუჭაქუნებს კრამიტს,
ხანაც ჭიატი მცირე
შემოაბრუნებს ამინდს.
ნიავს ჭორივით დააქვს
ფთილა ფოშფოში ნისლის.
რა საამური ხმა აქვს
ხევში გამართულ წისქვილს,
უძირო გუდას ზღაპრის,
თავადაც ლამაზ ზღაპარს,
გზას შერჩენილი მგ ზავრის
იმედს და თავშესაფარს.
ღარს დასხლეტილი წყალი
ჩაუხვევია ბორბალს,
კოტრიალობს და ბორგავს,
როგორც აშიკი ცხარი.
თავპრუდახვეულ დოლაბს
კრიჭა უზოგავს ხორბალს,
საკვამურს ცაში ბოლის
აუკლაკნია ხიდი,

მოლონიერდა ბინდი,
ბორცვები გადახუნდა,
ზის მენისქვილე ბონდო,
ბევრი არც არა უნდა,
ცოტაოდენი მინდი,
ორი იმდენი – ჭორი,
აპა, ეშველა მგონი,
მგ ზავრი გამოჩნდა შორი.
მალე გუზგუზა ბუხარს
მიუცუცქდება ორი
და მონდომებით გაჩხრეკს
ყოფიერების ავ-კარგს,
მოიგონებენ ამბებს,
გარდასულსა და გამქრალს,
და ამ დუდუნის მიღმა
სევდის ელფერი დაკრავს
ღარში ნაკადის რაკრაკს
და სარეკელას რიკრიკს,
წისქვილმა ფიქრი იცის,
ფიქრი შორეთში მიქრის...
საიდუმლოსი, დიდის,
მოგეძალება განცდა,
წუთისოფელი, ფლიდი,
რა დაუნდობლად გძარცვავს,
როცა სიცოცხლეს შენსას
ისე ღერლავს და ნაცრავს,
როგორც ბუხარი წკირს და
როგორც დოლაბი მარცვალს...
სმენას მოგტაცებს წამით
შურშული ხმელი ისლის,
ამ ბურდებიდან დამით
ჭინკის ფხაკურიც ისმის,
ბუხარში ფიჩები, სველი,
ბრაზობს, ნაპერნკალს ისვრის,
მოპყება ხიბლი ძველი
ხევში გამართულ წისქვილს,
სადაც ფიქრი და განსჯა
ხანდახან ლექსად იშვის
და იწრიტება ხვიმრა,
როგორც საათი ქვიშის,
სადაც დოლაბის ღირლილს
უხამებს გული ძგერას
და გაუმხელი შიშით
ეპოტინება მზერა
ნისლეულების გროვას,
შორეულ ცაში მბოლავს
და თვალსაწინიერს ჩვენსას,
ერთ უზარმაზარ დოლაბს.


მურად მთვარელიძე

მოხუცი მარტინი

მოხუცმა მევიოლინემ ცას გახედა და გაიფიქრა: „დღეს განსაკუთრებული საღამო მელოდება, ცაზე ყველა ვარსკვლავი გაბრნებული და მთვარეც თავის სხივებს ვერცხლსა და ოქროს გაურევს.“

მოხუცი მევიოლინე მარტო ცხოვრობდა. აბა, ნარმოიდ-გინეთ, ფერდობზე შეფენილი ტყის პირას პატარა, ლამაზ-კედლებიანი სახლი, ასეთივე ლამაზი ეზოთი და იმ ბაღში დღემუდამ მოფუსფუსე მოხუცი, რომელიც ყვავილებსა და სხვა ულამაზეს მცენარეებს თავს ევლებოდა და სულ იმის ცდაში იყო, მათ მიმართ მეტი მზრუნველობა გამოეჩინა.

– თუ ამდენს შრომობდა, მეტი რაღა უნდა ექნაო, – ვიცი, რომ მსაყვედურობ შენ, ჩემო პატარავ, შენ ხომ ჩემი მოაზროვნე და ინტერესიანი მკითხველი ხარ, მაგრამ ძალიან გთხოვ, ნუ გამიბრაზდები, მე ის მოხუცი ძალიან მიყვარს და ასე იმიტომ დავწერე, რომ მისი მზრუნველობისა და თავდადების ხარისხი შენს თვალში კიდევ უფრო მეტად გამეზარდა. ახლა არ მითხრა, ხარისხი რაღა-აო. შენ ხომ უკვე საიმისოდ დიდი ხარ, თუმცა, რაკი შენს თვალებში მაინც ვხედავ ერთგვარ დაბნეულობას, ამასაც აგიხსნი: იცოდე, რომ ყველაფერს იმის მიხედვით ვაფასებთ, შრომასთან ერთად, თუ როგორ ვახმართ მას ჩვენს



ცოდნასა და გამოცდილებას. ისიც ხომ ვიცით, რომ ზოგს შრომისმოყვარეობა აკლია, ზოგს – ცოდნა, ზოგსაც – გამოცდილება... აი, როცა ეს სამივე რამ ადამიანში არის თავმოყრილი, მისი ნამუშევარი ყოველთვის ხარისხიანი, ანუ საუკეთესო გამოდის. ჰოდა, ჩვენი მოხუცი მევიოლინეც სწორედ ასეთი იყო. წლებს მისთვის, დიდ ცოდნასა და შრომისმოყვარეობასთან ერთად, დიდი გამოცდილებაც ებოძებინა.

– რა? კიდევ გაგიჩნდა კითხვა? კი, შენი თვალები ნამდვილად ამას მეუბნება. აბა, მითხარი, რა ვერ გაიგე? – „ებოძებინა“ არ იცი რა არის? ახლავე აგიხსნი, ჩემო ცნობისმოყვარე მეგობარო, მაგაზე როგორ დაგზარდები, უკეთეს საქმეს რას გავაკეთებ? იცი, როგორ მიყვარს ვინმეს რაიმეს რომ ვუხსნი და ისინიც რომ გულდასმით მისმენენ?! ჰოდა, რაკი შენც ერთი მათგანი ხარ, ვისაც ასე უყვარს კითხვაც

და მოსმენაც, მეც ბედნიერად ვთვლი თავს, რომ კიდევ ერთი ლამაზი სიტყვა გაგაცნო: მაშ ასე, დაიმახსოვრე: ებოძებინა, ანუ მიეცა, ეწყალობებინა, სულ ერთია, რომელ სიტყვას გამოიყენებ, მე კი ეს სიტყვა უფრო მომწონს და ამიტომაც ის გავიხსენე.

— ჰო, კარგი, კარგი, ყველაფერი გავიგე, გააგრძელეო, — მესმის შენი ხმა. ჰოდა მეც ვაგრძელებ:

ერთი სიტყვით, ჩვენი მოხუცი მევიოლინე მთელი დღე თავის ბალნარში ტრიალებდა და ყვავილებსა და მცენარეებს როგორც ადამიანებს ისე ელაპარაკებოდა. იმ ახლომახლოში სხვა არც არვინ იყო, თავისი სიხარული თუ სადარდებელი რომ გაენდო, ამიტომ ყველაფერს, რაც უხაროდა ან სწყინდა, ხან ყვავილებს უზიარებდა, ხან — ჩიტუნებს, მასთან ხშირად რომ სტუმრობდნენ და, თქვენ ნარმოიდგინეთ — ხან ტყის სხვა ბინადართ... ისინიც თავისებურად უხსნიდნენ გულისკარს მოხუცს და ათასგვარ საალერსო და სამადლობელ სიტყვას უუბნებოდნენ.

იმედი მაქვს, შენ იმდენად ნაკითხი ყმანვილი ხარ, არ გაიკვირვებ და მით უმეტეს, არ მისაყვედურებ: ფრინველებმა და ცხოველებმა, მით უფრო, მცენარეებმა ლაპარაკი არ იციანო!.. ხომ იცი, რომ ასე არ არის?! — ბუნებაში ყველაფერს თავისი ენა აქვს და ჩვენმა მოხუცმა მევიოლინემ მათი ენაც ჩინებულად იცოდა.

— კი, მაგრამ ბუნების ენა ვინ ასწავლა? — მეკითხებიან შენი თვალები...

— რა კარგი ვინმე ხარ, რა დროული და კარგი კითხვა დამისყო, ვიცოდი, ვიცოდი, ამას რომ მკითხავდი. აი, რა გითხრა: ჩვენს მოხუც მევიოლინეს ესეც დრომ და გამოცდილებამ ასწავლა, სულ მათთან ტრიალებდა, თანაც ის ხომ მუსიკოსია, მევიოლინე, ბგერა სულ სხვაგვარად ესმის და ფრინველებისა და მცენარეების ენაც სხვა რა არის, თუ არა მუსიკა? ერთი სიტყვით, ჩვენი მოხუცი მევიოლინე ბუნების ნამდვილი მესაიდუმლეა, ამიტომაა, რომ არა მარტო თავისი ეზოს ბინადარ მცე-

ნარეებსა და ფრინველებს უყვართ ასე ძალიან, ტყის მოღუშულ ცხოველებსაც კი სახეზე ღიმილი ეფინებათ, როცა მას იხსენებენ და ცდილობენ, ხშირად მოინახულონ და მისი ვიოლინოს ღვთაებრივი უღერით დატკბნენ.

— ჩვენო საყვარელო მოხუცო, წუხელისე კარგად გვეძინა, ისეთი ლამაზი და ფერად-ფერადი სიზმრები ვნახეთ, ისეთი ბედნიერები ვართ, რომ აღარც კი ვიცით, მადლობა როგორ გადაგიხადოთ! — დილით, ბალნარში გასვლისთანავე მიახარეს მოხუც მევიოლინეს ყვავილებმა და სხვა მცენარეებმა...

— ჩვენც, ჩვენც, მთელი ღამე უმშვენიერეს სიზმრებში გავატარეთ! — მათ სამადლობელს ჩიტუნებიც აჰყვნენ და მოხუცის ეზო ლამაზ-ლამაზი სიტყვებითა და სიყვარულის გადაძახილებით აივსო.

საქმე იმაშია, რომ ყოველ სალამოს, როცა დღე ბინდის პირბადეს ჩამოიფარებდა და ვარსკვლავებისა და მთვარის მოლოდინში ცას სრული სიჩუმე მოიცავდა, მოხუცი მევიოლინე თავის ძველთაძველ ვიოლინოს გამოიტანდა და ისეთ მელოდიებს ააჟღერებდა, ისეთი გატაცებითა და შემართებით უკრავდა, რომ მცენარეები და ფრინველები თუ ტყის ბინადარი ცხოველები, ყველა მისკენ მოისწრაფვოდა და ამ ჰანგებს სულგანაბულები უსმენდნენ.

ახლა მთვარე და ვარსკვლავები? როგორც კი მისი ვიოლინოს ხმა მათ ყურთასმენას მისწვდებოდა, ერთმანეთს ასწრებდნენ, ჯერ აკიაფდებოდნენ, მერე უფრო გაკაშკაშდებოდნენ და, მადლობის ნიშნად, იქიდან უგზავნიდნენ სიყვარულით დატვირთულ სხივადონებს.

— ეს სხივადონები რაღამ მოგაფიქრა? — ეშმაკურად ილიმები და, ვგრძნობ, ეს სიტყვა შენც მოგეწონა.

— აბა, რა ვიცი, მხრებს ვიჩეჩავ მე, — აი, ახლა კი პასუხი არ მაქვს, მეც არ ვიცი, რატომ მოვიფიქრე ეს სიტყვა. ეტყობა, მინდოდა, უფრო მეტი სიყვარული გამომეხატა ჩვენი მოხუცი მევიოლინეს მიმართ!

— მეც ასე ვიფიქრე! — მეუბნები შენ და, ვიცი, ერთი სული გაქვს ახლა მთვარეზე გითხრა რაიმე.

რომ იცოდე, როგორ მამხნევებს შენი ასეთი მხარდაჭერა. რაც შეეხება მთვარეს, ის დინჯად გამობრძანდებოდა ხოლმე ცაზე, მერე მოხუცი მევიოლინეს ეზოში მდგარ მაღალ ნაძვს მოძებნიდა, მის კენწეროზე მეფურად დაბრძანდებოდა და გაღიმებული უსმენდა მომაჯადოებელ ჰანგებს.

შუალამისას, როცა მთვარე ნაძვის კენწეროს ტახტრევანიდან წამოდგებოდა და ლამის სამეფოს დასათვალიერებლად გაემგზავრებოდა, ჩვენი მოხუცი მევიოლინე ბოლო ჰანგებს ააჟღერებდა, თავის საყვარელ მსმენელებს ტკბილ ძილსა და ფერად სიზმრებს უსურვებდა, ლამპიონებს გამორთავდა და თვითონაც დასაძინებლად გაემართებოდა.

ასე გრძელდებოდა უკვე რამდენი წელია... ეს სალამო კი განსაკუთრებული უნდა ყოფილიყო.

— რატომ? — მესმის შენი შეძახილი.

— მოკლედ, თხრობას აღარ მაცდი, რატომ მეკითხები?! ჰო, ეს ძალიან სევდიანი ამბავია. როგორ გითხრა, მოხუცები ბოლოს აუცილებლად ცაში მიდიან და ჩვენი მოხუცის ჯერიც დამდგარიყო, რომ ცისთვის მიეშურებინა. ამას მხოლოდ შენ გეუბნები! საიდუმლოდ უნდა შეინახო.

— არა, გეხვეწები, იმ ყვავილებს ნუ ეტყვი. შეიძლება წინასწარ ისე დადარდიანდნენ, რომ ეს ამბავი ვერც გადაიტანონ. მოხუცმა კი ყველაფერი ისე მოაგვარა, რომ მასთან განშორება იმ ყვავილებსა და ფრინველ-ცხოველებს შედარებით იოლად გადაეტანათ. ამიტომ ეს ჩვენი საიდუმლო იყოს, თვითონ მოხუცს მივანდოთ, ამ ამბავს, რა სიუჟეტს მოუძებნის.

— სიუჟეტი? — ეს იგივე ამბის განვითარებაა. კარგია ესეც რომ მკითხე, აღარ დაიბნევი, ვნახოთ, აპა, რა სიურპრიზს გვიმზადებს ჩვენი კეთილი მოხუცი... შენ ხომ იცი, მოხუცები განსაკუთრებულად მოსიყვარულენი და კეთილები რომ არიან? ვიცი, ვიცი,

როგორ არ ვიცი, რომ შენ ისინი ძალიან გიყვარს და გარკვეულნილად მათზე ზრუნავ კიდეც.

— რასაკვირველია, მიყვარს, — მპასუხობს ჩემი პატარა მეგობარი და მერე ისე მიყურებს, ვხვდები რაღაცა უნდა მითხრას, მაგრამ თან ეძნელება.

— მითხარი, მითხარი, ნუ გერიდება! — ვამხნევებ მე და თანაგრძნობით ვულიმი.

— შეიძლება იმ მოხუცი მევიოლინეს ამ უცნაურ კონცერტზე რომ წამიყვანო? ბოლოს და ბოლოს, მე ხომ სამუსიკო სკოლაში სწორედ ვიოლინოს კლასში დავდივარ?

— რასაკვირველია, შეიძლება, — ვულიმი მე, — ამაზე უკვე ვიზრუნე, აი, მოსაწვევი შენ სახელზე. ნახე რა წერია:

„ყმაწვილ მევიოლინეს!

გებატიუები ჩემს ბოლო კონცერტზე! დიდი სიყვარულით, მოხუცი მევიოლინე“.

— რა კარგია, საკუთარი თვალით ვნახავ და მოვისმენ მის მიერ აუდერებული ვიოლინოს ჰანგებს! — შესძახა ჩემმა პატარა მევიოლინემ და სიხარულით ცეკვა დაიწყო.

— მაშ ასე, სალამოს, როცა ბინდი ფეხაკრეფით დაიწყებს დედამიწაზე ჩამოსვლას, ჩვენ ერთად გავუდგებით მევიოლინეს სახლისაკენ მიმავალ გზას, შევთანხმდით?

— შევთანხმდით! — მხიარულად ამბობს ჩემი ყმაწვილი მევიოლინე და, ვგრძნობ, რომ ერთი სული აქვს, როდის დადგება სალამო, რომ ეს საოცარი მოხუცი იხილოს.

მოხუცი კი იმ სალამოსთვის მართლაც განსაკუთრებით ემზადება...

— ვიოლინო სრულ მზადყოფნაშია, — თქვა მან და სათნო ლიმილმა სახე გაუნათა. ახლა ტანსაცმელზე უნდა ეზრუნა. ამ განსაკუთრებულ კონცერტს საშინაო ტანსაცმელში ჩაცმული ხომ არ ჩატარებდა!?

გაახსენდა, რომ კარადის ზედა თაროზე ერთ დროს განუყრელი ახალგაზრდობისდროინდელი შავი ბაფთა პატარა კოლოფში აქვს შენახული, თეთრი გაქათქათებული პერანგი და შავი ფრა-

კიც იქვე კიდია... ჰო, მართლა, სულ დამავიწყდა, შლაპა, შავი შლაპა, რომელიც, ვინ იცის, რამდენი წელია აღარ დაუხურავს, კარადის თაროზე თვლემს და, როცა გამოილვიძებს ხოლმე, სულ იმას ნატრობს, როდის დადგება ის დრო, როდესაც ამ კარადის თაროდან გააღწევს და ცას შეჰვიმებს...

— მგონი ეს წუთიც ახლოვდება! — ჩუმად წასჩურჩულა შლაპამ ფრაქს და რალაც განსაკუთრებული ამბის მოლოდინში გაიტრუნა.

დიდი ხანი არ გასულა, მოხუცმა მევიოლინებ კარადის კარი გამოაღო და თავისი ძველი, მაგრამ ახალივით მბზინავი ტანსაცმელი ჯერ შეათვალიერა, მერე პერანგი ჩამოხსნა და ღიმილით სკამზე გადაფინა, ბოლოს შარვალსა და ფრაქსაც მოუჩინა ადგილი, ბაფთაც ამოიღო პატარა კოლოფიდან და შლაპასაც შეახო თავისი დამჭერი თითები. ერთხანს ასე უყურა, მერე თავზე მოირგო და სარკესთან მივიდა. ის იყო, უნდა გაბრუნებულიყო, რომ ყურში აშკარად ჩაესმა უხილავი ხმა:

— მადლობა, ჩემო მოხუცო, რომ გაგვიხსენე, განა ჩვენ არ ვიყავით შენი დიდების მოწმე, როცა უდიდეს დარბაზებში შენი ვიოლინოს ჰანგებით გაბრუებული მსმენელი ფეხზე ამდგარი გიმართავდა ოვაციას?!

— ერთი წუთით, მეგობრებო! — აჩურჩულდა შლაპა, ალბათ გახსოვთ, ამ დროს ჩვენი ბედნიერი მევიოლინე მე ხელში ამიტაცებდა ხოლმე და ისეთი მოხდენილი მოძრაობით მახდევინებდა მადლობას, მე თვითონ ვიყავი ამით გაკვირვებული...

მართლაც ასე იყო, თავისი ხელოვნებით ჩვენს მოხუც მევიოლინეს ყველა აღტაცებაში მოჰყავდა. ამიტომ დიდი სიამოვნებით იწვევდნენ მას ცნობილი საკონცერტო დარბაზები... მერე კი, როცა ასაკი მოემატა და კონცერტებზე უარი თქვა, ამ ტყის პირას დასახლდა, პატარა ლამაზი სახლი აიშენა, ეზო ყვავილებითა და მარადმნვანე მცენარეებით დაამშვენა და მშვიდ ცხოვრებას დაუბრუნდა. ზამთრობით კი, როცა

ბუნება იძინებდა და ყვავილებიც ტკბილ სიზმრებს ნახულობდნენ, ის თავის ბუსართან იჯდა და მოგონებებში იძირებოდა, ხანაც საინტერესო წიგნებს კითხულობდა. ჰოდა, სწორედ ზამთრის დღეებში დაიმეგობრა არაერთი ცნობილი ზღაპრის გმირი, რომლებსაც ხშირად ელაპარაკებოდა ხოლმე და ამით ძალიან ბედნიერი იყო.

— განსაკუთრებით რომელი წიგნი უყვარდა?

— ამას სულ მალე გაიგებ, ახლა კი დროა, ხელი მომკიდო და მოხუცი მევიოლინეს სახლისკენ მიმავალ გზას გავუდგეთ. ხომ იცი, შებინდებამდე იქ უნდა ვიყოთ, არ უნდა დაგვაგვიანდეს. გახსოვდეს, სადაც გელიან, იქ დროულად უნდა მიხვიდე, დაგვიანება მხოლოდ უდისციპლინო ადამიანებს ჩვევიათ. დროულად თუ არ მივედით, ჩვენი მოხუცი ძალიან ინერვიულებს. რაკი მიგვინვა, გველოდება კიდეც, ხომ ასეა?

— ასეა! — დამეთანხმა ჩემი პატარა მეგობარი და ხელი გამომიწოდა. შევხედე და მხოლოდ ახლადა აღმოვაჩინე, რომ საკონცერტო ტანსაცმელი ეცვა და თეთრ პერანგს პატარა შავი ბაფთა უმშვერებდა.

— ჰოდა, რაკი ასეა, ვიჩქაროთ! ამასობაში დაბინდდება და ეს საოცარი კონცერტიც დაიწყება. იქ ბევრნი კი არ ვიქნებით, სულ ათი ადამიანი, ახლა ამ კოვიდაფეთქებისა და პანდემიის დროს ჩვენი მევიოლინე მეტს ვერ მიიწვევდა. ჯერ ერთი კანონით იკრძალება, მეორეც, ხომ გვინდა ჩვენც იმ მოხუცივით დაგბერდეთ, ამიტომ ყველა რეგულაცია ზედმინევნით უნდა დავიცვათ.

— აი, პირბადები. შენთვის სპეციალურად, პატარა ზომის პირბადე შევარჩიე, მაგრამ ნახე, რა ლამაზია და თანაც, რაც მთავარია — საიმედო... მტკიცედ უნდა ვიყოთ, ამ ინფექციას ციხე-სიმაგრესავით უნდა დავუხვდეთ, რომ ჩვენში ვერ შემოაღწიოს.



— ესეც ასე. სკამები ერთმანეთისა-გან საკმაო მანძილითაა დაშორებული,

ჭიშკართან სპეციალური ხსნარიც დგას, პირბადეებიც იქვე აწყვია. თუ ვინმეს მისი წამოლება დაავიწყდა, პრობლემა არ შეექმნება, – ჩაილაპარაკა მოხუცმა და სახლში შევიდა.

კონცერტის დაწყებას სულ რაღაც ნახევარი საათი უკლია. ჩვენი მოხუცი მევიოლინე კი უკვე გამოწყობილა შავ ფრაკში, თეთრი პერანგის საყელოს ლამაზი შავი ბაფთა უმშვერებს და თავზეც თავისი ერთ დროს განუყრელი შლაპა ახურავს.

– ყველაფერი რიგზეა, ყველაფერი, – გულში გაივლო მოხუცმა და ფანჯარას გახედა, მერე მასთან უფრო ახლოს მივიდა, ხემით ფარდა ოდნავ გადასწია და ეზოში გაიჭვრიტა. უკვე ათივე სკამი შევსებულიყო.

– რაც მთავარია, – ის პატარა მევიოლინეც აქ არის! – ჩაილიმილა მოხუცმა და უკვე ხმამაღლა თქვა:

– დროა, გავიდე!

კართან ცოტა ხნით შეჩერდა. ერთ ხელში ვიოლინო ეჭირა, მეორეში – ხემი. სახლს სევდიანი მზერა მოავლო და გულში გაივლო: „მორჩა, ყველაფერი დასრულდა!“ მერე, თითქოს საკუთარ თავს გაუჯავრდაო, – კი არ დამთავრდა, ყველაფერი ახლა იწყება, – განა ასე არ არის? – თითქოს გულს ჰკითხა მოხუცმა და მანაც მაშინვე დაუდასტურა: – ასეა, ყველაფერი ახლა იწყება, მოემზადე!

– მზად ვარ! – მტკიცედ თქვა და კარი გამოაღო.

ყველა სტუმარი მისთვის განკუთვნილ ადგილზე იჯდა.

მასპინძელმა ყველაზე სათითაოდ შეაჩერა მზერა და თითოეულ მათგანს თავის დაკვრით მიესალმა. პირველ რიგში მატილდა იჯდა. ვუნდერკინდი გოგონა უგულო მშობლებს გამოჰპარვოდა და, ერთი სული ჰქონდა, როდის გაიგონებდა საუკუნეს მიღწეული მუსიკოსის მიერ აუდერებული ვიოლინოს ხმას. მის გვერდით, უფრო სწორად, ასე მეტრ-ნახევრის მოშორებით პინოქიო ცქმუტავდა. მან ხომ საკმაოდ გრძელი გზა გამოიარა, რომ ეს ხის ბიჭი მოაზროვნე ადამიანად ქცეულიყო. ჰოდა,

როცა ყველა სიძნელე უკან მოიტოვა, კაშკაშა ვარსკვლავს თავისი სურვილი ჩაუთქვა. ვარსკვლავმაც არ გააწილა, მოხუც მევიოლინეს მისი თავი გააცნო და აი, ახლა ის ამ ცნობილი ყმანვილების გვერდით ზის, მაგრამ სკამზე ვერ ისვენებს. მის გასწვრივ პეპი გრძელი-ნინდა ზის. ეშმაკი და მოხერხებული პეპი ახლაც პოლიციელებს დაუსხლტა, რათა კონცერტზე არ დაეგვიანებინა. პირველ რიგში კიდევ ერთი შენი საყვარელი პერსონაჟი ზის. აბა, დააკვირდი! – ვერურჩულები ჩემს მეგობარს, – სწორია. იცანი ხომ? დიახ, დიახ! ვინი პუპი – ჩვენი საყვარელი დათუნია, რომელიც, ზოგადად, დროს სულ თავის უერთგულეს მეგობრებთან ერთად ატარებს, მაგრამ აქ ყველას ხომ ვერ წამოიყვანდა, ამიტომაც მარტო მოვიდა.

მეორე რიგში ალისა ზის და გული გამალებით უცემს. თავისი საოცრებათა ქვეყნიდან ის სწორედ იმიტომ მოვიდა, რომ მოხუცი მევიოლინე ზღაპრების ქვეყანაში გააცილოს. მის სიახლოებს ჩიპოლინო ზის – მემბოხე, სიმართლისმაძიებელი. გადაწყვიტა ცოტა ხნით მაინც გასცლოდა ჩვეულ შფოთსა და ალიაქოთს და მოხუცის სიახლოეს სულიერი სიმშვიდე ეგრძნო.

ალუბლის ქუჩის 17 ნომრიდან მერი პოპინსი მოპრძანებულა, რათა თავის ალსაზრდელებს ამ დაუვიწყარი საღამოს შესახებ ახალი ზღაპარი უამბოს. მის გვერდით პატარა პრინცი ზის და ხმას არ იღებს, მხოლოდ იღიმება. სამაგიეროდ, ბურატინო ვერ ისვენებს, სკამზე ცქმუტავს და ყველას აკვირდება. რა ქნას, სხვებს პირბადეები ლამაზად აუკრავთ, მას კი თავისი წონლოკინა ცხვირი ამის საშუალებას არ აძლევს. თუ ყურებზე გაიკეთებს პირბადეს, ცხვირი იმდენად გრძელია, რომ მასზე ვერ ეფარება, თუ ცხვირს დაიფარავს, სამაგრები ყურებამდე არ სწვდება. ბევრს წვალობს და მერე ასეთ გამოსაგალს პოულობს. პირბადეს თავისივე ცხვირით ხვრეტს, ცხვირს მასში გაჰყოფს და ასე ირგებს.

– აი, ყველა აქ არის, ხედავ ჩემო პა-

ტარა? – ვეუბნები ჩემს პატარა მევიოლინეს და თვალებით ზღაპრების გმირებისაკენ ვანიშნებ. ის ყველას ცნობისმოყვარედ აკვირდება და თან თვალები უცანაურად უბრნყინავს.

– დავიწყოთ! – ამბობს მასპინძელი და ეზოს საოცარი ჰანგი ეფინება. ჩვენი მოხუცი ვიოლინოს ისე აუდერებს, ყველა გაირინდება და ირგვლივ საოცარი სინაზე ისადგურებს.

– შენც ხომ მოგწონს? – ვეკითხები ჩემს უმცროს მეგობარს და სახეზე ვაკვირდები.

– განა ვერ ხედავ ჩემს ცრემლიან თვალებს? – ასევე ჩუმად მპასუხობს ნორჩი მევიოლინე და წამით ცრემლიან თვალებს მომაპყრობს.

მოხუცი პატარა სცენაზე დგას. უფრო სწორად, შემაღლებულ ფიცარნაგზე და თავდავიწყებით უკრავს. ვიოლინოს მომწუსხავი ხმა სცილდება ბალს და ტყეს საამურად ეფინება. მერე ყველა ხედავს, როგორ უხმოდ მოფრინავენ ტყის ფრინველები და ხეებზე უჩუმრად სხდებიან, ხოლო მესერს ტყის ბინადარი ცხველები შემორტყმიან და ისინიც იმდენად გაუტაცია მუსიკის ჰანგებს, თვალებში მათაც ცრემლი უბრნყინავთ...

მოხუცი კი შთაგონებული უკრავს, უკრავს და უკრავს... მერე უცპად, წამიერად, ცაზე ვარსკვლავები როგვას იწყებენ და მთვარეც ტყის თავზე ღრუბლის ტახტრევნიდან წამოდგება. იქ მყოფი ათივე მსმენელი საკუთარი თვალით ხედავს, როგორ ჩამოუშვებს მთვარე სხივების ოთხ ჯაჭვს და როგორ ნენ-ნელა იწყებს ფიცარნაგი ზევით აწევას... უტკბილესი ჰანგებით მოხუცი მევიოლინე იქ მყოფთ და თავის სახლს ემშვიდობება და იმ საოცარ მუსიკას კიდევ უფრო მეტ უდერადობას სძენს.

როგორც კი მოხუცის ფიცარნაგმა მიწიდან აწევა დაიწყო, პირველი ბურატინო წამოხტა, მას პინოქიო მიჰყვა და არც ჩიპოლინო ჩამორჩა. უნდოდათ ფიცარნაგს ჩასჭიდებოდნენ და მოხუცი მევიოლინე ზეცაში არ გაეშვათ, მაგრამ ეს ვერ შეძლეს, რადგან ფიცარნაგი ამასობაში საკმაოდ მაღლა ასულიყო

და მოხუცი მევიოლინეც ცრემლჩამდგარი თვალებით ემშვიდობებოდა თავის საყვარელ მეგობრებს. რაც უფრო მაღლა-მაღლა მიიწევდა მოხუცი, ვიოლინოს ხმაც მით უფრო სუსტდებოდა.

– რა კარგია, – გულში გაივლო პატარა უფლისნულმა და გაიღიმა, – ჩემი პლანეტიდან მის ნახვას უფრო ხშირად შევძლებ!

– დაბრუნდება? – მკითხა ჩემმა პატარა მეგობარმა და ცრემლიანი თვალებით შემომაჩერდა.

– ალბათ ოდესმე დაბრუნდება ან იქნებ ის უკვე სულაც აქაა, ჩემ გვერდით?! – გავიღიმე მე და უკანასკნელი მზერა შევავლე სულ მაღლა-მაღლა აღმავალი სხივების ჯაჭვებს, საიდანაც სუსტად, მაგრამ ჯერ კიდევ ისმოდა ვიოლინოს მომნუსხველი ხმა.

ერთი და ერთისა

ერთ დღეს ქალაქის ერთადერთი მოედნის მთავარ სარეკლამო ბოძზე ახალი აფიშა გამოჩნდა, რომლის ტექსტი მოქალაქეებს აუწყებდა, რომ ორი დღის შემდეგ, ანუ შობის ღამეს, ქალაქის დიდ საკონცერტო დარბაზში, რომელიც ერთადერთი და მთავარი ქუჩის 120-ე ნომერში იყო განთავსებული, გაიმართებოდა კონცერტი.

ჯერ ვერ ვიტყვი და ამ აფიშის ტექსტსაც ზუსტად ვერ გადმოგცემ, თუ ვინ წარსდგებოდა ან წარსდგებოდნენ მაყურებლის წინაშე ამ შობის ღამეს, მაგრამ იქ კი მათი სახელები ენერა და თანაც ისეთი დიდი ასოებით, რომ ყველას ყურადღებას და რაც უფრო საყურადღებოა ღიმილს ან სულაც გულიან სიცილს იწვევდა.

– ჰა-ჰა-ჰა! – აფიშაზე რომ სახელები შეგეშლებათ დიდ ტექსტებში რაღა იქნება? – ზოგჯერ სიცილით, ზოგჯერ გაბრაზებითაც კი კითხულობდნენ გამვლელ-გამომვლელები და თავებს აქეთიქით უკმაყოფილოდ აქნევდნენ.

– ჰა-ჰა-ჰა! – მესმის შენი ხარხარი, – მაგრამ შენ ჯერ არ იცი, რა ხდება და მხოლოდ ხალხის შენიშვნების გამო

იცინი, მე კი გირჩევ, სხვას ნუ აჲყვები, ჯერ კარგად გაარკვიე ხოლმე სიტუაცია და რა დასკვნასაც თვითონ გააკეთებ, იმის მიხედვით იმოქმედე.

— ჰო, ეს ისე, მასწავლებელივით კი გა-მომივიდა დარიგება, მაგრამ უფროსები ვალდებულებიც ვართ უმცროსებს სწორი მიმართულება მივცეთ, თანაც იყოს მასწავლებელივით, მერე რა მოხდა, ვიცი, რომ შენი მასწავლებელი ძალიან გიყვარს, ჰოდა, წარმოიდგინე, რომ ამ შენიშვნას ის გაძლევს. ჩვენ კი ასე მოვიქცეთ: ვიდრე მთავარ ამბავს მოგიყვებოდეთ, ეს გაოცებული და ზოგიც გაპრაზებული ხალხი ცოტა ხნით იქვე დავტოვოთ, ჩვენ კი ჩვენს საქმეს დაუუბრუნდეთ.

ოო, რა გულმავინყი ვინმე ვარ, სულ დამავინყდა თავიდანვე შეგთანხმებოდი, მინდა ამ ჩვენს ქალაქს, სადაც თითქმის ყველა ჩემ მიერ მოთხოვბილი ამბავი ხდება, რასაკვირველია, შენი ნებართვისა თუ სურვილის შემთხვევაში, ზღაპრიონი ვუწოდო, ქალაქი ზღაპრიონი! როგორია? მე ვფიქრობ, ცუდად არა უდერს, თანაც სხვადასხვა ქვეყნების ბავშვებსაც თუ დააინტერესებთ ამ ჩვენი ქალაქის ამბები, მისი სახელწოდება შეუძლიათ თავის ენაზედაც კი თარგმნონ და შესაბამისი დაბოლოვებაც მისცენ. მე პირადად, სანინაალმდეგო არაფერი მაქვს, ჰქონდეს ყველა ეროვნების ბავშვს თავისი ქალაქი, სახელად ზღაპრიონი.

— შენც თანახმა ხარ? ასეც ვიცოდი, შენი კეთილი გულის ამბავი ჩემთვის კარგადაა ცნობილი.

მჯერა, სხვებიც გადათარგმნიან თავის ენაზე ჩვენი ქალაქის სახელწოდებას და ჩვენ ყველანი ამ ჯადოსნური ქალაქების ბინადარი ვიქნებით. ერთი სიტყვით, ჩვენს ქალაქ ზღაპრიონს ბევრი დაძმობილებული ქალაქი ეყოლება და მერე ჩვენს გმირებს იმ ქალაქებში გავასეირნებთ. ხომ კარგი იქნება?

— მიხარია, რომ მხარი ამიბი და ჩემი იდეა შენც ძალიან მოგეწონა. ხოდა, ჩვენი ლამაზი ქალაქის — „ზღაპრიონის“ ქუჩებში საღამობით ლამპიონები რომ აინთება და ქუჩა განათდება, წესით, კონ-

ცერტიც მაშინ უნდა დაიწყოს, მაგრამ ჯერ მანამდე მთელი ორი დღე გვაქვს და ამ ორ დღეში იმ აფიშის გამო ხალხი იმდენს იცინებს, რომ ჩვენს ქალაქში ღიმილის ორდღიური გამოცხადდება.

ჰომ, ლამის დამავინყდა, რას ვყვებოდი. გინდაც დამვინყნოდა, არ ვიდარდებ, შენ აქ არ მყავხარ? ყველა სიტყვას რომ იმახსოვრებ, ვერ შემახსენებ თუ რაა?! მაგრამ, მგონია, ახლა არ დამჭირდეს შეხსენება. მაშ ასე:

ჩვენი ლამაზი ქალაქის — „ზღაპრიონის“ — მთავარი ქუჩის დასაწყისში ერთი თქვენი ტოლი ბიჭი ცხოვრობდა, რომელიც ჯერ კიდევ სულ პატარაობიდანვე იმით გამოირჩეოდა, რომ ჩინებული ხმა ჰქონდა და ძალიან ლამაზად მღეროდა. მერე და მერე, რომ ნამოიზარდა, ხმა კიდევ უფრო საინტერესო და ძლიერი გაუხდა, მაგრამ ხმა ერთია და მისი დამუშავება — მეორე, რაც მხოლოდ მუსიკის მასწავლებელს შეუძლია. მართალია, ამ ჩვენს ქალაქ ზღაპრიონში მუსიკალური სკოლაც არსებობდა, მაგრამ იმ ბიჭის მშობლები საკმაოდ ლარიბები იყვნენ და მუსიკალურ სკოლაში გადასახდელ ფულს, აბა, სად იშოვიდნენ?!

— მერე კეთილი ადამიანები ხომ არსებობენ, ბიჭისთვის დახმარების ხელი რომ გაეწოდებინათ? — გაკვირვებული მეკითხები შენ.

— როგორ არ არსებობენ, მაცალე, სწორედ მაგის სათქმელად ვემზადები!

იმ მუსიკალურ სკოლაში ერთი მოხუცი მარტოხელა მუსიკის მასწავლებელი მუშაობდა. დიდი გამოცდილებისა და ერუდიციის მქონე ბაბუა, რომელსაც ახალგაზრდობაში საუკეთესო მუსიკალური განათლება მიელო და ბევრი საკონცერტო დარბაზის მაყურებელთა გულებიც დაეპყრო... მოხუცი ყოველ საღამოს, მთელი დღის მუშაობისაგან განტვირთვის მიზნით, ზღაპრიონის ერთადერთ ქუჩაზე თავის საყვარელ ძალათან, მიმისთან, ერთად გამოდიოდა და სეირნობდა. აქვე გეტყვი, ის ქუჩა ისეთი გრძელი და უსასრულო იყო, იმას თავიდან ბოლომდე როგორ აუყვებოდა და თანაც მერე უკანაც ხომ უნდა ჩამო-

ევლო? ამიტომ რაკი თვითონ ქუჩის შუა ნაწილში ცხოვრობდა, ერთ დღეს ქუჩის ერთ მხარეს წავიდოდა სასეირნოდ, მეორე დღეს კი – მეორე მხარეს.

ერთხელაც სამსახურიდან დაბრუნებული მოხუცი მუსიკოსი, ჩვეულებისამებრ, თავის ძალლთან ერთად, ქუჩაში სასეირნოდ გავიდა.

– მოდი, დღეს ქუჩის დასაწყისისაკენ გავისეირნებ, – თქვა და ამ ჩვენი ზრაპრინის ერთადერთ ქუჩას გაუყვა. დალლილი იყო, ნელ-ნელა მიდიოდა, – რამდენიმე ნაბიჯს გადადგამდა, შეისვენებდა, მერე ისევ გააგრძელებდა გზას, ხან ქუჩის გასწვრივ დადგმულ სკამებზე ჩამოისვენებდა, მიმი კი წინ მხიარულად მიხტუნაობდა და, როცა პატრონი ისვენებდა, ისიც ერთ ადგილზე გაჩერდებოდა და კუდის ქიცინით ანიშნებდა, მეც შენთან ერთად ვარ, არ მიგატოვებო...

ასე გალია გზა მოხუცმა მუსიკოსმა ქალაქის შემოსასვლელამდე და იქ, ქუჩისპირა სავალ ნაწილზე მდგარ ძელ-სკამზე ჩამოისვენა. რატომდაც, არასოდეს ასე შორს არ წამოსულა, ქალაქის შემოსასვლელს ასე კარგად არ იცნობდა, აქ მხოლოდ ტრანსპორტით თუ გაივლიდა, როცა ქალაქიდან გასვლა უწევდა, თანაც ეს შემოსასვლელი, ამ ბოლო ხანებში სულ სხვაგვარი გახდა, აქ ძირითადად, სოფლიდან ჩამოსული მოსახლეობა სახლდებოდა ხოლმე და სახლებიც პატარა და უსახური იყო. მოხუცი სწორედ ამაზე ფიქრობდა, რადგან ეს ადგილები მას ჯერ კიდევ იქიდან ახსოვდა, როცა იქ ულამაზესი ხასხასა მინდვრები იყო გაშლილი. ფიქრიდან კი პატარა ბიჭის საოცრად წერიალა ხმამ გამოიყვანა. მოხუცი სმენად იქცა. ის ცნობისმოყვარედ შეჰყურებდა ფანჯარას, საიდანაც ბიჭის სიმღერის ხმა გამოდიოდა. ერთხანს ასე უსმენდა, მერე კი აღფრთოვანებულმა გადანყვიტა გაეგო, ვინ იყო ამ ულამაზესი ხმის პატრონი.

მოხუცი მუსიკოსი სადარბაზოში შევიდა და პირველივე კარზე დააკაკუნა. ბევრი მიხვედრა არ უნდოდა, რომ ეს კარი სწორედ იმ ბიჭის ოჯახისა უნდა ყოფილიყო. უცებ სიმღერის ხმა შეწყდა

და კარის შიგნიდან ბიჭის ხმა გაისმა:

- ვინ არის?
- შენ მღეროდი? – ჰეითხა სადარბაზოდან მოხუცმა.
- ფიახ! – მოისმა ბიჭის ხმა.
- მაშინ კარი გამიღე, კარგი ამბავი უნდა გითხრა!

ბიჭმა კარი გააღო და სტუმარს რომ შეხედა, ცოტა არ იყოს, გაუკვირდა, ვერ მიხვდა, რა საქმე უნდა ჰქონოდა ამ მოხუცს მის ოჯახთან.

მიმი კარის წინ დასკუპებულიყო და ხან მოხუცს შეაჩერდებოდა ხან – ბიჭს.

- შეიძლება შემოვიდე? – მშვიდად იკითხა მოხუცმა.

– მობრძანდით! – განზე გადგა ბიჭი და სტუმარი ბინაში შეიპატიუა.

მოხუცს მაშინვე თვალში მოხვდა, ერთი მხრივ, ოჯახის სილარიბე, მაგრამ ამასთანავე საოცარი წესრიგი და სისუფთავე.

სილარიბე სირცებილი არ არის, სისუფთავე კი ოჯახის სახის მაჩვენებელია და ამით ოჯახის დიასახლისისა და წევრების შესახებ წამსვე შეგიძლია სათანადო დასკუპები გააკეთო.

მოხუცმა მუსიკოსმა ამ ყვლაფერთან ერთად ბიჭისაგან ისიც გაარკვია, რომ მისი მშობლები სამსახურიდან გვიან ბრუნდებოდნენ ხოლმე და ჩვენი ყმანვილი გაკვეთილების სწავლას რომ მორჩებოდა, მერე ფანჯარას მიაშურებდა და იქაურიბას თავისი საოცარი სიმღერით ატყობნდა. ამჯერადაც ასე იყო. მიუხედავად იანვრისა, საკმაოდ მზიანი დღეები იდგა და საღამოობითაც არ ციოდა, ბიჭი თან ოთახს ანიავებდა, თან გატაცებით მღეროდა ხოლმე.

– აი, აქ დაბრძანდით, – მიუთითა ბიჭმა სტუმარს და ქათქათა შალათა-გადაფარებულ სავარქელზე მიუთითა, რასაც მოხუცი სიამოვნებით დაემორჩილა. მიმიც იქვე დასკუპდა.

– ჩაის მოგიმზადებთ, – თქვა ბიჭმა და მოხუცს მორიდებით შეაჩერდა,

– თუ არ შეწუხდები, სიამოვნებით გეახლებით! – დაეთანხმა მოხუცი.

ბიჭი სამზარეულოში გავიდა, მოხუცმა კი ოთახის თვალიერება დაიწყო.

ბინა დიდი არ იყო, ოთახის ლია კარი-დან მეორე ოთახის ნაწილიც მოჩანდა, რომელიც მოხუცის დასკვნით, მშობ-ლების საწოლ ოთახს წარმოადგენდა. ეს ოთახი კი საცხოვრებლად და სტუმ-რების მისაღებად იყო განკუთვნილი და, როგორც ჩვენი მოხუცი მუსიკოსი მიხვდა, ბიჭი იქვე, ძველ დივანზე ეძინა.

ჰო, ალბათ, გამომრჩა მეთქვა, რომ მაშინ ბიჭი ასე ცხრა-ათი წლისა იქნებოდა.

— გემრიელი ჩაის მომზადება გცოდნია! — პირველი ყლუპის მოსმისთანავე შეაქო ბიჭი სტუმარმა და ჭიქა სავარ-ძლის გვერდით მდგარ პატარა მაგიდაზე ჩამოდა.

— სიმღერა ვინ გასწავლა?
— ბაბუამ! — სევდიანად თქვა ბიჭმა, მან ბევრი სიმღერა იცოდა!..
— იცოდა? — გაიოცა მოხუცმა.
— დიახ! შარშან გარდაიცვალა, — თქვა ბიჭმა და თვალები აუნყლიანდა.
— სამწუხაროა! — თავისთვის ჩაილა-პარაკა მოხუცმა.

ერთხანს სრული სიჩუმე ჩამოვარდა. მერე კი ის ისევ მოხუცმა დაარღვია.

— მშობლები სად არია?
— სამსახურში, ისინი გვიანობამდე მუშაობენ, — უპასუხადა ბიჭმა.
— და-ძმა არ გყავს? — დაინტერესდა სტუმარი.

— უფროსი და მყავს, მაგრამ აქ არ ცხოვრობს. რაც ბაბუა გარდაიცვალა, ბებიასთან გადავიდა საცხოვრებლად. ბებია უკვე მოხუცია, თანაც ბაბუას გარდაცვალებამ ის ძალიან დაადარდი-ანა, ამიტომ ჩემი და ცდილობს მარტო-ობა არ აგრძნობინოს და დარდი შეუმ-სუბუქოს.

— რა კარგი გოგონა ყოფილა, — გულ-ში გაივლო მოხუცმა, ბიჭს კი ჰკითხა:
— მუსიკალურ სკოლაში რატომ არ დადიხარ?

— ძალიან მინდოდა, მაგრამ მშობ-ლებს ამის საშუალება არა აქვთ.

— გასაგებია! — ჩაილაპარაკა სტუ-მარმა, — როდის შეიძლება შენი მშობ-ლების ნახვა?

— ალბათ, შაბათს, ვიდრე სოფელ-

ში წავალთ, ყოველ შაბათ-კვირას იქ ვატარებთ და სასოფლო საქმეებს ვა-ნესრიგებთ.

— აჟა, გასაგებია, გასაგები, — და-ემონმა მოხუცი და სავარძლიდან წა-მოდგა, — თუ შეიძლება გადაეცი შენს მშობლებს, რომ შაბათს დილის ათი სა-ათისთვის გეახლებით და დიდად მად-ლობელი დავრჩები, თუ ათიოდე წუთს დამითმობენ.

— აუცილებლად გადავცემ, — უპასუ-ხა ბიჭმა და სტუმარი სადარბაზოს გა-სასვლელამდე მიაცილა.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, იმ შა-ბათ დღეს მოხუცი მუსიკოსი ბიჭის მშობლებს შეხვდა და აუხსნა, რომ მათ შვილს უნიკალური ვოკალური მონა-ცემები ჰქონდა, ამიტომ ბიჭის მომავ-ლისათვის აუცილებელი იყო მისი ხმის დამუშავება და ამ საქმეში სპეციალის-ტის ჩართვა. იქვე ისიც უთხრა, რომ ის თავად კისრულობდა ამ მოვალეობის შესრულებას. ბიჭს უსასყიდლოდ ამე-ცადინებდა და მის მომავალ კარიერა-ზეც იზრუნებდა.

ასე იქცა ეს ჩვენი პატარა ბიჭი მუ-სიკოსის მოსწავლედ.

— რა გითხარი, რამდენის იყო მაშინ ის ბიჭი?

— ცხრა-ათი წლის!

— კი, ნამდვილად ასე იყო, ცხრა შეესრულებინა და მეათეში იყო გა-დამდგარი. შემდეგი კვირის ორშაბათს პირველად შეაბიჯა ზღაპრიონის ერთა-დერთი და მთავარი ქუჩის შუა ნაწილის უძველეს და ულამაზეს სახლში. ბიჭმა კარებში ფეხი გადადგა თუ არა, გაკ-ვირვებულმა დაიწყო მისი თვალიერება.

მოხუცი მასწავლებელი დიდ, არის-ტოკრატიულ ოჯახში გაზრდილიყო და ეს უზარმაზარი ბინაც სწორედ მას ეკუთვნოდა. აქ დრო თითქოს გაყინუ-ლიყო. სარკეების პატარ-პატარა ნამ-სხვრევებით მოჭიქული დიდი ჰოლის გავლის შემდეგ ბიჭი დიდ დარბაზში აღმოჩნდა, რომლის მაღალი კედლებიც ფერწერული ტილოებით იყო დამშვე-ნებული. ასეთი დარბაზზები და სასახ-ლეები ბიჭს მხოლოდ შორიდან ჰქონდა

დანახული ან წიგნებში ჰქონდა ნანახი, ახლა კი ყველაფერი ეს მის წინ იყო და ბეჭინიერებისაგან ალარ იცოდა რა ექნა.

მიუხედავად იმისა, რომ დარბაზში საკონცერტო, თეთრი ძვლის როიალი იდგა, მოხუცმა ბიჭი განიერი მარმარილოს კიბით მეორე სართულზე აიყვანა და ალერსიანად უთხრა:

— სამეცადინოდ კაბინეტი უფრო ხელსაყრელია, ამიტომ მეცადინეობებს აქ ჩავატარებთ.

იმის თქმა კი ნამდვილად გამომრჩა, რომ ამ ჩევენს მოხუც მუსიკის მასწავლებელს სახლში რამდენიმე მოსამსახურე ჰყავდა. ბიჭმა მერე და მერე დაადგინა, რომ მოხუცი მუსიკოსი რიგითი მასწავლებელი კი არ იყო, მუსიკალური ხელოვნების პროფესორი გახლდათ და წარსულში ის სახელგანთქმულ ტენორად ითვლებოდა. ამავე დროს, ჩამომავლობით იმ კუთხის მთავართა შთამომავალი, ესე იგი პრინცი იყო.

— ტენორი?

— ჰომ, ალბათ, შენც არ დადიხარ მუსიკალურ სკოლაში, თორემ ამ კითხვას არ დამისამდი. ამიტომ ამ ერთხელ გეტყვი და ამის შემდეგ, ისე როგორც სხვა დროს, ლექსიკონში მოიძიე.

— გასაგებია?

— მამაჩემს რომ მაღალი ხმა აქვს ესე იგი ტენორია? — თვალებში ეშმაკუნები უციმციმებს ამ მართლა ონავარს.

— მამაშენი მღერის?

— არა, — როცა გამიბრაზდება, ისეთი ძლიერი ხმით დამიყვირებს ხოლმე...

— დაიმახსოვრე, ტენორი მაღალ ხმას ნიშნავს სიმღერაში, გასაგებია?

— გავიგე, მარა მაინც გეკითხე, — თავს ხრის ჩემი ეშმაკუნა.

— ახლა კი მართლა დამაბნიე და სულ დამავიწყე რას ვყვებოდი, ჰოდა ნება იბოძე და გამახსენე.

— სად ვიყავით და... — ოდნავ შეფიქრიანდა და მაშინვე გაიხსენა: — ის მოხუცი პროფესორი რომ იყო. — მერე ისევ ეშმაკურად შემომხედა და მითხრა: — რატომ მიბრაზდები, შემეძლო პროფესორის განმარტებაც მეკითხა, მაგრამ არ შეგაწყვეტინე...

— მადლობელი ვარ! — ირონიულად გავიღიმე მე, — თუ არ იცი, მოძებნე, ძნელი არ არის.

— როგორ არ ვიცი, თქვენ რა დაგავიწყდათ, ჩემი პაპა პროფესორი რომ არის? — ისეთი წყენით მითხრა, რომ ლამის თავისმართლებაზე გადავედი. არადა, მართლა სულ ამომივარდა თავიდან, რომ საქმე პროფესორის შვილიშვილთან მქონდა. ამიტომ მის დიდშულოვნებას ვენდე და თხრობა გავაგრძელე:

მომღერალი ბიჭისათვის პირველი კვირა შედარებით ძნელი აღმოჩნდა, მაგრამ მასწავლებლის ხასიათსა და მუშაობის სტილს ბიჭმა აღღო მაღევე აუღო. მეცადინეობები სიამოვნებას გვრიდა...

ასე გაგრძელდა სრული ხუთი წელი...

ამ პერიოდში ბევრი რამ შეიცვალა, მოხუც მუსიკოსთან ურთიერთობამ ის სრულიად სხვა განათლებისა და ქცევის ახალგაზრდად აქცია. მშობლები ბედნიერები იყვნენ, რომ ასეთი შვილი ეზრდებოდათ. თხუთმეტი წელი უსრულდებოდა, როდესაც მისთვის მოულოდნელად მასწავლებე ლმა გამოუცხადა:

— ამ ხუთი წლის მანძილზე ჩვენ შევძელით საუკეთესო შედეგისათვის მიგველნია. შენი ხმა ზარივითაა და მსმენელზე დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია. ოცზე მეტ სიმღერას უშეცდომოდ მღერი, ეს კი უკვე ერთი სოლიდური კონცერტია. სწორედ ამიტომაც გადავწყვიტე, რომ ჩვენი ქალაქის მთავარ საკონცერტო დარბაზში კონცერტი გავმართოთ, ოღონდ, გახსოვდეს, იქ შენ გელოდება ერთი სიურპრიზი და ამან არ უნდა დაგაბნიოს.

მიუხედავად იმისა, რომ თავის შესაძლებლობებში დარწმუნებული იყო, ბიჭს მაინც ღელვა შეეპარა. აქამდე მისი მსმენელები ხომ მხოლოდ მისი ოჯახის წევრები და მასწავლებელი იყვნენ, ახლა კი მთელი იმ მხარის მუსიკალური საზოგადოების წინაშე უნდა წამდგარიყო და არც თავისი თავი შეერცხვინა, არც მასწავლებელი და არც ოჯახი.

●

იმ დროს, როცა ქალაქ ზღაპრიონის მთავარი ქუჩა ხალხით გაიგოს და ღამპიონებიც აინთო, ყველამ საკონცერტო დარბაზს მიაშურა. მათ შორის ბიჭის მშობლები ყველაზე მეტად ღელავდნენ და, ამავე დროს, ბედნიერებიც იყვნენ. მათთან ერთად მათი ქალიშვილიც იყო და ბებიაც, რომელიც ამ დღისთვის სოფლიდან სპეციალურად ჩამოიყვანეს.

პირველმა სიმღერამ, ბიჭის ხმამ, შესრულებამ, საერთო ტალანტმა დარბაზი მონუსხა. სიმღერის დასასრულს მაყურებელთა ტაშმა საკონცერტო დარბაზის ჭერი ლამის ცაში აიტანა. ბიჭი ავანსცენაზე იდგა და მადლობას ლამაზი რევერანსებით იხდიდა. მესამე სიმღერის დროს კი სასწაული მოხდა, როცა ბიჭმა თავისი მაღალი ხმით ცნობილი სიმღერა დაიწყო, კულისებიდან ასეთივე ძლიერი, ოლონდ გოგონას უძლიერესი კრინი გაისმა, და მაყურებელს ზარის წერიალივით გადაუარა. ბიჭი გაოცდა, იცოდა, რომ ამ სიმღერას ორი მომღერალი სჭირდებოდა და ამაზე მასწავლებელმა წინა დღეებში სიტყვაც გადაუკრა, მაგრამ მეტი არაფერი უთქვამს.

„თურმე გულში რა ჰქონია?!“ – ბიჭმა წამში აულო ალლო ყველაფერს და სიმღერა ბუნებრივად გააგრძელა. კულისებიდან კი მისივე ტოლი ულამაზესი გოგონა გამოვიდა და, როცა ამ ორმა ხმამ მთელ დარბაზში სითბო, სიყვარული და ალფროვანება შემოიტანა, როგორც ერთი, ყველა მაყურებელი ფეხზე წამოიჭრა და ტაშის გრიალმა იქაურობა გადათელა.

კონცერტის ბოლოს კი, ყმაწვილი მომღერლების თხოვნით, სცენაზე მოხუცი მუსიკოსი გამოვიდა. ერთხანს შეჩერდა. რამპის შუქზე დარბაზს გახედა, მერე კი მაყურებელს ხელით ანიშნა დამშვიდებულიყო და დარბაზს მიმართა:

– დღევანდელმა კონცერტმა დამარნება, რომ ჩემს მოღვანეობას უქმად არ ჩაუვლია. ბედნიერი ვარ, ამ არაჩ-

ვეულებრივი გოგონას და ბიჭის სახით ჩვენს მხარეს ორი დიდებული მომღერალი შეემატა და, როგორ მეამაყება, რომ ისინი ჩემი მონაფეები არიან.

ბიჭი და გოგო მოხუც მუსიკოსთან მიიჭრენ და ქედი დაუდრიკეს.

– ჰო, მთავარი ისაა, – მიმართა მოხუცმა მუსიკოსმა მსმენელს ამ სიმღერების შესრულებას სჭირდებოდა განსაკუთრებული ხმა – კრინი, რაც ამ ორმა ახალგაზრდამ ჩინებულად შეძლო, მათი კრინი განუმეორებელია!

– დიდება ჩვენს მოხუც პრინცს! – იყვირა ვიღაცა

– კრინცი და კრინცესა – რამდენიმე ხმამ ერთად წამოიყვირა დარბაზიდან.

პრინცი, კრინცი და კრინცესა, – იხუვლა დარბაზმა და მოხუცი პრინცის სახეზე ყველამ შენიშნა სიხარულის ცრემლები.

ახლა ხომ მიხვდი, რომ ის, ვინც დიდ საქმეს ეჭიდება, არასოდეს ცდება. ის აფიშა მოხუცმა მუსიკოსმა შეადგინა და ყველა სიტყვა ზუსტად განსაზღვრა, მათ შორის კონცერტის სახელწოდებაც – კრინცი და კრინცესა!

გავიგე, – მიპასუხა ჩემმა პატარა მე-გობარმა და გულიანად გადაიხარხარა!

უცხოენა

ის იყო, მოხუცმა მწერალმა სინათლე გამორთო და დაძინება გადაწყვიტა, რომ მისი ოთახის ფანჯრიდან რაღაც გასაოცარი ნათება შემოიჭრა და მოხუცს თვალი მოსჭრა, მაგრამ, როგორც კი თვალები რამდენჯერმე დახუჭა და გაახილა, ნათება შედარებით გაფერმკრთალდა და უფრო შორეული გახდა.

– რა უნდა იყოს, ნუთუ წვიმას აპირებს?! – გაიფიქრა მოხუცმა მწერალმა და სანოლის გვერდით ტუმბოზე მდგარი ლამპის ასანთები ლილაკი რამდენჯერმე დააწვანა, მაგრამ ამაოდ, სინათლე არ აინთო.

მწერალმა გაიფიქრა, რომ ასანთები ლილაკი მწყობრიდან გამოვიდა და სანოლიდან წამოდგომა გადაწყვიტა. მართალია, მისთვის იოლი არ იყო სწრაფად

წამომდგარიყო, მაგრამ მან ეს მაინც მოახერხა, საწოლიდან მისი ასაკისათვის შეუსაბამო სიმკვირცხლით წამოდგა და ხელის ცეცებით, ცენტრალური განათების ჩამრთველისაკენ გაეშურა. დიდხანს ძებნა არ დაჭირებია, ხელით ჩამრთველი მოძებნა და ახლა ის აანკაპუნა, მაგრამ ამაოდ, შუქი არც ამჯერად აინთო. წამიერად მოხუც მწერალს გაუხარდა კიდეც, გვერდითა ლამპის ჩამრთველის ბრალი რომ არ იყო და მისი შეცვლა აღარ დასჭირდებოდა... ვიდრე საწოლს დაუბრუნდებოდა, ფანჯრის ფარდა გადასწინა და ოთახის სიბენელიდან მთვარის შუქით განათებულ ეზოს გახედა, ახლა უკვე მთვარის სინათლემ ოთახიც საკმაოდ გაანათა. მოხუცი ერთხანს ასე იდგა და მთვარიანი ღამის სილამაზით ტექტოდა. თავიდან თითქოს განსაკუთრებული არაფერი შეუმჩნევია, მაგრამ რატომღაც ფანჯრის დატოვება გაუძნელდა, შინაგანი ხმა თითქოს განძრევის საშუალებას არ აძლევდა.

კარგა ხანს იდგა ასე გაუნძრევლად და სიამოვნებით გაჰყურებდა თავის არცთუ დიდ ეზოს, რომელიც ბალახით იყო დაფარული, ხოლო ღობების გაყოლებით ხეხილის ხეები იყო ჩარიგებული, რომელთა ფოთლები მთვარის შუქზე ვერცხლისფრად ბრნყინავდნენ და იქაურობას ზღაპრულ იერს აძლევდნენ.

ზოგადად, მოხუცს ეზოში ყოფნა ძალიან უყვარდა. იქ პატარა ფანჩატური ჰქონდა მოწყობილი და როცა ფანტაზია მოეძალებოდა, თავის საბავშვო მოთხოვობებს სწორედ იქ ქმნიდა. ეს მოთხოვობები პატარებს და მათ მშობლებსაც ძალიან უყვარდათ, რადგან მოხუცი მწერალი მათში არა მარტო ოსტატობას, ამასთანავე, თავის სულსა და გულს ატანდა და ბავშვებს საინტერესო ამბებს ისე ლამაზად მოუთხოვდა, ერთხელ თუ მის წიგნებს ხელში აიღებდი, მერე თვალს ველარ მოაშორებდი.

მწერალი კარგა ხანს იდგა ფანჯარასთან. იქნებ ახლაც რაიმე მოთხოვობაზე ფიქრობდა? ვინ იცის. ის იყო დგომით დაიღალა და საწოლისკენ გაბ-

რუნება გადაწყვიტა, სინათლეც მოვიდა და ოთახი გაანათა. ის სასწრაფოდ მივიდა ჩამრთველთან, სინათლე გამორთო და საწოლისაკენ წავიდა.

— ალბათ, ელვა იყო, — თქვა თავის-თვის და საბანში გაეხვია.

მოხუცი მწერალი მარტო ცხოვრობდა. მეუღლე კარგა ხნის წინ გარდაცვლოდა, შეილები იჯახებით ქალაქში ცხოვრობდნენ, ის კი მარტოდმარტო შერჩეოდა არცთუ დიდ, მამაპაპური სახლის ძველთაძველ კედლებს. მარტოობას სულაც არ განიცდიდა, პირიქით, მარტო ცხოვრებას ისე შეეჩვია, რომ სხვაგვარად ვერცეკი წარმოედგინა, თანაც მწერლებს ზოგადად ხომ მარტოობა უყვართ, ჰოდა, მასაც ხელს არავინ უშლიდა, როცა უნდოდა მაშინ წერდა და რედაქციებსა და გამომცემლებს უგზავნიდა. კომპიუტერის ეპოქა ასაკში წამოენია, მაგრამ ის, როგორც ახლის მაძიებელი ადამიანი, მალე დაეუფლა მისთვის საჭირო ყველა პროგრამას, ასე რომ, საკუთარი წაწარმოებები თავად შეჰქონდა კომპიუტერში და სათანადო მისამართზეც თავადვე აგზავნიდა.

მოსამსახურე ქალი კვირაში სამჯერ აკითხავდა, სახლს ულაგებდა, საჭმელს ამზადებდა. ერთი სიტყვით, ჩვენი მოხუცი მწერალი პრობლემების გარეშე ცხოვრობდა.

„რაკი ცა არ ქუხს და ისე ელავს, ეს იმას ნიმნავს რომ გვალვები იქნება“, — გაიფიქრა მოხუცმა და ნელ-ნელა თავი ძილბურანს მისცა.

დილით, როგორც წესი, ადრე დგებოდა ხოლმე. ადგებოდა თუ არა, ცოტას ივარჯიშებდა, მერე თავს მოიწერიგებდა და ეზოში სასეირნოდ გადიოდა, რათა სუფთა ჰაერი ესუნთქა. ამჯერადაც ასე იყო. სახლიდან ჩვეულებისამებრ, დილის რვა საათზე გავიდა და ეზოს გაუყვა. მისი მარშრუტი კი ყოველთვის ერთი და იგივე იყო. ჯერ ეზოში მიდი-მოდიოდა და როცა დაიღლებოდა, ფანჩატურს მიაშურებდა, რათა ფიქრისა და ფანტაზიისათვის გზა მიეცა. ასე იყო ამჯერადაც. ერთხანს

ხასხასა ბალახზე იარა, ეზოს რამდენ-ჯერმე შემოუარა, თან მესერს ხელით სინჯავდა, მის სიმყარეს ამონტებდა... როცა სიარულს მორჩა და ფანჩატურს მიუჟახლოვდა, თითქოს სისხლი გაეყინა – მის წინ, იქვე, ფანჩატურში, მაგიდის მეორე მხარეს, პატარა ტანის უცნაური არსება იდგა.

– უცხოპლანეტელი, – გაიფიქრა მო-სუცმა მწერალმა და ადგილზე გაშეშდა.

– აქ არ უნდა ჩამოვსულიყავი, შევ-ცდი, – გონებაში საიდანლაც შემოვიდა ამ პატარა არსების ხმა, – ვწუხვარ, რომ შეგაშინეთ, მაგრამ იმედი მაქს, თქევნც არაფერს დამისავებთ, მე ხომ აქ ადამი-ანების დასახმარებლად ჩამოვედი?!

– ადამიანების დასახმარებლად? – გაიკვირვა მოხუცმა მწერალმა, ოლონდ ეს კი არ თქვა, ამ სიტყვებმა გონებაში გაიუღერა და ამ უცნაურ ბიჭსაც მა-შინვე გადაეცა მოხუცის გაკვირვებული შეკითხვა.

– დიახ, ჩვენი ხომალდი აქ წამიერად დაეშვა, მე ჩემი მშობლების შეუმ-ჩნევლად ხომალდიდან გადმოვედი და როცა ხომალდი მაშინვე აფრინდა, მივ-ხვდი, შეცდომა დავუშვი, ასე არ უნ-და მოვქცეულიყავი, მაგრამ არა უშავს, ისინი ჩემ წასაყვანად აუცილებლად დაბრუნდებიან.

მოხუცი მწერალი დარწმუნდა, რომ უცნაურ შემთხვევასთან ჰქონდა საქმე.

– მთავარია, რომ ერთმანეთის აზ-რებს ვიგებთ, – გაიფიქრა მოხუცმა.

– დიახ! – თქვა უცნაურმა არსებამ და თავისებურად გაიღიმა.

– წამოდი, ნუ გეშინია, არაფერს და-გიშავებ, ვიდრე შენები მოგაკითხავენ, ჩემთან დარჩი, – უთხრა მწერალმა უც-ხოპლანეტელს და თავით ანიშნა გაპყო-ლოდა, რასაც ის მაშინვე დაემორჩილა.

– ეს რა არის? – მოხუცის გონებამ ბიჭისაგან მაშინვე მიიღო კითხვა, რო-გორც კი ისინი სახლში შევიდნენ.

– სახლია. აქ ჩვენ, ადამიანები, ვცხოვრობთ, – ასევე გადასცა ბიჭს მოხუცის გონებამ.

– და რისთვის არის საჭირო? განა სამყარო თვითონ სახლი არ არის? –

ისევ შემოვიდა მოხუცის გონებაში მო-რიგი კითხვა.

რა საინტერესოდ დასმული საკით-ხია? – გაიფიქრა მოხუცმა. ეს ბიჭის-თვის არ იყო განკუთვნილი, მაგრამ გონებას რას გამოაპარებ და ბიჭს ესეც გადაეცა, რამაც გაახარა კიდეც, მო-სუცს რომ მისი აზრი მოეწონა, მაგრამ მალევე მისმა გონებამ მოხუცისაგან ახალი ინფორმაცია მიიღო:

– სახლის გარეშე ადამიანები ვერ ვიცხოვრებდით, სხვა თუ არაფერი, ზამთარში ხომ გავიყინებით?!

– ზამთარი რაღაა? – გაიკვირვა ბიჭმა და, ვიდრე მოხუცი მწერლისაგან რაიმე ინფორმაციას მიიღებდა, სავარ-ძელზე შესკუპდა.

– რა კარგი რამეა! – თქვა თავის ენაზე და გულიანად გაიცინა, რადგან თვითონვე მიხვდა, რომ სავარძლის მა-ლალ საზურგესა და გვერდებს შორის ერთიანად ჩაიკარგა. ერთხანს ასე იყო, მერე გარდიგარდმო გაწვა და მოხუცის გონებამ მისგან ახალი კითხვა მიიღო:

– მეუბნებოდნენ, რომ ამ თქვენს... ჰო, სულ დამავიწყდა, რა ჰქვია ამ ბურთს?

– რა ბურთს, – გაიოცა მოხუცი მწერლის გონებამ.

– სადაც ახლა ჩვენ ვართ, – აუხსნა ბიჭის გონებამ, – სადაც ადამიანები ცხოვრობთ.

– დედამინა? – კითხვა დაუბრუნა ბი-ჭის გონებას მოხუცმა.

– ჰო, თქვენს ენაზე ასე ჰქვია, სწო-რია, ლამაზია ეს თქვენი დედამინა, ჩე-მი პლანეტა ასეთი არ არის, მაგრამ მე მაინც ის მირჩევნია.

– ყველას თავისი ადგილის დედა უყვარს. – შენიშნა მოხუცმა.

– რაო, რაო? – გაიკვირვა ბიჭმა, – დედამინა და ადგილის დედა ერთი და იგივეა?

– კი, ერთი და იგივეა, დედამინა ჩვენი ადგილის დედაა!

– რა გქვია? – შეეკითხა მოხუცი მწერალი

– ვერ გავიგე, – დაფიქრდა ბიჭი. მოხუცმა შეძლო და აუხსნა, რომ ყველა

ადამიანს თავისი სახელი აქვს და რომ
მას ნიკოლოზი ჰქვია.

— ნიკოლოზი, — ჩაფიქრდა ბიჭი, რა
უცნაურია, — ესე იგი, შენ ადამიანი კი
არა ნიკოლოზი ხარ!

— ნიკოლოზიც ვარ და ადამიანიც, —
დააბეჯითა მოხუცმა.

— ეგ როგორ? — ახითხითდა ბიჭი.

— აბა, თქვენ როგორ მოგმართავენ
ხოლმე მშობლები?

— ჩვენ ერთმანეთს გონიერით ველა-
პარაკებით და როცა ვინმეს უნდა, მე
მითხრას რაიმე, ის ინფორმაცია მხო-
ლოდ ჩემთან მოდის, — გადასცა ბიჭმა

— მე კი, სანამ აქ იქნები, ჩემს შერ-
ქმეულ სახელს დაგიძახებ!

— მართლა?

— ჰომ, და იცი რა დაგარქვი ?

— რაა?

— უცხოკუნა!

ბიჭი თავიდან სიტყვების მნიშვნე-
ლობას ვერ იგებდა, მაგრამ თითქოს
ვიღაც უხილავი უხსნიდა, რამდენიმე
წამის შემდეგ, ყველაფერს გებულობ-
და. ასე იყო ამჯერადაც ვერ გაიგო,
რას ნიშნავდა სიტყვა დაძახება, მაგ-
რამ მალევე ყველაფერს მიხვდა. ბიჭმა
თავიდან არაფერი თქვა, მაგრამ, რო-
გორც ეს უკვე ჩვეულებრივად ხდებო-
და ხოლმე, უცნაური თვალები ასევე
უცნაურად აპრინ-დაპრინა და მოხუცს
დაეთანხმა:

— იყოს უცხოკუნა, ლამაზად იწერება.
— იწერება? — გაიოცა მოხუცმა.

— ჰო, უცხო-კუ-ნა, — დამარცვლა
ბიჭმა და ისევ ჩაიუცნაურსიცილა.

— ეს ხითხითი ძალიან ჩვენებური
აქვს! — დაასკვნა მწერალმა და უცხო-
კუნას თვალებში ჩახედა.

— მეორე დღეს მწერალმა უცხოკუ-
ნას გამოუცხადა, რომ მასზე მოთხრო-
ბა უნდა დაეწერა. ის კი ფანჯარასთან
იდგა, თითქოს ვიღაცას ესაუბრებოდა
და რაღაცაზე უთანხმდებოდა.

— მოთხრობა რაღა? — ისევ გაიკ-
ვირვა უცხოკუნამ.

— როგორ, მოთხრობა არ გაგიგია?

— არა! — თავი გააქნია ბიჭმა

— როგორ გითხრა, ამბავი, შენი ამ-

ბავი უნდა დავწერო, აქ როგორ გაჩ-
ნდი, მერე ჩვენ როგორ შევხვდით...

— არა, არა, გთხოვ, არ დაწერო! —
სახე მოელრუბლა ბიჭს, — ასე ხომ ჩემს
საიდუმლოს გასცემ?

— რა საიდუმლოს? — განცვიფრდა
მწერალი.

— ო, ეგ ძალიან რთული მოსაყოლია.

— მომიყევი, ჩვენ ხომ უკვე მეგობ-
რები ვართ?

— მეგობრები რაღა? — გაიოცა ბიჭმა.

მეგობრობა ისაა, როცა ორი ადამი-
ანი ერთმანეთის აზრებს იგებს და ერ-
თმანეთს პატივს სცემს, როცა ერთმა-
ნეთი უყვართ და ენატრებათ.

— ამიხსენი, ამიხსენი, — მღელვარე-
ბა დაეტყო ბიჭს და მოხუცს თვალებში
მიაჩერდა.

მოხუცმა ბიჭს დეტალურად აუხ-
სნა მეგობრობის არსი და მანაც თავის
ქნევით დაუდასტურა, რომ ყველაფერი
გაიგო.

— მონატრება რომ არ ვიცი რა არის?

— როგორ, ახლა აქ შენი მშობლები
რომ არ არიან, ხომ გენატრებიან?

— არ ვიცი, ამაზე არასოდეს მიფიქ-
რია...

ამ ახსნა-განმარტებებში გავიდა ერ-
თი კვირა. ბიჭმა ამ პერიოდში კარგად
ისწავლა ის ენა და ანბანი, რომელზე-
დაც მოხუცი ლაპარაკობდა და ყვე-
ლაფერს ჩვეულებრივად იგებდა. ერთ
დღეს თავისი ოთახიდან გამოსულმა
მოხუცმა დილით ბიჭი კვლავ ფანჯა-
რასთან მდგარი ნახა.

— ამაღამ მივემგზავრები! — სევდია-
ნად თქვა უცხოკუნამ

ამაღამ? — ეს მაგრამ საიდან იცი? —
გულუბრყვილოდ იკითხა მწერალმა.

— გადმომცეს, შუაღამისას მოვლენ!

— მერე, არ გიხარია? — მთრთოლ-
ვარე ხმით იკითხა მოხუცმა მწერალმა.

— არ ვიცი, — თავისითვის ჩაილაპარა-
კა ბიჭმა და მოხუცს ზურგი აქცია.

დღემ სწრაფად გაირბინა და როცა
შუაღამე დადგა, ბიჭმა თქვა:

— სადაცაა გამოჩნდებიან!

უცხოკუნა და მოხუცი სახლის კართან
იდგნენ და ერთმანეთს შეპყურებდნენ.

– რატომ ჩამოხვედი? – ჰეითხა მოხუცმა და თვალებში ცრემლი ჩაუდგა.

– ალბათ, იმიტომ, რომ შენ შეგხვედროდი და ჩემთვის გესწავლებინა ის, რასაც ჩემს პლანეტაზე ვერასოდეს ვისწავლიდი.

– და ეგ რა არის? – ჩუმად იკითხა მოხუცმა.

– სიყვარული და მონატრება, – თქვა ბიჭმა და თვალები უცნაურად ააპარპარა, იმდენი სევდა იყო ამ თვალებში, იმდენი წუხილი, მოხუცს გული დაეწვა.

– მე შენ მომენატრები! – თქვა ბიჭმა თავდახრით და დიდი ნაღველით.

– მეც ძალიან მომენატრები, ჩემო პატარა, ჩემო ბიჭო.. – ხმა უკანკალებდა მოხუცს და ბიჭს უცნაურ თმებზე ეფერებოდა.

– მორჩა, წავედი, მათ ლოდინი არ უყვართ! – თქვა ბიჭმა და მოხუცს ხელი ხელზე მოუჭირა.

გარეთ წამიერად ყველაფერი განათდა და როცა მოხუცის სახლი ჩვეულებ-

რივმა მყუდროებამ მოიცვა, მოხუცს განსაკუთრებული ნაღველი მოეძალა.

– ეეჲ, – ჩაილაპარაკა თავისთვის მოხუცმა და საწერ მაგიდას მიუჯდა.

– უნდა დავწერო, ამ ამბავს დავიწყებას ვერ მივცემ.

– მერე მართლა დაწერა? – მეკითხება ჩემი პატარა.

– აბა, რას იზამდა!

– მერე, რატომ დაღონდა? ის უცხოკუნა კიდევ ესტუმრება, გადაეცი არ შეეშინდეს.


– მართლა?

– დარწმუნებული ვარ!

ძალიან კარგი, აი, მე კი არ ვიცოდი ბოლოში რა დამეწერა და მაშინ ასე დავასრულებ: გავა დრო და უცხოკუნა ისევ დაბრუნდება ჩვენს მოხუც მწერალთან.

– და მერე რა მოხდება?

– ოო, ეგ გრძელი და იდუმალი ისტორიაა და, ალბათ, ოდესმე მაგასაც მოგიყვები.



უილიამ ფოლკნერი



მიღმა

სტეტოსკოპის მძიმე, მრგვალი სას-მენი ცივად და უსიამოვნოდ ედებოდა შიშველ მკერდზე; წაბლისფერი ავეჯით გაწყობილი დიდი, ოთხკუთხა ოთახი, საწოლი, სადაც თავდაპირველად მარტოს ეძინა და შემდეგ მისი საქორწინო საწოლი გახდა, სადაც მისი ვაჟი ჩაისახა და დაიბადა და სადაც კუბოს-თვის გამოაწყვეს. ოთახი, რომელიც მისთვის მთელი სამოცდახუთი წელი ნაცნობი იყო, თავისი სიმშვიდითა და სიმარტოვით, რომელსაც მისთვისვე დამახასიათებელი სურნელება ასდიოდა, ახლა სავსე იყო მოფუსფუსე ადა-მიანებით, თუმცა ისინი მხოლოდ სამნი იყვნენ და თითოეულ მათგანს კარგად იცნობდა: ლუციუს პიბოდი, რომელიც

ქალაქის ცენტრში სამე-დიცინო პრაქტიკის გა-სავლელად ჩამოსულიყო და ორი ზანგი, რომელ-თაგან ერთს სამზარე-ულობი უნდა ემუშავა, ხოლო მეორეს გაზონის ბალახი მოეთიბა და შე-ექმნათ შთაბეჭდილება, თითქოს შაბათ საღამოს მისაღებ ფულს გამოიმუ-შავებდნენ.

მაგრამ ყველაზე უა-რესი იყო სტეტოსკოპის მძიმე, ცივი, პატარა სას-მენი, იმაზე უარესიც კი, ვიდრე დარტყმა მის შიშ-ველ მკერდზე, რომელიც თხელი, ფაფუკი და გა-უფერულებული ჭალარა თმით დაფარვოდა. მთელ

ამ ამბავში ერთადერთი შემამსუბუქებე-ლი გარემოება იყო. „ყოველ შემთხვე-ვაში“, — გაიფიქრა გალიზიანებულმა, გესლიანი იუმორით, — „ბედმა იმით მაინც დამინდო, რომ ქალებთან და-კავშირებულ აურზაურს ამარიდა, რაც შეიძლებოდა ჩემი ხვედრი ყოფილიყო, როგორც ქორწინების ან განქორწინე-ბის თანმხლები. იქნებ, მომაშოროს ეს პატარა წყეული სათამაშო ტელეფონი და უფლება მისცეს ჩემს ზანგებს, თა-ვიანთ სამუშაოს დაუბრუნდნენ.“

და მერე, სანამ ფიქრს დაამთავ-რებდა, პიბოდიმ სტეოსკოპი მოაშორა. და სწორედ მაშინ, როდესაც ისევ ბა-ლიშს მიეყუდა და შვებით ამოიოხრა, ერთ-ერთმა შავკანიანმა, ქალმა ისეთი ჯოჯონეთური გოდება ამოუშვა, იძლე-

ბული გახდა, საწოლში წამომჯდარიყო და უურებზე ხელები აეფარებინა. შავ-კანიანი ქალი საწოლის ფეხთან იდგა, მოქნილი, შავი ხელები უძრავად დაეწყო საწოლის ბოლოს, თვალები გადა-ეტრიალებინა და ფართოდ დაელო პირი, საიდანაც ტალღისებური სოპრანო ამოდიოდა, ისეთივე მკვეთრი, როგორც მაღალი რეგისტრის სასულე ინსტრუ-მენტის ხმა და ორთქმავლის სირენასა-ვით აზანზარებდა კედლებს.

„ქლორი“ – წამოიყვირა მან. „შენ-ყვიტე!“, ქალი მაინც არ გაჩერდა. რო-გორც ჩანს, არც არაფერი ესმოდა და ვერც ვერაფერს ხედავდა. „ეი, შენ, ჯე-იქ!“ დაუყვირა მის უკან მდგომ ზანგს, რომელსაც ასევე საწოლის ბოლოს და-ეწყო ხელები და ჩაფიქრებული ბუნდო-ვანი და ღრმად ამოუცნობი სახე ჰქონ-და; „ახლავე აქედან წაათრიე ეს ქალი!“ მაგრამ ჯეიკიც რომ არ გაინძრა, პიბო-დის მიუბრუნდა გაბრაზებული და შე-ურაცხყოფილი. „ჰეი! ლუცი! გაათრიე ეს წყეული ზანგები აქედან!“ მაგრამ ჩანდა, არც პიბოდის ესმოდა მისი. მო-სამართლე თვალყურს ადევნებდა, რა გულმოდგინედ კეცავდა სტეტოსკოპს ჩანთაში; ერთხანს მიშტერებოდა მას, სანამ ქალის გამაყრუებელი ხმა ტალ-ლასავით ედებოდა ოთახს. შემდეგ მო-ისროლა რაც ზედ ეფარა, წამოხტა სა-წოლიდან და გამძვინვარებული გავარ-და ჯერ ოთახიდან, შემდეგ სახლიდან.

მერე უცბად გაიაზრა, რომ პიუამა-ში იყო და ქურთუკის ლილები შეიკრა. ეს იყო აბრეშუმით გაწყობილი თხე-ლი მაუდის შავი ქურთუკი, გაწმენდი-ლი, ძველმოდური, ელეგანტური, რო-მელსაც სიასამურის ბეწვის საყელო ამშვენებდა. „კიდევ კარგი ვერ მოი-ცალეს, რომ ქურთუკი ჩემგან დაემა-ლათ.“ გაიფიქრა ბრაზისგან აღელვე-ბულმა. „ახლა, მე რომ მცმოდა ჩემი...“ ფეხებზე დაიხედა. „აჱ, როგორც ჩანს, ჩამიცვამს...“ დახედა ფეხსაცმელებს. „ამაშიც გამიმართლა.“ მერე წამიერმა გაოცებამ გადაუარა და მისი ადგილი სიბრაზემ დაიკავა. ერთი ხელი ქუდს შეახო, მეორე ხელი საყელოზე მოიკი-

და. უასმინიც იქვე იყო. რაც მართალია მართალია, თუმც ჯეიკს ყოველდღე ეკუთვნოდა ლანდლგა-გინება, ზანგს არასდროს ავიწყდებოდა, რომელი ყვა-ვილი რა დროს იშლებოდა; და ყოველ-თვის უდებდა ცინცხალს, ახალსა და შეუბლალავს, დილის ყავის ლანგარზე. ყვავილი და ... ებანოზის ხელჯონი იღ-ლიაში ამოიდო და ტყავის ჩანთა გახ-სნა. ჩანთაში, წიგნის გვერდით, ორი ახალი ცხვირსახოცი იდო. ერთ-ერთი მათგანი ქურთუკის ჯიბეში ჩაიდო და გზა გააგრძელა. რამდენიმე ხნის შემ-დეგ ქლორის გოდების ხმაც მიყუჩდა.

მერე, ცოტა ხნის შემდეგ, მართლაც გამწარდა. ვერ იტანდა ხალხმრავლო-ბას: თავყრილობა უაზრო და ჯიქურ სისულელედ მიაჩნდა, იძულებად სა-კუთარი ხორციელი და დაუოკებელი ცხოვრებისა. მაგრამ ამჯერად, არც თუ ისე მალე, თავისუფალი იყო და იდგა ასე, ჯერ კიდევ ცოტათი აღელვებული, ცოტათი თავმობეზრებული, და უკვე განელებული სიბრაზითა და ზიზღით შეჰყურებდა მდუმარე ბრბოს, რომელ-საც მის უკან, შესასვლელთან მოეყარა თავი. მინელებული ზიზღიც თანდათან გაქრა, სახე უფრო მშვიდი და საზრია-ნი გაუხდა, სუსტი და მუდამ ირონიული დაბნეულობის ელფერით, თუმც გაოგ-ნების კვალი აღარ ეტყობოდა, ჯერ არც საგონებელში იყო ჩავარდნილი და არც დაძაბული ჩანდა. ეს ყველაფერი მოგ-ვიანებით შეიპყრობდა და ამიტომ არც მის ხმაში გამოსჭვიოდა, რომელიც ახ-ლა უბრალოდ მსუბუქად, უცნაურად და თავშეკვევებულად ულერდა „როგორც ჩანს, იქ საკმარისა ხალხმრავლობაა.“

„დიახ“, მიუეგო მეორემ. მოსამარ-თლემ შეხედა და დაინახა ჩვეულებრივ დილის ტანსაცმელში გამოწყობილი ახალგაზრდა კაცი, ქორწინების ელ-ფერი ეტყობოდა და რ მოთმინებით აღვსილი და დაძაბული შეჰყურებდა შესასვლელს.

„ვინმეს ელოდებით?“ ჰკითხა მოსა-მართლემ.

ახლა მან შეხედა მოსამართლეს. „დიახ, თქვენ ის არ დაგინახავთ, მაგ-

რამ არც იცნობთ.“

„ვის არ ვიცნობ?“

„ჩემს ცოლს, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ჯერ ჩემი ცოლი არ არის. ქორწილი შუადღით უნდა ყოფილიყო.“

„რაღაც მოხდა, არა?“

„იძლებული გავხდი ასე მოვქცეულიყავი,“ დაძაბულმა და აფორიაქებულმა შეხედა ახალგაზრდა კაცმა. „მაგვიანდებოდა. ამიტომ მანქანა სწრაფად მიმყავდა. გზაზე ბავშვმა გადმოირბინა. მე კი სწრაფად მივდიოდი, ისე სწრაფად, რომ ვერ გავჩერდებოდი და მკვეთრად მოვუხვი.“

„მაგრამ ბავშვს ხომ ააცილეთ?“

„დიახ“, შეხედა მას. „მას არ იცნობთ?“

„და აქ ელოდებით.....“ მოსამართლე მიაშტერდა. თვალები დაუწვრილდა, მზერა გამჭოლი და დაუზინებული გაუხდა. შემდეგ უცბად, მოსხლეტით წარმოთქვა: „სისულელეა.“

„რაო, რა თქვით?“ – ჰკითხა მეორემ გაურკვეველი, დაძაბული, თითქმის მავედრებელი ხმით. მოსამართლემ განზე გაიხედა. მოლუშული დაძაბულობა და ბრაზიანი, გაოცებული გამომეტყველება გაუქრა, თითქოს, მოულოდნელი, აუჩქარებელი მოძრაობით მოიცილა სახიდანო. იმ კაცს ჰეგავდა, რომელიც მოფარიკავე კი არაა, მაგრამ ვარჯიშობს ფარიკაობაში ნაკლებად მოსალოდნელი საშიშროების წინააღმდეგ, მოულოდნელად კი თავს აღმოაჩენს მახვილით ხელში, ზუსტად იმ მოვლენის პირის-პირ. მოსამართლემ შემოსასვლელისკენ გაიხედა, გამოცოცხლებული ჩანდა, ფიქრები სწრაფად დაუდიოდა გონებაში, ეტყობოდა ყველა შემომსვლელს მშვიდად აკვირდებოდა და თან ფიქრები ეძალებოდა. ერთხანს ასე მშვიდად იყურებოდა ირგვლივ, მერე ისევ ყმანვილს გახედა, რომელიც თვალს დაკვირვებით ადევნებდა.

„მგონი, თქვენც ცოლს უნდა ეძებდეთ.“ – თქვა მან. – „იმედი მაქვს, იპოვით, იმედი მაქვს, იპოვით.“ ხმაში ერთგვარი სასონარკვეთა ეტყობოდა. „აღბათ, ისიც თქვენი ასაკისაა. ჯოჯო-ხეთური ტანჯვა უნდა იყოს ადამიანი-

სათვის, რომელიც იძულებულია უყუროს და ელოდოს ქორწინებაში მასთან ერთად დაბერებულ ქალს თუ კაცს, მაგრამ ბევრად უარესია, ჩემსავით უყურო და ელოდო გოგონას, რომელიც ჯერ კიდევ ძალზე ახალგაზრდაა. დიახ, ვფიქრობ, ჩემი მდგომარეობა ყველაზე უფრო აუტანელია. იცით, ეს რომ მხოლოდ მეორე დღეს ყოფილიყო... რაღაც მსგავსი. მაგრამ ასე რომ მომხდარიყო, იმ ბავშვის გამო მანქანას არ შევატრიალებდი. მე ვხვდები, უბრალოდ, ვფიქრობ, რომ ეს საშინელებაა. შეუძლებელია, ეს ისეთი ცუდი იყოს, როგორიც მგონია. უბრალოდ, შეუძლებელია. იმედი მაქვს, თქვენც იპოვით მეუღლეს.“

მოსამართლემ ტუჩი აიმრიზა. „აქ იმისთვის მოვედი, რომ ვიღაცას გავექცე, და არა იმისთვის, რომ ვიღაც ვიპოვო.“ შემდეგ ახალგაზრდას შეხედა და სახეზე ლიმილის მსგავსი რამ გამოეხატა, მაგრამ თვალები არ ულიმოდა. „მე რომ ვინმეს ვეძებდე, ეს, აღბათ, ჩემი ვაჟიმვილი იქნებოდა.“

„ოჳ, ვაჟიმვილი. ახლა კი გასაგებია.“

„ახლა თქვენი ასაკის იქნებოდა, ათინლისა გარდაიცვალა.“

„მაშ, აქ ეძებეთ.“

მოსამართლეს სიცილი წასკდა, მაგრამ თვალებს ისევ არაფერი დასტყობია. ახალგაზრდა ლრმად შემფოთებული ადევნებდა თვალს და მის მზერაში ინტერესით გაღვივებული ცნობისმოყვარეობა გამოსჭვიოდა. „იმის გულისხმობთ, რომ ეს ყველაფერი არ გჯერათ?“ მოსამართლემ ხმამაღლა გაიცინა. გაცინებასთან ერთად თამბაქო ამოილო და წვრილი სიგარეტივით გამოახვია. თავი რომ ასწია, შენიშნა, ახალგაზრდა კაცი ისევ შემოსასვლელისკენ იყურებოდა.

მოსამართლემ სიცილი შეწყვიტა.

„ასანთი გაქვთ?“ ჰკითხე. მეორემ შეხედა.

მოსამართლემ სიგარეტი ასწია: „ასანთი.“

მეორემ ჯიბე მოიჩხრიკა. „არა.“ მერე მოსამართლეს შეხედა და უთხრა: „აქ მოძებნეთ.“

„გმადლობთ“, მიუგო მოსამართლემ. „შეიძლება, თქვენი რჩევა მოგვიანებით გამომადგეს.“ შეპრონდა. შემდეგ გაჩერდა და უკან მოიხედა. ყმანვილი ისევ შემოსასავლელისკენ იყურებოდა.

მოსამართლე გაოგნებული და ტუჩამრეზილი ადევნებდა თვალს. შემობრუნდა და გაუნძრევლად იდგა. სახეზე შეშფოთება ალბეჭდოდა, უმოძრაო, როგორც ნიღაბი: მგრძნობიარე, დალლილი ტუჩებით, დახვეწილი ნესტოებითა და გადმოკარკლული თვალები ჰქონდა. ჩანდა, განძრევაც არ შეეძლო. მერე მაზერშედი შემოტრიალდა და დაინახა. მაზერშედს წამით თვალები აუსამხამდა. თავისი მოკლე, მონჯლრეული, უკბილო ყბა კი ვერ გაანძრია.

„ოპო?“ თქვა მაზერშედმა.

„დიახ,“ უბასუსა მოსამართლემ, „მე ვარ.“ გაოცებამ რომ გაუარა, გაოგნებისა და შეშფოთების ჩრდილმა ერთიანად გადაურბინა სახეზე. ეს სიტყვები მისთვისაც სულელურად ჟღერდა: „მეგონა, მოკვდით...“ მერე როგორდაც მთელი ძალონე მოკვრიბა და მის მსუბუქ ხმაში გამოკრთა შეკითხვა, „ეგ როგორ?“

მაზერშედმა შეხედა: ჯმუხი კაცი იყო, დასვრილი და ერთმანეთთან შეუხამბელი, ცხიმითა და ჭუჭყით დალაქავებული კოსტუმი ეცვა, ჭუჭყიანი საყელოთი, ჰალსტუხის გარეშე, ფერმერთალი, თითქოს ნახევრად მთვლემარე მზერით, რომელიც აღსავს იყო ხეპრე კაცის აღშფოთებით. „ იმათ შენც აქ მოგიყვანეს, არა?“

„გააჩნია ვის გულისხმობ „იმათში“ და „აქში“ რას გულისხმობ.

მაზერშედმა მელავი სწრაფად და უხეშად მოიქნია. „აქ, ღვთის გულისათვის! მქადაგებლებმა! იესოს მგალობლებმა.“

„აჲ“, თქვა მოსამართლემ: თუ იქ ვარ, სადაც ნელ-ნელა ვრწმუნდები რომ ვარ, მაშინ არ ვიცი, აქ ვარ თუ არა. მაგრამ შენ სულაც არა ხარ აქ, არა?“ მაზერშედმა ერთი გემრიელად შეიკურთხა. „ჴო,“ თქვა მოსამართლემ, „ჩვენ ვერასოდეს ვიფიქრებდით, როდესაც საღამოობით ჩვენს ოფისში ვოლტერსა

და ინგერსოლზე ვმსჯელობდით, რომ აქამდე მოვიდოდით, არა? შენ, ათეისტის, რომლის ახლოსაც ზეცაზე ტაძრის გუმბათი თუ გამოჩნდებოდა მრის-ხანება შეგიპყრობდა ხოლმე; და მე, რომელსაც არასდროს შემეძლო, საკუთარი თავის წინააღმდეგ წავსულიყავი და მეღიარებინა შენი, თუნდაც სასიამოვნო და შრომის შემამსუბუქებელი, ნიჰილიზმის თეორია.“

„შრომის შემამსუბუქებელი?“ მაზერშედმა წამოიყვირა. „ღმერთო ჩემო! მე...“ მერე უმწერ გამმაგებით შეიკურთხა. მოსამართლე თითქოს იღიმოდა, მაგრამ თვალებზე კვლავ არაფერი ეტყობოდა. სიგარეტი ისევ შეახვია.

„ასანთი გაქვს?“

„რა?“ იკითხა მაზერშედმა და პირდალებულმა დაუინებით შეხედა მოსამართლეს. ჯიბეები მოიქექა. უხეშმა მოძრაობამ წამიერად გამოაჩინა იღლის ქვეშ მიმაგრებული პისტოლეტის თავი. „არა“, მიუგო, „არ მაქვს.“

„კეთილი,“ თქვა მოსამართლემ და სიგარეტი დაატრიალა, დამცინავი, მსუბუქი მზერა ჰქონდა. „მაგრამ ჯერ არ გითქვამს, აქ რამ მოგიყვანა. შევიტყე, რომ გქონდათ...“

გააფთრებულმა მაზერშედმა კვლავ სწრაფად შეიკურთხა. „მე არა... ეს-ესაა, თავი მოვიკალი.“ შემდეგ ისევ დაუინებით შეხედა მოსამართლეს. „ღმერთმა დაწყევლოს! ისიც კი მახსოვს, როგორ შევმართე პისტოლეტი; მახსოვს, როგორ დატრიალდა პატარა, ცივი რგოლი ჩემს ყურთან; მახსოვს, როგორ გამოვკარი სასხლეტს თითო...“ დაუინებით შეხედა მოსამართლეს. „მეგონა, ეს იქნებოდა ერთ-ერთი გზა, რომლითაც გავეკცეოდი მქადაგებლებს ეკლესიის წესებისავე მიხედვით...“ კაცმა დაუინებით შეხედა მოსამართლეს, მის აჭარსლებულ და აღშფოთებულ სახეზე მიმქრალი მზერა ალბეჭდილიყო. „ჴო, ვიცი, აქ რატომ ხარ. იმ ბიჭის საძებნელად მოხვედი.“

მოსამართლემ დაბლა დაიხედა. ტუჩი აემრიზა და ეს მოძრაობა თითქოს თვალებსაც გადაედო. შემდეგ წყნარად

თქვა, „არა.“

მოზერშედი თვალს დაუინებით ადევ-ნებდა. „იმ ბიჭს ეძებ. აგნოსტიციზმი.“ წაულრინა მან. „არც „ჰოს“ იტყვი და არც „არას“, სანამ არ დაინახავ, კატა საით გადახტება. მზად ხარ, ყველაფერი მიყიდო იმას, ვინც ყველაზე დიდ ფსონს შემოგთავაზებს. ღვთის გულისათვის, სჯობს დავნებდე და მოკვედე სიწმინ-დები, ათი მიღლით დაშორებულ სამოთ-ხეზე მოწუნულე უგნურებთან ერთად...“

„არა“, მოსამართლემ წყნარად, კბი-ლების ოდნავი გაელვებით გამოსცრა. მერე კბილები უმალ გაქრნენ, თუმცა თა-ვი ალარ აუწევია. ისევ ფრთხილად გაახ-ვია სიგარეტი. „როგორც ჩანს, აქ ბევრი ხალხია.“ მაზერშედმა შეფიქრიანებულმა დაუწყო თვალყურის დევნება, თავისი მძვინვარე ღვარძლის გემო იგრძნო და მიმქრალი მრისხანე მზერა შეაკავა. „ჩემ გარდა ალბათ, რამდენიმე ნაცნობი სა-ხეც დაინახე. ისინი, ვისაც ალბათ მხო-ლოდ სახელებით იცნობ, არა?“

„ოპ“, თქვა მაზერშედმა. „ვხედავ, ვხვდები.“ მოსამართლე სიგარეტს აპო-ლებდა. „შენ გინდა, რომ სუყველას ჩა-მოუარო, არა? ასე განაგრძე. ვიმედოვ-ნებ, მათგან ცოტა უფრო მეტს შეიტ-ყობ, ვიდრე იცი და ვიდრე მე ვიცოდი. ალბათ, შეიტყობ, ჩანს, იმდენად გაგება არ გინდა, რამდენადაც რაიმე სიახლე უფრო გჭირდება, რაშიც ეჭვს შეიტან. კეთილი, შეგიძლია მრავალი რამ მიიღო ნებისმიერი მათგანისაგან.“

„შენ გულისხმობ, რომ ისინიც აქ...“

მაზერშედმა ისევ უხეშად შეიკურხა. „რა თქმა უნდა, ინგერსოლი. პეინი. ყო-ველი ნაძირალა, რომელთა კითხვაშიც დროს ვკარგავდი, როდესაც აჯობებდა, სადმე კუნძზე დავმჯდარიყავი და მზეს მივფიცხებოდი.“

„აპ“, თქვა მოსამართლემ. „ანუ ინ-გერსოლიც...“

„რა თქმა უნდა. აქვე, ხის სკამზე, პარქში. იმავე სკამზე, სადაც იპოვი მას, ვინც პატარა ქალბატონებზე და-ნერა. და თუ იქ არ არის, უნდა იყოს.“

მოსამართლე ჩამოჯდა, წინ გადაი-ხარა და იდაყვები მუხლებზე ჩამოიდო,

თითებით ისევ მოუკიდებელი სიგარე-ტი ეკავა. „ვხედავ, თქვენც შეგუებულ-ხართ“, მიმართა კაცს, რომელზედაც მაზერშედმა უთხრა, რომ იგერსოლი იყო და მის პროფილს ჩუმად შეჰყუ-რებდა. „ამ ადგილს.“

„აპ“, მიუგო კაცმა და უცაბედი, მოკლე მოძრაობა გააკეთა. „შევგუე-ბულვარ?“

მოსამართლე ისევ ძირს იყურებოდა. „თქვენ ამას დათანხმდით? ხმის ამოუ-ლებლად?“ თითქოს სიგარეტის მეტი არაფერი აინტერესებდა. „ნეტავ, შე-მეძლოს მისი ნახვა და მასთან დალა-პარაკება.“ სიგარეტს ნელ-ნელა ატრი-ალებდა თითებით. „ალბათ, მას ვეძებ-დი. ალბათ, მას ვეძებდი, როცა თქვენს წიგნებს ვკითხულობდი, ასევე ვოლ-ტერსა და მონტესკიეს. ალბათ, ვეძებ-დი.“ სიგარეტი ნელა შეატრიალა. „მე მჯეროდა თქვენი, თქვენი გულწრფე-ლობის. სულ ვამბობდი, რომ თუ კა-ცი ჭეშმარიტებას ჩასწოდება, ეს კაციც უეჭველად მათ შორის იქნება-მეთქი. იყო დრო, როცა ისეთი საშინელი ტკი-ვილი მტანჯავდა, რომელიც მოაზროვ-ნე კაცსაც აიძულებს ყველაფერი აწონ-დაწონოს, ყველანაირი ეჭვი. სულელუ-რი თვითდაჯერება მქონდა: თქვენ იქ-ნებით პირველი, რომელსაც ეს სიცილს მოჰვრის ისევე, როგორც მე – ადრე. ვფიქრობდი, რომ შესაძლებელია სა-იქიო ცხოვრების არსებობა, გზისა, რომელიც არარსებულისკენ მიემართე-ბა, სადაც მაგალითად უფრო დაბალი დონის ადამიანებს შეეძლებათ დაე-ლაპარაკონ თქვენნაირ კაცს, რომელ-საც დაუჯერებენ; რომ შესძლებოდათ ასეთი კაცის პირიდან გაეგონათ სიტ-ყვები: „არის იმედი,“ ან „არაფერია.“ ჩემს თავს ვუთხარი, რომ თუ მსგავს შემთხვევაში ვინმესთან ლაპარაკი მო-მინდებოდა აუცილებლად ინგერსოლი, პეინი ან ვოლტერი იქნებოდა.“ მოსა-მართლე სიგარეტს დაჰყურებდა. „ხმა ამოიღოთ, მითხარით ან ერთი, ან მეო-რე, დაგიჯერებთ.“

მეორემ მოსამართლეს წამით შეხე-და. შემდეგ ჰკითხა: „რატომ? რატომ

დაიჯერებ?"

სიგარეტზე შემოხვეული ქალალდი მოეშვა. მოსამართლემ ისევ გაახვია და ამჯერად უფრო ფრთხილად დაიჭირა თითებით.

„იცით, ვაჟიშვილი მყავდა. ჩემი წარმომავლობისა და სახელის უკანასკნელი წარმომადგენელი. მას შემდეგ, რაც მეუღლე გარდამეცვალა, მარტო ვცხოვრობდით, ორი კაცი ოჯახში. კარგი ყმანვილი იყო. მინდოდა, მამაკაცური ყოფილიყო, ღირსეული. პონი ჰყავდა და აქეთ-იქით დააჭინებდა. მათი ფოტო მაქს, რომელსაც წიგნის სანიშნედ ვიყენებ. როცა ბიბლიოთეკის ფანჯარასთან ჭერებით ჩაივლიდნენ ვფიქრობდი, ნეტა რა იმედები აქვთ ამ ახალგაზრდებს-მეთქი; ხოლო პონიზე ვფიქრობდი, რა გაუაზრებლად დაატარებდა ტვირთს ეს სულელი ცხოველი. ერთ დღეს ოფისში ტელეფონის ზარი გაისმა. ჩემი ვაჟი უნაგირიდან გადმოვარდნილი უპოვიათ. ან პონიმ ჰქონილი, ან ჩამოვარდნისას თავი დაარტყა. ვერაფერი გავიგე.“

მოსამართლემ სიგარეტი გვერდითა სკამზე დადო და ჩანთა გახსნა. იქიდან წიგნი ამოიღო. „ვოლტერის ფილოსოფიური ლექსიკონი“, თქვა. „წიგნი ყოველთვის თან დამაქს. კითხვის დიდი მოყვარული ვარ. ისე მოხდა, რომ მარტოხელა ცხოვრებას ვეწევი, რადგან ჩემი ოჯახის უკანასკნელი წარმომადგენელი ვარ, შესაძლოა იმიტომაც, რომ მე ვარ რესპუბლიკელი თანამდებობის პირი დემოკრატიის მხარდამჭერებს შორის. მე ვარ ფედერალური მოსამართლე მისისიპის რაიონიდან. ჩემი სიმამრიც რესპუბლიკელი იყო“, სწრაფად დასძინა მან. „მე მჯერა, რომ რესპუბლიკური პარტიის მიმდევრები ყველაზე უკეთ ემსახურებიან ქვეყანას. არ დაიჯერებთ, მაგრამ ბოლო თხუთმეტი წელი ჩემი ინტელექტუალური კომპანიონი თავგადადებული ათეისტი იყო, თითქმის უწიგნური, რომელიც არა მხოლოდ დასცინოდა ლოგიკასა და მეცნიერებას, არამედ ყარდა კიდევც. და ხანდახან, როდესაც ზაფხულის ნესტიან საღამოს ჩემს

ოფისში ვისხედით, ვფიქრობდი, რომ თუ რწმენის აღდგენა ბანაობის საწინააღმდეგო ცრურნებისა მოაშორებდა, მაშინ ჩემი მრავალწლიანი შეგონებები გამართლებული იქნებოდა.“ მოსამართლემ წიგნიდან ფოტო ამოიღო და გაუწოდა. „ეს იყო ჩემი ვაჟიშვილი.“

კაცმა სურათს ისე დახედა, არც განძრეულა, სურვილიც არ გამოუთქვამს, რომ გამოერთმია. ყავისფერი, გაცრეცილი მუყაოდან პონიზე შემოჭდარი ათი წლის ბიჭი მშვიდად, დინჯად და ქედმალურად იყურებოდა მათკენ. „გამუდმებით აქეთ-იქით დააჭინებდა. ეკლესიისკენაც კი (გამუდმებით დავდიოდი ეკლესიაში, შიგადაშიგ ახლაც დავდივარ) ხანდახან ეტლთან ერთად მეჯინიბის თანხლებაც გვჭირდებოდა...“ შეფიქრიანებულმა დახედა სურათს. „დედამისის გარდაცვალების შემდეგ ალარ დავქორწინებულვარ. დედაჩემიც დაავადებული და ხეიბარი იყო. ბავშვობაში ადვილად ვთაფლავდი ხოლმე და დეიდაჩემების არყოფნაში იმის ნებასაც კი მრთავდა, ბალში ფეხშიშველი გავსულიყავი ორ შინამოსამსახურესთან ერთად, რომლებიც დეიდების მოახლოებას მანიშნებდნენ. სახლში რომ ვბრუნდებოდი, ჩემი მამაკაცური თავმოყვარეობა დაკმაყოფილებული და შენარჩუნებული მქონდა, მაგრამ როცა მის ოთახში შევიდოდი ყველაფერი იცვლებოდა. უმაღ ვხვდებოდი, რომ მინის ყოველი მარცვლის-თვის, რომელიც ფეხის გულზე სიამოვნებას მანიჭებდა, დედაჩემი თავისი სიცოცხლის ერთ წამს იხდიდა. მერე ერთად ვისხედით ხოლმე ბინდში, როგორც ორი ბავშვი, მას ჩემი ხელი ეკავა და ჩუმად ტიროდა, სანამ დეიდაჩემები შემოვიდოდნენ ლამპით ხელში. „აბა, სოფია, ისევ ტირი, არა. თქვი, ამ დროის განმავლობაში რითი შეგიჭამა ტვინი?“ თოთხმეტი წლისა ვიყავი, როცა გარდაიცვალა. ოცდარვა წლის ვიყავი, როცა საკუთარი თავი დაგარწმუნე და გულის რჩეული შევირთე ცოლად; ჩემი ვაჟი რომ დაიბადა, ოცდაჩვიდმეტისა ვიყავი.“ ფოტოსურათს დახედა, თვა-

ლები მოჭუტა და ქუთუთოებზე უამ-რავი ნაოჭი გამოეკვეთა. „გამუდმებით დაჭენებდა. ამ სურათზე ასახული ეს ორი არსება განუყოფელნი იყვნენ. ამ სურათს წიგნის სანიშნად ვიყენებდი დაბეჭდილი ტომეულებისთვის, სადაც შეგვეძლო გვენახა ჩემი და მისი წინაპ-რების ათი თაობა ამერიკის მატიანეში. ასე რომ, რაც უფრო ემატებოდა ფურ-ცლები, ჩემი თვალებით ვაკვირდებოდი, როგორ მოგზაურობდა მისი სხეული ამ გრძელ გზაზე, რომელიც მისმა სისხლმა და ხორცმა გაიარა, სანამ მისივე გახ-დებოდა.“ მოსამართლეს სურათი ეჭი-რა. მეორე ხელით ამოიღო სიგარეტი, რომელსაც ქალალდი მოშვებოდა: სიგა-რეტი ოდნავ ასწია და მერე ისე შეჩერ-და, თითქოს მეტის აზევა არ შეძლო. „შეგიძლიათ მითხრათ დაგიჯერებთ.“

„წადი, მოძებნე შენი შვილი“, მიუგო მეორემ „მიდი, მოძებნე.“

მოსამართლე არ განძრეულა. ხელში სურათი ეჭირა და სიგარეტიც თანდა-თან იშლებოდა, სრულ უმოძრაობაში იჯდა. როგორც ჩანს, რაღაც საშინელ, სუნთქვაშეკრულ დაძაბულობაში გაშე-შებულიყო. „უნდა ვიპოვო? უნდა ვიპო-ვო?“ მეორემ ხმა არ გასცა. მოსამარ-თლე შეტრიალდა და შეხედა, სიგარეტი თითქოს მშვიდად დაეშვა, გაუჩინარ-და და თამბაქო დაეფრქვა დაწკრია-ლებულ, პრიალა ფეხსაცმელზე. „ესაა თქვენი სიტყვა? დაგიჯერებთ, გარ-წმუნებთ.“ მეორე არ ინძრეოდა, იჯ-და ფორმადაკარგული, ნაღვლიანი, ენა რომ ვერ აღწერს ისე, და მიჩას დას-ცქეროდა. „მიდი, ნუ შეჩერდები, ნუ.“

მათ წინ, ბილიკის გასწვრივ, ხალხი გამუდმებით მიდი-მოდიოდა. ბავშვიან-მა ქალმა ჩაიარა, ხელში კალათი ეჭი-რა და უბრალო, გაცვეთილი, ჯაგრი-სით განმენდილი ლაბადა ემოსა. ქალი იმ კაცს მიუბრუნდა, რომელზედაც მა-ზერშედმა თქვა, ინგერსოლიაო: ნათე-ლი, უდრტვინველი, სასიამოვნო სახე ჰქონდა და საამო მშვიდი ხმით დაე-ლაპარაკა. მერე თბილად, გამბედაო-ბისა და მოკრძალების გარეშე შეხედა მოსამართლეს და განაგრძო. „მიდი, ნუ

შეჩერდები, ნუ.“ მერე სახეზე სრული შეცბუნება დაეტყო.

შუა ლაპარაკში სახის გამომეტყვე-ლება სრულიად გაუფერულდა: გაიმეო-რა „ნუ შეჩერდები, ნუ.“ შეფიქრიანებუ-ლი, შეშფოთებული ტონით. „ვერ შეძ-ლებ“ თქვა მან, „იმას გულისხმობ, რომ ერთი სიტყვის თქმასაც ვერ შეძლებ? რომ არც კი იცი? რომ შენ თავადაც არ იცი? შენ, რობერტ ინგერსოლმა? რობერტ ინგერსოლმა?“ მეორე არც კი განძრეულა. „ნუთუ რობერტ ინგერსო-ლი მეუბნება, რომ მთელი ოცი წელი იმ ლერწამს ვეყრდნობოდი, რომელიც ჩემსავით ძლიერიც კი არ ყოფილა?“

მეორე ჯერ კიდევ ძირს იყურებოდა. „დაინახე ის ახალგაზრდა ქალი, რო-მელმაც ბავშვით ხელში ჩაიარა?. უკან გაჟყევი და სახეზე შეხედე.“

„ახალგაზრდა ქალი. ბავშ...“ მოსა-მართლემ მეორეს შეხედა. „აჲ, მივხვდი. ჴო, მე შევხედავ ბავშვს და ნაჭრილო-ბევს დავინახავ. შემდეგ უნდა შევხედო ქალს სახეზე. ასე მოვიქცე?“ მეორემ არაფერი უპასუხა. „ეს არის შენი პასუ-ხი? შენი ბოლო სიტყვა?“ მეორე არც განძრეულა. მოსამართლეს ტუჩი ისევ აემრიზა.

თითქოს თვალთ დაუბნელდა, თით-ქოს მისმა მწუხარებამ, სასოწარკვე-თამ საბოლოოდ თვალებში გაიელვა, და დაუტოვა სახეზე უკანასკნელი და მიმქრალი ანარეკლი. წამოდგა და ფო-ტოსურათი ისევ ჩანთაში შეინახა. „და ეს არის კაცი, რომელიც ოდესლაც რო-ბერტ ინგერსოლი იყო.“ ჩაფიქრდა და სახეზე ისეთი გამომეტყველება გაუჩ-ნდა, რომელიც შეიძლებოდა ლიმილი ყოფილიყო, მაგრამ თვალები არ უღი-მოდა. „ეს იმას არ ამტკიცებს, რომ მე ვეძებდი, მე, ყველაზე უკეთ ვიცი, რომ მტკიცებულება არის კაცის მიერ გამოგონებული სიცრუე, რომ გაამარ-თლოს თავისი თავისა და მეგობრების წინაშე საკუთარი დაუფიქრებლობა, წყურვილი და უგუნურება, ეს იმას არ ამტკიცებს, რომ მე ვეძებდი.“ ჯოხითა და ჩანთით ილლის ქვეშ, კიდევ ერთი წვრილი სიგარეტი გაახვია. „არ ვიცი,

ვინ ხარ, მაგრამ არ მჯერა, რომ რობერტი ინგერსოლი ხარ. რომც ყოფილი ყავი აღბათ მაინც ვერ მივხვდებოდი. ასეა თუ ისე, არის რაღაც გარკვეული თანამიმდევრობა, გინდ სწორი იყოს და გინდ მცდარი, რაც ადამიანმა უნდა დააფასოს, რადგან მხოლოდ ეს აძლევს სიკვდილის უფლებას. რაც ვიყავი, ისევ ისა ვარ, რაც ვარ, ის ვიქები, სანამ ის წამი არ დადგება, როცა აღარ ვიქები. და მერე უკვე აღარასოდეს აღარ ვიქები. ეგ როგორ ხდება? „Non fui. Sum. Fui. Non sum“.

ჯერ კიდევ მოუკიდებელი სიგარეტით ხელში, პირველად იფიქრა, რომ სიარულს განაგრძობდა. მაგრამ ამის ნაცვლად შეჩერდა და ბავშვს დახედა. ბავშვი ქალის ფეხებთან იჯდა ბილიკზე, ტყვიისგან ჩამოსხმული პატარა კაცუნებით გარშემორტყმული, რომელთაგან ზოგი იდგა და ზოგი ძირს ეგდო. ერთ მხარეს ეგდო გადმობრუნებული და დაცარიელებული კალათა. მერე მოსამართლემ დაინახა, რომ ეს ფიგურები იყვნენ აქეთ-იქით მიმოფანტული, სხვადასხვანაირად დასახიჩრებული რომაელი მეომრები, ზოგს თავი არ ჰქონდა, ზოგს – მკლავი, ზოგს – ფეხი, ზოგი იწვა პირქვე, ზოგი პირალმა, ამოუცნობი, შელახული მეომრები, რომელებიც რბილსა და მსუბუქ მტვერს დაეფარა. ბავშვს ორივე ტერფის ზუსტად შეუაგულში ნაიარევი ეტყობოდა. ხოლო შიშველ ხელზე მესამე იარა. როდესაც ბავშვმა დარჩენილი ფიგურები ერთიანად წააქცია, დადუმებულმა მოსამართლემ განცვიფრებული მზერა მიაპყრო და მეოთხე იარაც შეამჩნია. ბავშვმა ტირილი დაიწყო.

„ჩშშშშ“ – თქვა ქალმა, ახედა მოსამართლეს, მერე დაიხარა და მეომრები ფეხზე დააყენა. ბავშვი შეუჩერებლივ ტიროდა, აღელვებული და ჭუჭყიანი სახით, ძლიერად, აუჩქარებლად, ცივ-სისხლიანად, უცრემლოდ. „შეხედე!“ – თქვა ქალმა – „ხედავ? აქ! აქ პილატე-ცაა! შეხედე!“ ბავშვმა შეწყვიტა ტირილი. იჯდა მტვერში, უცრემლო სახით და მეომრებს ისეთივე ამოუცნობი გა-

მომეტყველებით შეჰყურებდა, როგორიც მათ ჰქონდათ, დასჯილი, მედიდური და თავშეკავებული. ქალმა მეომრები ისევ ძირს დააწვინა. „აი, ასე!“ წამოიძახა მოსიყვარულე, მხიარული ხმით, „ხედავ?“ ერთხანს ბავშვი წყნარად იჯდა. შემდეგ ტირილი დაიწყო. ქალმა ბავშვი აიყვანა და სკამზე დაჯდა, აქეთ-იქით გადაარწია და თან მოსამართლეს შეჰყურებდა.

„წყნარად, წყნარად!“ თქვა – „წყნარად, წყნარად.“

„ავადაა?“ თქვა მოსამართლემ.

„ოჳ, არა, სათამაშოებით დაიღალა, ჩვეულებრივ, როგორც ბავშვები იღლებიან ხოლმე.“

ქალი ბავშვს არწევდა და სახეზე სიყვარული და უდარდელი იერი ეხატებოდა.

„ჩუმად, ჩუმად, კაცი გითვალთვალებს.“

ბიჭი გაუჩერებლად ტიროდა. „სხვა სათამაშოები არ აქვს?“ – ჰკითხა მოსამართლემ.

„ოჳ, დიახ, იმდენი აქვს, რომ სახლში ღამით სიარულსაც ვერ ვპედავ. მაგრამ ეს მეომრები ყველაზე მეტად უყვარს. მოხუცმა ჯენტლმენმა აჩუქა, რომელიც აქ დიდხანს ცხოვრობდა და, როგორც ამბობენ, საკმაოდ შეძლებულიც იყო. მოხუცი ჯენტლმენს თეთრი ულვაშები და იმ მოხუცებისათვის დამახასიათებელი გადმოკარკლული თვალები აქვს ჭამა რომ უყვართ. მე ასე მივმართავ.“

მოხუც ჯენტლმენს ლაქია ჰყავს, რომელიც მის ქოლგას, ქურთუკს და სამოგზაურო ნოხს ატარებს და ერთ საათზე მეტს ჩვენთან ზის ხოლმე, ხანდახან ლაპარაკობს და სუნთქვა უჭირს. ყოველთვის თან ატარებს შაქარყინულს ან სხვა ტკბილეულს.“

მან დახედა ბავშვს, რომლის სახეც იყო ჩაფიქრებული და მშვიდი. ბავშვი შეუწყვეტლივ ტიროდა. ინტერესით აღსავსე და გაოგნებული სახით იდგა მოსამართლე და დაჰყურებდა ბავშვის ნაიარევ, ჭუჭყიან ფეხებს. ქალმა აიხედა და მის მზერას თვალი გააყოლა.

„მის იარებს უყურებთ და გაინტერესებთ, საიდან აქვს ისინი? სხვა ბავშვებმა მიაყენეს იარები, როცა თამაშობდნენ. რა თქმა უნდა, არ იცოდნენ, რომ ზიანს აყენებდნენ. მგონი ისინიც ისეთივე გაკვირვებულები იყვნენ, როგორც მე. თქვენ, ალბათ, იცით, ბავშვები როგორები არიან, როცა ისინი მშვიდად არიან.“

„დიახ“, თქვა მოსამართლემ, „მეც მყავდა ვაჟიშვილი.“

„გყავდათ? აქ რატომ არ მოიყვანეთ? დარწმუნებული ვარ, ჩვენც გაგვიხარდებოდა, თუ ისიც ჩვენი მეომრებით ითამაშებდა.“

მოსამართლემ მშვიდად დაკრიჭა კბილები. „ვშიშობ, ცოტა არ იყოს, დიდია სათამაშოებისთვის.“ მოსამართლემ ჩანთიდან ფოტო ამოიღო. „ეს ჩემი შვილი იყო.“

ქალმა სურათი გამოართვა. ბავშვი ისევ ხმამაღლა და გაუჩერებლად ტიროდა. „ოპო! ეს ხომ ჰოვარდია? ჩვენ მას ყოველდღე ვხედავთ. ყოველდღე ჭენებით ჩაივლის ხოლმე. ხანდახან ჩერდება და ჩვენც გვრთავს ნებას, რომ გავაჭენოთ. მე გვერდით მივდევ ხოლმე, რომ ზედ შევაკავო.“ დაამატა და ზემოთ აიხედა. შემდეგ სურათი ბავშვს აჩვენა. „შეხედე! ჰოვარდი თავის პონიზე, ხედავ?“ სურათის თვალიერებისას ბავშვს ტირილი არ შეუწყვეტია, სახე ცრემლებითა და ჭუჭყით ჰქონდა აჭრელებული, უანგარო და გაუცხოებული გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს ერთსა და იმავე დროს ორი განსხვავებული და განცალკევებული ცხოვრებით ცხოვრობდა. ქალმა სურათი ისევ მოსამართლეს დაუბრუნა. „ვფიქრობ, თქვენ მას ეძებთ.“

„ჰა“, გამოსცრა მოსამართლემ კბილებში. ფრთხილად ჩაბრუნა სურათი ჩანთაში. თითებში აუნთებელი სიგარე-ტი ჰქონდა გარჭობილი.

ქალი ისევ ხის სკამზე ჩამოჯდა, ქვედაბოლო აკრიფა და დასაჯდომად მიიპატიუ. „არ დაბრძანდებით? გარწმუნებთ, აქ ჩამოივლის.“

„ჰა.“ ისევ თქვა მოსამართლემ და

ქალს შეხედა ჩაფიქრებულმა, მოხუცის დაბინდული თვალებით. „რას იტყვით, ყოველთვის ერთსა და იმავე პონის დააჭენებს, არა?“

„ჰო,“ შეხედა მოღუშულმა და სერიოზულმა, გაოცებით.

„და რას იტყვით, რამდენი წლისაა პონი?“

„რამდენის და... მისთვის შესაფერისი ზომის და ასაკისაა.“

„მამ, თქვენ ამბობთ, რომ ახალგაზრდა პონის დააჭენებს?“

„აპა! დიახ, დიახ.“ ქალი თვალს ადევნებდა გაფართოებული თვალებით.

„აპ!“ ისევ გამოსცრა მოსამართლემ და ჩანთა ფრთხილად დახურა. ჯიბიდან ნახევარი დოლარი ამოიღო. „შეიძლება, მეომრებითაც დაიღალა. იქნება ამან მაინც...“

„გმადლობთ,“ უთხრა ქალმა, მაგრამ მონეტას არ დახედა. „სახე ძალზე სევდიანი გაქვთ. აი, როცა ფიქრობთ, რომ იღიმით, ეს ღიმილი კიდევ უფრო სევდიანად გამოიყურება. თავს ცუდად ხომ არ გრძნობთ?“ ქალმა კაცის გამოწვდილ ხელს დახედა, მაგრამ მონეტის გამორთმევა არც კი უფიქრია. „აზრი არ აქვს, მაინც დაკარგავს, არადა, ისეთი ლამაზი და ბრჭყვიალაა. შეიძლება როცა გაიზრდება და პატარა სათამაშოებს მოფრთხილებას ისნავლის... ახლა მეტისმეტად პატარაა.“

„ჰო, მესმის!“ თქვა მოსამართლემ. მონეტა ისევ ჯიბეში ჩაიდო. „კეთილი, ასეც მოვიქცევი...“

„ჩვენთან ერთად დაიცადეთ. ყოველთვის აქ ჩაივლის ხოლმე. ასე უფრო სწრაფად იპოვით.“

„აპ!“ თქვა მოსამართლემ „პონი, ისევ ის პონი. იცი, წესით და რიგით პონი უკვე იცდათი წლის უნდა იყოს. პონი თვრამეტი წლის მოკვდა, ექვსი წელი არავის უტარებია. ეს კი თორმეტი წლის წინ იყო. აჯობებდა უკეთ მოვცყრობოდი.“

მერე ყველაფერი ისევ უსიამოვნობა გახდა. ორჯერ უფრო მეტად უსიამოვნო იქნებოდა, სხვა დროს ხალხთან ერთად რომ ევლო ვიწრო შესასვლელ-

ში. ამჯერად, მარტოს მოუწევდა ეს გზა ნაბიჯ-ნაბიჯ გაეკვლია. „მაგრამ ბოლოს და ბოლოს, ვიცი, საით მივ-დივარ,“ ფიქრობდა და დაჭმუჭნული ქუდს, ხელჯოხსა და ჩანთას, ილლიაში ამოდებულს, მიათრევდა: „რაც ადრე არ ვიცოდი.“ მაგრამ ახლა თავისუფალი იყო და როცა სასამართლო შენობაზე საათს შეხედა, რაც არასდროს ავინ-ყდებოდა როცა კიბეებზე ჩამოდიოდა, დაინახა, რომ ვახშმამდე მთელი ერთი საათი იყო დარჩენილი, მანამ, სანამ მეზობლები მისი გარდაცვალების საათს ჩაინიშნავდნენ.

„სასაფლაოზე წასვლის დრო მექნება.“ გაიფიქრა მოსამართლემ. შემდეგ დახედა ახალთახალ თხრილს და გალიზიანებულმა ბრაზით შეიკურთხა, როცა დაინახა, რომ მარმარილოს ფილის გვერდით უხეში ქვის ნატეხები დაეყარათ. „წყეულ პეტიგრიუს“ თქვა, „უნდა მიეხედა ამისთვის. უფრთხო, საფლავები გვერდიგვერდ ყოფილიყო, ყოველ შემთხვევაში, ვფიქრობდი, რომ ის...“ ჩაიმუხლა და შეეცადა, ფილაზე დაყრილი მიწა გადაეწმინდა, მაგრამ ამის გაკეთება არ შეეძლო და ბუნდოვნად გამოჩნდა წარწერა“ ჰოვარდ ელისონ მეორე. 17 აპრილი, 1905 წ. 22 აგვისტო, 1913 წ. ქვემოთა ნაწილში საიდუმლო წარწერა: Auf Wiedersehen, პატარა ბიჭო. მოსამართლემ წარწერას ხელი გადაუსვა და მოასუფთავა. შეფიქრიანებული და მშვიდი სახე ჰქონდა, როდესაც ესაუბრებოდა მამაკაცს, რომელზედაც მაზერშედმა უთხრა, რომ ინგერსოლი იყო. „იცით, მე რომ დამეჯერებინა, რომ შემელო მისი ნახვა და შეხება, მაშინ მას არ დავკარგავდი. და ის რომ არ დამეკარგა, მაშინ შვილიც არ უნდა მყოლოდა. იმის გამო, რომ ახლა მძიმე დანაკარგს განვიცდი. მე არ ვიცი, რა ვიყავი და რა ვიქნები. მაგრამ სიკვდილის გამო, მე ვიცი, რომ ვარ. და ეს სწორედ ის უკვდავებაა, რომლის უნარიც გონებასაც აქვს და ხორცსაც სურს. სხვა ყველაფერი არის გლეხებისთვის და გაუთლელებისთვის, რომელსაც არასდროს ყვარებიათ შვილი

იმდენად, რომ დაეკრგათ.“ მოსამართლის სახე იყო ათას ნაწილად დაშლილი და უცნაური, როდესაც მისი ხელი წარწერებზე მშვიდად მოძრაობდა. „არა. მე ამას არ მოვითხოვ. მის გვერდით წოლაც საკმარისი იქნებოდა. ჩვენ შორის მხოლოდ მტვერი იქნებოდა: ეს სიმართლეა და ის უკვე მტვრად არის ქცეული ამ ოც წელიწადში. და ერთ დღეს მეც მტვრად ვიქცევი. და...“ ის ლაპარაკობდა მტკიცედ, მშვიდად, თითქოს საზეიმო ტონით: „მაინც ვინ დაამტკიცა, რომ მხოლოდ ძვლებისა და ხორცის ქსოვილს შეუძლია სიყვარულის სახე შეინარჩუნოს?

ახლა უკვე გვიან იყო. „ალბათ, ახლა საათს უკან წევენ,“ ფიქრობდა და მიაბიჯებდა სახლისკენ მიმავალ გზაზე. ცოტა ხანში უკვე მინდვრის სათიბის ხმა მოესმა, და იმ მომენტში, როცა ჯეიკიზე გაღიზიანდა, თავისი ჭიშკრის წინ მსუბუქ ავტომობილთა მწკრივი შენიშნა, მოულოდნელად აჩქარდა, მაგრამ ძალიანაც არა, და ხელმეორედ შეიკურთხა, როდესაც მწკრივის დასაწყისში ავტომობილი იდაინახა.

„წყეული პეტიგრიუ! აკი ანდერძის ხელმოწერისას, მოწმეების თანდასწრებით ვუთხარი, ფეხებით ჯეფერსონისკენ არ დამასვენოთ და საათში ორმოცი მილი სიჩქარით არ წამასვენოთ, თუკი ჩემთვის შესაფერის ცხენების წყვილს ვერ იმოვი-მეთქი... ახლა ისეთ კარგ ჭურაზე ვარ, მინდა უკან მოვბრუნდე და აჩრდილივით გამოვეცხადო, სწორედ ისე, როგორც ჯეიკი მოიქცეოდა.“

მაგრამ უცებ აფორიაქდა და ფეხს აუჩქარა. სწრაფი ნაბიჯით გაეშურა უკანა კარისკენ (შეამჩნია, რომ ბალაში ახლად და სუფთად იყო გაკრეჭილი, თითქოს ყველაფერი დღეს გაეკეთებინა) და შევიდა. მერე ყვავილების სუსტი სურნელი იგრძნო და ხმაც გაიგონა; მხოლოდ ის დრო ჰქონდა, პიუამა და ქურთუკი გაეხადა და კოხტად ჩამოეკიდა კედლის კარადაში, გადაეჭრა ჰოლი, სადაც მოჭრილი ყვავილების სუნი ტრიალებდა და ბუტბუტის ხმა მოისმოდა, და ტანსაცმელი ჩაეცვა. სამო-


სი ახლახან დაეუთოვებინათ და სახეც გაპარსული ჰქონდა. მიუხედავად ამისა, ორივე მას ეკუთვნიდა და მანაც მოირგო ძველებური და ნაცნობი ჩვეულებით, რასაც ვერავითარი უთო ვერ შეცვლიდა, იმავე უინმორეული წადილით, რითაც ზამთრის ცივ ღამეებში ამოიცვამდა ხოლმე თეთრეულს კიდურებზე.

„აჲ“, მიმართა კაცს, რომელზედაც მაზერშედმა თქვა, რომ ინგერსოლი იყო, „ბოლოს და ბოლოს ეს ყველაზე უკეთესია. „მოხუცი კაცი არასდროს არ არის საკუთარ სახლში, გარდა მისი კუთვნილი სამოსლისა: მისი ძველი ფიქრები და რწმენა, ძველი ხელები და ტერფები, იდავყები, მუხლები, მხრები, რომელთაც იცის, რომ მოერგება.“


მერე სინათლე გაუჩინარდა და გაისმა ჩახშული, სუსტი, ფარული იმქვეყნიური ხმა, რომელმაც წამიერად მოუტანა საშინელი, ავბედითი სუნი ჩაკლული ყვავილებისა; იმავდროულად, გაიაზ-

რა, რომ მონოტონური ხმაც შეწყდა. „ჩემს საკუთარ სახლში“ ფიქრობდა და ელოდებოდა, რომ ყვავილების სურნელი გაქრებოდა; „აზრად არ მომსვლია შემემჩნია, არც ის, თუ ვინ საუბრობდა, არც ის, ხმა როდის შეწყდა.“ მერე გაიგონა, ან იგრძნო მის ირგვლივ ფეხის ჩუმი ფრატუნის ხმა, ინვა სრულ სიბნელეში, ეძინა გულზე ხელებდანყობილს, ეძინა ძველებური ძილით და ელოდა რაღაც წამის დადგომას. და ისიც დადგა. მან წარმოთქვა ხმამაღლა, წყნარად, უცნაური იუმორით სავსე სიმშვიდით, როგორც აკეთებდა ყოველ ღამე, საწოლში, თავის განმარტოებულ და მშვიდ ოთახში, როცა უკანასკნელმა ამოსუნთქვამ დააცარიელა მისი სხეული სიფხიზლისაგან და ისე ჩანდა, თითქოს წამით ირგვლივ მიმოიხედა ძილის კარიბჭიდან, „პატივცემულო მსაჯულებო, შეგიძლიათ, განაგრძოთ.“

**ინგლისურიდან თარგმნა
მედეა ზაალიშვილმა**



ლეონარდო შაშა



ცვინისფერი ზღვა

მატარებელი, რომელსაც რომი-აგ-
რიჯენტოს პირველი კლასის სამგზავ-
რო ვაგონი აქვს ჩაბმული, ზაფხულ-
ობით რომიდან 20:55 სთ-ზე გადის.

– მაატრებელი გადის რევო კალაბ-
რიასა და სიცილიის მიმართულებით! –
აცხადებს ხმისგამაძლიერებელმი ქალის
ხმა, რომელიც მგზავრებს მოძრაობის-
კენ მოუხმობს; იმ მატარებლისკენ დი-
ნებად დაძრული ხალხი თოკებით გადა-
ჭრილ, ტილოს შალითებიან ჩემოდნებს
მიაქანებს და ამ ხმაზე ქალის ლამაზ,
ჭკნობაშეპარულ სახეს წარმოიდგენს,
რომელიც ტერმინის სადგურის სადე-
ნებს შორის, სალამოს ცაში უჩინარდე-
ბა; ეს რეისი უზარმაზარი პრივილეგიაა,

რომელიც სიცილიის დასავლეთი მხარის
სამი თუ ოთხი დეპუტატის დახმარებით
დაინიშნა და შენარჩუნდა. სიმართლე
რომ ითქვას, ამ მატარებელში, სამ-
ხრეთისკენ მიმავალ ყველა სხვა მატა-
რებელთან შედარებით, ცოტა ხალხია,
ამიტომაც მეორე კლასში თითქმის არა-
ვინ რჩება დასაჯდომი ადგილის გარეშე,
პირველში კი, რომელიც აგრიჯენტოში
მიდის, ნეაპოლამდე მაინც, ხოლო, თუ
ფრთხილად მოიქცევით, სალერნომდეც,
მთელ კუპეში მარტო მგზავრობა შეგიძ-
ლიათ. ამისთვის საკმარისია შუქი ჩააქ-
როთ, ფარდებიც ჩამოაფაროთ და და-
საჯდომ ადგილებზე თქვენი ჩანთები და
გაზეთები გადაანაწილოთ. მას შემდეგ,

რაც სალერნოს გასცდებით, უკვე შეგიძლიათ მოშინაურდეთ, მაისურში ან ღამის პიუამაში დაინერბასაც კი შეძლებთ – თქვენს კუპეში ადგილის საძებნელად ალარავინ შემოვა, თუმცა, ადგილების თვალსაზრისით, ასეთი კომფორტული მგზავრობაც კი ვერ გადაწონის ამ სამგზავრო მატარებლის მოუხერხებელ განრიგს და ამიტომაც სიცილიელები ისევ ჩქარ მატარებელს ამჯობინებენ, რომელიც ორი საათით ადრე გადის, მაგრამ ბოლო სადგურში – აგრიჯენტოში, სამგზავროსთან შედარებით, შვიდი საათით ადრე ჩადის ხოლმე.

ისე მოხდა, რომ ინჟინერ ბიანკის, რომელიც პირველად მიემგზავრებოდა სიცილიაზე – ჯელაში და თანაც არა სამოგზაუროდ, მას შემდეგ, რაც თვითმფრინავის ბილეთი ვერ იშოვა, ურჩიეს, რომ სწორედ ამ სამგზავრო მატარებლით – რომი–აგრიჯენტოს ვაგონით ემგზავრა და, ღამე დერეფანში რომ არ გაეთია, ბილეთიც წინასწარ დაეჯავშნა. ეს რჩევები ერთიმეორეზე უარესი იყო, განსაკუთრებით რჩევა, რომელიც ბილეთის წინასწარ დაჯავშნას ეხებოდა, ვინაიდან კუპეში, სადაც ადგილები წინასწარ არის დაჯავშნილი, ყოველთვის იმდენი მგზავრია, რამდენი ადგილიცაა, სხვა, დაუჯავშნავ კუპებში კი მარტო მგზავრობაც თავისუფლად შეიძლება. ასე რომ, როგორც ხდება ხოლმე, რჩევების წყალობით, ინჟინერ ბიანკის მოუხერხებელი მგზავრობა ელოდა ხუთ თანამგზავრთან – სამ უფროსთან, რომლებიც განუწყვეტლივ ლაპარაკობდნენ და ორ გაუზრდელ ბავშვთან ერთად.

უფროსთაგან ორი სწორედ ამ გაუზრდელი ბავშვების დედ–მამა იყო, მესამე კი ოჯახს მიკედლებული მათი ნათესავი, მეგოპარი თუ შემთხვევითი ნაცნობი, დაახლოებით ოცი წლის, ერთი შეხედვით, უსახური ქალიშვილი, რომელსაც მონაზვნის სამოსის მსგავსი, შავი ფერის თეთრკანტებიანი კაბა ეცვა. ბავშვები მას მოსვენებას არ აძლევდნენ, გარს ეხვეოდნენ. ძილმორეული უფროსი ეხუტებოდა, უმცროსი ააცოცდებოდა, ყელზე მოეხვეოდა,

თმას გაუშლიდა, შემდეგ ისევ ჩამოძვრებოდა და ძირს მოკალათდებოდა. ერთი წუთითაც ვერ ისვენებდა.

ჯერ კიდევ ფორმიაში ჩასვლამდე გაიგო ინჟინერმა, რომ უფროსს მოფერებით ლულუს ეძახდნენ, უმცროსს კი – ნენეს; რომ ერთი ლუიჯი იყო და მეორე – მანუელე, თუმცა ფორმიაში ჩასვლამდე ინჟინერმა ოჯახის ოთხივე წევრსა და მათ მეგზურ ქალიშვილზეც უკვე ყველაფერი იცოდა. ნიზიმიდან იყვნენ, აგრიჯენტოს პროვინციიდან, რომელიც ფართოდ გადაშლილი დიდი დაბაა, დიდი მიწებითა და მდიდარი მიწათმფლობელებით. მუნიციპალიტეტს სოციალისტები და კომუნისტები მართავე. ფაშისტური რეჟიმის ვიღაც მაღალჩინოსნის სამშობლოც ყოფილა; რკინიგზის სადგური არა, მაგრამ, სამაგიეროდ, ძველი ციხესიმაგრე ჰქონიათ; ცოლიცა და ქმარიც დაწყებით სკოლაში ასწავლიდნენ – მეგზური ქალიშვილიც, ოღონდ დროებითი შტატით; ოჯახი რომში ჩამოსულა, რადგან ქალის ძმა (თავდაცვის სამინისტროს პირველი კლასი, საპენსიონ განყოფილების მნიშვნელოვანი ფიგურა) რომაელ გოგონაზე დაქორწინებულა; გოგონა – სერიოზული ქალიშვილი, საუკეთესო ოჯახისშვილი, მამამისი – განათლების სამინისტროს პირველი კლასის მოხელე. თავად გოგონას ფილოლოგიის ფაკულტეტი დაემთავრებინა და კერძო სასწავლებელში ასწავლიდა; ლამაზი ყოფილა, მაღალი და ქერა, სწორედ იმ დღეს დაქორწინებულან წმინდა ლორენცოს სახელობის ეკლესიაში, ლუჩინაში, რომელიც ლამაზი ეკლესია, თუმცა მთლად ისეთი ვერა, როგორიც წმინდა ეგნატეს სახელობისაა, მეჯვარებიც პირველი კლასის მოხელეები ჰყოლიათ; თანამგზავრი ქალიშვილი კი, რომელიც რომში მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გულის გასაქარვებლად ყოფილა ჩასული, თავისივე ძმას (იუსტიციის სამინისტროს პირველი კლასი) ჩაებარებინა მათვის ამ მოგზაურობის დროს, თეთრკანტებიან შავ კაბას კი იმიტომ ატარებდა თურმე, რომ წმინდა

კალოჯეროსთვის მიეცა აღთქმა; წმინდა და კალოჯერო ნიზიმის წმინდანია, სასწაულმოქმედი წმინდანი.

— რომში ამდენი ეკლესია იყოს და არც ერთი მათგანი წმინდა კალოჯეროს სახელს არ ატარებდეს, განა ეს შეიძლება?! — იკითხა ბოლოს სინიორამ. — ასეთი ძლიერი წმინდანის არც ეკლესია იყოს და არც საკურთხეველი? არადა, მართლაც ძლიერი წმინდანია.

წმინდა კალოჯეროს ხსენება იყო და ქალის ქმარს ცოტა ირონიულად გაეღიმა, მეგზურმა ქალიშვილმა კი გაიხსენა, პატარაობიდან მოყოლებული, როგორ ეშინოდა წმინდა კალოჯეროსი: შავი სახე, შავი წვერი, შავი სამოსი და, სიმართლე გამხელილი სჯობსო, აღთქმაც დედამისს მიეცა მის ნაცვლად, მაგრამ ამას განა რამე მნიშვნელობა ჰქონდა? თეთრკანტებიანი შავი კაბა კიდევ ერთი თვე (და ეს უკვე მეექვსე თვე იქნებოდა) ხომ მას უნდა ეტარებინა?!

— თანაც ამ პაპანაქება სიცხეში, ქვას რომ ადნობს! — დაამატა მეგზურმა კაცმა.

— ისე რაღა აღთქმა იქნებოდა? — შეეპასუხა ცოლი. — ცოტა თუ არ განვალდი, რის აღთქმაა?

— ის არ კმარა, რომ რომში ყველა მე მაცქერდებოდა? — ჩაერია ქალიშვილი.

— არ კმარა! დამცირება და ტანჯვა!

— აი, აღთქმის ორი პირობა! — თქვა თავის სისწორეში სრულიად დარწუნებულმა სინიორამ.

ამ სიტყვებზე ქალიშვილს ჩაელიმა და ინჟინერმა ის მოულოდნელად სულ სხვაგვარი დაინახა; იმ უსახური კაბის ქვეშ ლამაზი მეერდი მოუჩანდა, ლამაზი სხეული და მოელვარე თვალები ჰქონდა.

— აღთქმას მე ვხსნი! — თქვა ბავშვებიდან უმცროსმა, ნენემ, ფეხსაცმელების თასმები შეიხსნა და მათ გასაძრობად ფეხები ჰაერში აიქნია; ცალი ფეხსაცმელი ინჟინერს პირდაპირ მეერდში მოხვდა, მეორე ცალი კი ისევ ფეხზე შერჩა.

— ნენე! — გაკიცხვითა და მუქარით ერთდროულად შეჰყვირა დედ-მამამ და

ინჟინერს მოუბოდიშა.

— არაფერია, ბავშვები არიან... — თქვა ინჟინერმა და ფეხსაცმელი დაუბრუნა. ეს ჯერ მართლაც არაფერი იყო იმასთან შედარებით, რაც ნენესა და ლულუს მისთვის მოემზადებინათ და რაც მას ამ გრძელ მოგზაურობისას ელოდა — ნეაპოლიდან, სადაც ბავშვებმა სულ აიშვეს, კანიკატიმდე.

— აღთქმას რაც შეეხება, — თქვა ქმარმა და, სანამ ნენეს ფეხსაცმელს აცმევდა, ისევ წამოწყებულ თემას დაუბრუნდა, — ეს ხომ სამყაროსავით ძველი ამბავია... გაუნათლებლობა, ცრურ-წმენა...

— შენ არ იყავი, წმინდა კიბე რომ აიარე! — მკვახედ მიუგო ცოლმა.

— ეგ რა შუაშია ახლა? — შეეპასუხა ქმარი. ჩანდა, რომ ცოლის სიტყვები გულზე მოხვდა.

— სწორედ რომ შუაშია! აი, ბატონმა განსაჯოს, შუაშია თუ არა! — უპასუხა დაუნდობელმა ცოლმა.

ინჟინერმა გალიმება სცადა და, უარის ნიშნად, ხელიც უხერხულად გაიქნია.

— არა, — ჩაერია სინიორა, — თქვენ უთხარით ერთი, შუაშია თუ არა! თავად წმინდა კიბე აიარა და იმათ დასცინის, ვისაც წმინდანებისთვის აღთქმა აქვს მიცემული!

— აბა, მითხარით, გეთაყვა, გისმენთ! — გაამსხნევა ინჟინერი კაცმა, თუმცა მეგზურის მხარდაჭერის პატარა იმედი კი უღვიოდა.

— წმინდა კიბის ავლა რას ნიშნავს? — იკითხა ინჟინერმა მხოლოდ იმიტომ, რომ დრო მოეგო.

— როგორ, არ იცით? — გაუკირდა ქალს.

— ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა მაქვს... რაღაც მახსენდება... — უპასუხა ინჟინერმა.

— როგორ თუ ბუნდოვანი წარმოდგენა და მოგონება... თქვენ კათოლიკე არ ბრძანდებით?

— კათოლიკე ვარ, მაგრამ...

— აი, ჩემსავით ფიქრობს! — გამარჯვებულის ტონით ჩაერია ქმარი.

— შენ წმინდა კიბე აიარე! — ისევ

გამგმირავად შესძახა ცოლმა.

— მხოლოდ იმიტომ, რომ შენ მარტო

არ ასულიყავი! — შეპბედა ქმარმა.

— მშია! — დაიყვირა ამ დროს ნენემ,

— მორტადელა მინდა და ბანანები!

— მე ფორთოხლის წვენი მინდა! —

აჰყვა ლულუც.

— არანაირი მორტადელა. აი, ასე გა-
მოგაყრის! — უთხრა დედამ და ნენეს
მკლავზე ჭინჭრის ციებით დაყრილ წი-
თელ ლაქებზე მიუთითა.

— მორტადელა! თორემ დონ პიეტ-
როს ჯორი ვიქენები! — თქვა ნენემ ისე-
თი გამომეტყველებით, რომ, ჩანდა,
მზად იყო, დანაპირები დაუყოვნებლივ
აესრულებინა.

— აბა, როგორ აკეთებს დონ პიეტ-
როს ჯორი? — ჰკითხა გახალისებულ-
მა ქალიშვილმა. აშკარად ეტყობოდა,
იცოდა, რაზეც იყო ლაპარაკი.

ნენე დონ პიეტროს ჯორის საჩვე-
ნებლად თავისი ადგილიდან ძირს ჩა-
მოსრიალდა.

— ღმერთო ჩემო! — ერთდროულად
შეპყვირეს დედამ და მამამ და ბავშვს
ხელი სტაცეს. მერე ინჟინერს აუხსნეს,
რომ დონ პიეტროს ვირი ზურგით მინა-
ზე გორავდა და ტლინკებს გამალებით
ჰაერში ყრიდა და რომ ნენე, თურმე,
ძალიან კარგად ბაძავდა მას.

ნენეს მორტადელა მისცეს.

— ფორთოხლის წვენი! — ანუწუნდა
ახლა ლულუ. — ფორთოხლის წვენი...
ფორთოხლის წვენი!

— ნებოლში მიიღებ! — შეპბირდა მას
ყველა, ინჟინრის ჩათვლით.

ლულუს წუნუნს ვერავინ გაუძლებ-
და. რაც უნდოდა, ის უნდა მიეღო, ნე-
ნეს ხერხი კი მუქარა და შანტაჟი იყო.
ინჟინერს ნენეს მკვირცხლი და პირდა-
პირი მეთოდები ერჩივნა. ლულუს წუ-
ნუნი საშინალად აღიზიანებდა.

დედამ და მამამ ლულუ ერთიანად
ჩაკოცნეს და ისიც დამშვიდდა. ეს შეს-
ვენება კი მართლაც რომ დროული აღ-
მოჩნდა; ამით წმინდა კიბის საჩოთირო
თემა ამოიწურა.

— თქვნ უცოლო ბრძანდებით! — და-
ასკვნა ქალმა მას შემდეგ, რაც ინჟინ-

რის მარცხენა ხელს სწრაფად შეავლო
თვალი.

— ვისაც თავში ჭკუა აქვს, იმას ცო-
ლი არც მოჰყავს! — იხუმრა ქმარმა.

— კი, ეს მართლაც მასეა, შენი შემ-
ხედვარე! — შეეპასუხა ცოლი.

— მე კი ვფიქრობ, — თქვა ინჟინერ-
მა, — რომ ვისაც ჭკუა აქვს, ადრე თუ
გვიან ქორწინდება; ადრე თუ გვიან მეც
დავქორწინდები, აუცილებლად დავ-
ქორწინდები.

— გესმის? — ჰკითხა ქალმა ქმარს
გაკიცხვის ტონით. — აი, რას ფიქრობს
ჭკვიანი ქალხი!

— მე ხომ ვხუმრობ... თუმცა, სე-
რიოზულად რომ ვთქვათ, ზოგადად...
ობიექტურად, ქორწინება შეცდომაა.
სუბიექტურად, პირადად მე, არანაირი
მიზეზი არ მაქვს, რომ უკმაყოფილო
ვიყო. აი, ჩემი ცოლი... იმიტომ არ ვამ-
ბობ, რომ ჩემი ცოლია და არც იმიტომ,
რომ აქ არის... მართლაც ანგელოზია!

მოულოდნელად გაცისკროვნებულმა
ქალმა თავი დახარა.

— ...და მერე ეს ორი პატარა ანგე-
ლოზი!

ნენეს, რომელიც მასთან ახლოს იჯ-
და, თავზე ხელი გადაუსვა, ნენემაც
სიყვარულის ნიშნად მორტადელას ცხი-
მით აპრიალებული გათხუპნილი პირი
იმ გამოსასვლელი აბრეშუმის პერანგის
სახელზე აუსვა, რომლის გამოცვლაც
ცოლის ძმის ქორწილის შემდეგ ვერ
მოესწრო.

— პერანგი! — შეპყვირა ქალმა, მაგ-
რამ უკვე ძალიან გვიანი იყო, სახე-
ლოზე ცხიმის მოზრდილი იეროგლიფი
ბზინავდა.

— აი, მამიკოს პერანგიც გაუფუჭე,
ჩემო სიხარულო! — უთხრა მამამ.

— მორტადელა კიდევ მინდა! — თქვა
ნენემ.

— მორტადელას კიდევ ახსენებ და
პოლიციის უფროსი მოვა შენს დასაჭე-
რად! — დაემუქრა მამა.

— არა, არ ვახსენებ! ისე ვიტყვი, მინ-
და! — თქვა ნენემ და ასე დაიძვრინა მუ-
ქარისაგან თავი.

— ძალიან საზრიანია! — თქვა სიამა-

ყით მამამ.

— მინდა! — დაუდასტურა ნენემ.
— არა, არა და კიდევ არა! — უთხრა
მამამისმა.

— როგორც კი სახლში ჩავალთ, —
თქვა ნენემ. — დეიდა ტერეზინას მო-
ვუყვები, რაც ილაპარაკეთ მასზე ძია-
ტიტოსთან!

— რა ვილაპარაკეთ? — ხელი მკერ-
დზე მიიღო აღელვებულმა და შეწუხე-
ბულმა დედამ.

— შენ და მამიკომ ძია ტიტოს უთ-
ხარით, რომ დეიდა ტერეზინა ძუნნია,
კიდევ ის, რომ არ იბანს და რაღაცებს
ხლართავს. — დაამტკიცა ნენემ თავისი
არჩევულებრივი მეხსიერება.

— მივცემ მორტადელას! — თქვა მამამ.

— მიეცი! — დაეთანხმა ცოლი. — მერე
მთელ ტანზე ჭინჭრის ციებისაგან რომ
გაწითლდება და დააყრის, დეიდა ტე-
რეზინასთან გაიქცეს და ის მოფხანს!

— მე თვითონ მოვიფხან, კედელთან,
— თქვა ნენემ და მამის მიწოდებულ
მორტადელას გამარჯვებულმა ჩავლო
ხელები.

ნენეს მშობლები გაისუსნენ და ამ
ჩამონალილ დაძაბულ სიჩუმეში ინჟი-
ნერმა ტერეზინას ზაზუნას სახესავით
მოძრავი და წვეტიანი სახე დაინახა.

— უკვე ნეაპოლში ვართ! — თქვა ინ-
ჟინერმა იმ მიზნით, რომ თავისი მგზავ-
რები დარდისაგან გამოეხსნა.

ღამის სიბნელეში ქალაქის შუქები
მოჩანდა.

ამ განცხადებამ ქალიშვილს მიხუტე-
ბული, ძილ-ბურანში ჩაძირული ლულუ
გამოაფხიზლა; წამოიძახა, რომ ფორ-
თოხლის წვენი უნდოდა.

მატარებელი ბაქნის გასწვრივ მის-
რიალებდა.

— ფენვანი! ფენვანი! — ნენეს ყუ-
რადდება შეძახილმა მიიპყრო. მამამ
აუხსნა, რომ ეს ფენვანი ცომით გა-
მომცხვარი კრემიანი ნამცხვარი იყო
და ნენემ ნამცხვარი ჩვეული ენთუზი-
აზმითა და თავაზიანობით მოითხოვა.
ნენეს ნამცხვრითა და ლულუს ფორ-
თოხლის წვენით ამჯერად ინჟინერი
გაუმასპინძლდა. ბავშვების მიმართ გა-

მოჩენილ ასეთ ყურადღებას კი მადლო-
ბების მთელი ტალღა და მასწავლებელ
მიჩიკესა და ინჟინერ ბიანკის ფორმა-
ლური გაცნობაც მოჰყვა.

ნენეს ნამცხვრის პირველსავე ლუკ-
მაზე სახეზე დაუძლეველი ზიზღი გა-
მოეხატა და, გაცნობის საზეიმო მომენ-
ტის აღსანიშნად, დარჩენილი ნამცხვა-
რი ზუსტად ისე მოისროლა, როგორც
შამპანურის ბოთლს ესვრიან ხოლმე
გემს ზღვაში პირველად ჩაშვებისას;
როგორც ჩანს, მამამისს თავში უმიზ-
ნებდა და სულ ცოტათი ააცილა.

— უზრდელო! — ერთხმად წამოიძა-
ხეს დედამ და მამამ.

— საზიზლრიბაა! — თქვა ნენემ. — კა-
ნოლო მინდა!

— კანოლო? — ჰკიოთხა მამამ, — აქ,
ნეაპოლის სადგურზე, საიდან გავაჩინო
კანოლო?

— სულ ფეხებზე მკიდია! კანოლო
მინდა! — თქვა ნენემ და ამით უწმა-
ნური სიტყვა-პასუხის მიმართ თავისი
მიდრეკილებაც გამოავლინა, რომელიც
ინჟინერს აქამდე არ შეემჩნია.

ქალიშვილს გაეცინა. მიჩიკე და მისი
ცოლი სასონარკვეთილი ჩანდნენ. ნე-
ნეს დაემუქრნენ, რომ პოლიციის უფ-
როსი მოვიდოდა თავისი მათრახითა
და ბორკილებით; ინჟინერს სთხოვეს,
დერეფანში გაეხედა, რათა მათი სიტ-
ყვების სისწორე დაემოწმებინა, რომ
პოლიციის უფროსი მართლაც მოდი-
ოდა ნენეს უხამსობების გაგონებაზე.
ინჟინერმა გაიხედა და დაადასტურა,
რომ პოლიციის უფროსი მართლაც იქ-
ვე იყო, ახლოს.

— პოლიციის უფროსი რქიანია! — თქვა
ნენემ ჩურჩულით. ეტყობოდა, ეშინოდა,
მაგრამ უკან დახევაც არ უნდოდა.

ცოლ-ქმარს შორის გაცხოველებუ-
ლი კამათი გაჩაღდა იმის შესახებ, თუ
სად და ვისგან ისწავლა ეს უშვერი
სიტყვები ნენემ.

ქალის აზრით, ის კლუბი, სადაც
მამამისს ნენე ნასადილევს დაჰყავდა
ხოლმე, ბილნისიტყვაობის ბუდე იყო და
ვიღაც კალოჯერო მანკუზო და ლუიჯი
ვინისტერა იყვნენ პირდაპირი პასუხის-

მგებელნი წენეს ენობრივ გახრნნაზე; უსაქმური ახალგაზრდები, რომლებიც იმით ერთობოდნენ, რომ ბავშვის უმანკოებას ბოროტად იყენებდნენ.

— თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ, — მიმართა ქალმა ინჯინერს. — რა სიტყვებს ასწავლიან ბავშვს! ყურში რომ არ შეიშვება... წმინდანებზე... პაპზეც... კი-დევ კარგი, რომ წენეს ისინი ავინყდება.

წენემ დედის ნათქვამის საპირისპირო ერთ წამში დაადასტურა:

— რომის პაპი არის... მაგრამ მას სასწრაფოდ პირზე ორი ხელი აეფარა: ერთი დედისა და მეორე მამისა, თუმცა იმ საშინელმა სიტყვამ პირიდან მაინც გასაგებად გამოაღნია, ისე, როგორც სახელდახელოდ დაცული გამსკდარი წყლის მილიდან გამოასხამს ხოლმე წყალი.

— გაიგეთ, არა? — ჰკითხა სინიორამ ინჯინერს. — მე კი მეგონა, რომ ეს სიტყვა დავიწყებული ჰქონდა! აი, ასეთ რამებს ასწავლიან!

სინიორას აზრით, ბუნებრივია, ასეთი რამ არ მოხდებოდა, მამამისს კლუბში, კარტის თამაშის ნაცვლად, ბავშვისთვის რომ მიეხდა, მაგრამ მიჩიკეს კარტის თამაშზე ხომ ჭუა და გონება ეკეტებოდა!

სინიორ მიჩიკე კი სულ სხვაგვარად თვლიდა; წენეს ენაწყლიანობის მიზეზი არა ამაღლებული გრძნობებისა და დახვეწილი ზეპირმეტყველების გამოვლენის ასპარეზი კლუბი, არამედ ის ეზო იყო, რომელსაც მათი სახლის აივანი გადაჰყურებდა და სადაც ხეპრე ხალხი იყრიდა ხოლმე თავს; ამიტომაც ყველაფერი სინიორას ბრალდებოდა, რომელიც წენეს იმ აივანზე დიდხანს დარჩენის უფლებას აძლევდა.

ამ კამათს წენემ წერტილი ერთი სიტყვით დაუსვა.

— კლუბი! — თქვა მოკლედ და კონკრეტულად.

მასწავლებელი ერთბაშად დადუმდა, მაგრამ სინიორას ამ გამარჯვებით არ უსარგებლია, საუბრის თემა შეცვალა; მატარებელი უკვე გასვლას აპირებდა და ქალს მოგონებები აეშალა. გაიხსენა, რომ მათი საქორწილო მოგზაურო-

ბის მეორე ეტაპი ტაორმინის შემდეგ წეაპოლში გაგრძელდა.

უკვე შუაღამე იყო. „არა, აქ ვერ დავიძინებ!“ — გაუელვა ინჯინერს და იფიქრა, რომ აჯობებდა გვერდით, რომელიმე თითქმის ცარიელ კუპეში გადასულიყო. სინამდვილეში კი უკვე აღარც ეძინებოდა. ის გაღიზიანება, რომელსაც იმიტომ გრძნობდა, რომ ასეთი დაუკებელი მოლაპარაკე მეზობლები და, ამასთან ერთად, ორი აუტანელი ბავშვი შეხვდა, ჯერ ხალისით შეეცვალა და ახლა, როცა მართლაც შეეძლო კუპეს დატოვება, ისეთი შორეული, ბუნდოვანი რამ იგრძნო, რასაც კეთილგანწყობას ვერ უწოდებდი, მაგრამ ამ გრძნობას კი წააგავდა. ინჯინერს ბავშვებთან ურთიერთობის გამოცდილება არ ჰქონია და ყოველთვის დარწმუნებული იყო, რომ არც გამოუვიდოდა. მოგზაურობისას ერთ წესს განუყრელად იცავდა — არასოდეს ჯდებოდა იმ კუპეში, სადაც ბავშვები იყვნენ, მაგრამ წენე მართლა მოსწონდა. ქალიშვილიც მოსწონდა — მისი ყოველი მოძრაობა, ყოველი სიტყვა, რომელიც მას სულ უფრო ცოცხალსა და მიმზიდველს ხდიდნენ. „მოგზაურობა ცხოვრებას ჰგავს“, — ფიქრობდა ინჯინერი. — „თითქოს დრო და სივრცე ერთბაშად იკუმშება. თეატრივითაა, სადაც დადგმულ ამბად ჩვენი ცხოვრება თამაშდება, ყოველი თავისი ეპიზოდით, მიზეზ-შედეგებით, ადამიანური ურთიერთობებით“ — და გადაწყვიტა მიჩიკესთვის გაენდო თავისი განზრახვა გვერდითა კუპეში გადასვლის შესახებ, რათა, მისივე სიტყვებით, მათვის თავისუფლება მიეცა, ბავშვებისთვის მეტი ადგილი დაეთმო.

— არავითარ შემთხვევაში! — უპასუხა მასწავლებელმა. თქვენ არ უნდა შეწუხდეთ, თუ მაინცა და მაინც ვინმე უნდა გადავიდეს, ეს ჩვენ გადავალთ!

კარგა ხანს ერთმანეთს თავაზიან სიტყვა-პასუხში ეცილებოდნენ. ბოლოს გადაწყდა, რომ კუპედან ფეხს არავინ მოიცვლიდა.

ლულუმ თქვა, რომ ეძინებოდა და შუქის ჩაქრობა მოითხოვა.

— არ ჩააქროთ! პოლიციის უფროსი უნდა დავინახო! — თქვა ნენემ, რომელ-საც პოლიციის უფროსთან მიმართებით სინდისი მაინც აწუხებდა.

— ჩააქრეთ შექი! მეძინება! — დაიყვრა ლულუმ.

განიწმატებული ნენე კი, პოლიციის უფროსის ენით რომ ვთქვათ, სიტყვი-დან ძალადობრივ ქმედებაზე გადავიდა: თავისი ადგილიდან ჩამოსრიალდა, ლულუს დააცხრა და ბარძაყზე უკბინა. ლულუმ დაიღრიალა და ძმას თმაში გააფთრებით ჩააფრინდა. მათი გაშველება მხოლოდ მაშინ შეძლეს, როდესაც ნენეს ცხვირზე ხელი მოუჭირეს, რათა ლულუს გასცლოდა, ლულუს კი თითები სათითაოდ გააშლევინეს. ნენეს მამამისისგან მსუბუქად მოხვდა, ლულუც ასევე მსუბუქად გაკიცხეს.

— ნეტა ვინ არის ეს პოლიციის უფროსი? — ჰკითხა ლიმილით ინუინერმა ნენეს.

— ბოზის შვილ... — ვერ მოასწრო ნენემ დამთავრება, ისევ სწრაფად დაუმუნეს პირი, მაგრამ შედეგი მაინც ვერ გამოვიდა სასურველი.

— ყრმა იესო, ალბათ, ყოველთვის ტირის, როდესაც შენ ცუდ სიტყვებს ამბობ, ნამდვილად ტირის! — უსაყვედურა ნენეს დედამისმა.

— სად არის ყრმა იესო? — იკითხა ნენემ.

— ყველგან! ზეცაშია, აქაც არის! — უპასუხა დედამ.

— რაღაც, არასოდეს მინახავს! — თქვა გულგრილად ნენემ.

— არ ჩანს, მაგრამ არის!

— თუ არ ჩანს, ესე იგი, არ არის!

— ურწმუნო! — უთხრა დედამ.

— ჯოჯოხეთში მოხვდები! — კვერი დაუკრა ლულუმ.

— ჯოჯოხეთში პოლიციის უფროსი მოხვდება! — გამოაცხადა ნენემ.

ყველას გაეცინა. დედამისსაც.

— ეშმაკუნა ხარ, პატარა ეშმაკუნა.

— დაუყვავა მამამ და მოეფერა, მერე ინუინერს ჰკითხა: — გინახავთ ასეთი ბავშვი? — თან თვალები სიამაყით უბრნყინავდა.

— არასოდეს. — უპასუხა ინუინერმა. ეს მართლაც ასე იყო.

— არა, ცუდი ბიჭი კი არ არის... — თქვა დედამ. — ძალიან მგრძნობიარეა. რომ იცოდეთ, როგორი კეთილია. როგორც კი ახალი ნივთი გაუჩნდება, სათამაშო იქნება თუ ნახატებიანი წიგნი, მაშინვე სხვებს ჩუქნის. ლარიბებისთვისაც არაფერს იშურებს. რომ შეეძლოს, თავის სახლსაც კი მისცემდა; როგორც კი მათხოვარს დაინახავს ხოლმე, ყველაფერი ავიწყდება: „დედა, ტანსაცმელი მივცეთ! დედა, მატრასი მივცეთ! თეფშები მივცეთ!“ — ჰკითხია, რომ სიღარიბე ეს მატრასებისა და თეფშების არქონაა... ძალიან აწუხებს ის, რომ უსაბლუკაროებს მინაზე სძინავთ და წვნიანს კიდევ გადაყრილი ქილებიდან ჭამენ.

— ეკლესიის წინ სძინავთ, — თქვა ნენემ, — პამიდვრის ქილებიდან ჭამენ. ჩემი თვალით დავინახე. მერე კვდებიან.

— არა, არ კვდებიან. — უთხრა მამამ.

— კვდებიან! — თქვა ნენემ ისეთი ტონით, რომ შეპასუხება შეუძლებელი იყო. აი, მე ლარიბი გამოვალ და ლარიბები აღარ მოკვდებიან! — დაამატა ბოლოს.

— ლარიბი უნდა გამოვიდეს! — დასცინა ლულუმ. — შე კრეტინო, რამდენჯერ გითხარი, შეიძლება გამოხვიდე ექიმი, შეიძლება გამოხვიდე მღვდელი, მაგრამ არ შეიძლება ლარიბი გამოხვიდე!

— ხომ შეიძლება გამოხვიდე ლარიბი? — ჰკითხა ნენემ მამას.

— კი, რა თქმა უნდა, როგორ არა! — სწრაფად უპასუხა მიჩიკემ.

— აი, ხომ ხედავ! — უთხრა ნენემ ლულუს. — კრეტინი შენ თვითონ ხარ! არც კი იცი, რომ ადამიანი ლარიბი შეიძლება გამოვიდეს!

— მე კი პოლიციის უფროსი გამოვალ! — თქვა ლულუმ. — შენც დაგიჭერ და ყველა ლარიბისაც!

დარტყმა ძლიერი გამოდგა. ნენე ისევ ასადგომად შეინძრა.

— მიკბენს! — დაიყვირა ლულუმ და ძმის უკეთ მოსაგერიებლად წამოდგა.

— არ გიკბენ! იმიტომ ავდექი, რომ ცოტა გავიარო რა. სულ ხომ არ ვიჯ-

დები? – თქვა ნენემ სიყალბენარევი ტონით. ყველა იქ მყოფს მიმართავდა და მათგანაც დასტურს ელოდა. ერთი წუთის შემდეგ ისევ დაჯდა, ეტყობოდა, ნალვლიანმა ფიქრებმა სადღაც გააქანეს. ასე, ნელ-ნელა ძილიც მოერია.

კუპეში შუქი ჩააქრეს, ფანჯრებიც ცოტათი ჩამოსწიეს და ფარდები ჩამოუშვეს.

– იქნებ ცოტა წავიძინოთ, კიდევ თხუთმეტი საათი უნდა ვიმგზავროთ... ძილინებისა! – თქვა მიჩიკერ.

ყველამ ერთმანეთს მშვიდი ძილი უსურვა, ლულუმაც, რომელსაც ძილი უკვე თითქმის მორეოდა. უკვე ლამის ორი საათი იყო.

ინუინრის გვერდით ქალიშვილი იჯდა, ქალიშვილის გვერდით კი – ლულუ. მოპირდაპირე მხარეს ისხდნენ: მიჩიკე, ნენე და სინიორა. ნენეს მოუსვენრად ეძინა. ალბათ, მისი სიზმრების ზღურბლზე პოლიციის უფროსი თუ შემოდგა, ხელში მათრახის შხულითა და ხელბორკილებს უდარუნით. ნენეზე ნამდვილად ვერ იტყოდი, ლამაზი ბავშვია. ლულუ, უდავოდ, უფრო ლამაზი იყო, მაგრამ ნენე საოცარი იყო. ინუინერში ისეთი გრძნობები და ფიქრები გააღვიძა, ისეთ ურთიერთობებზე დააფიქრა, რომელთა არსებობა არც კი იცოდა; ნენეს უყურებდა და საოცარ სიფაქიზეს გრძნობდა: თითქოს ადამიანის არსებობის არსი შეიცნო, რომელიც იმ მომენტამდე მიუწვდომელი იყო მისთვის.

ცხოვრებაში და განსაკუთრებით მის ცხოვრებაში, როგორც ტექნიკური სპეციალობის მქონე, ოცდათვრამეტი წლის კაცის ცხოვრებაში, ახლა ყველაზე მნიშვნელოვანი მხოლოდ ოთხი წლის ნენე იყო. „არ შეიძლება, ტექნიკური პროგრესის გჯეროდეს, თუკი ცხოვრებას იმედის თვალით არ უყურებ. დედამიწის ირგვლივ ორბიტაზე ვერ გახვალ, რომ არა ის ფაქტი, რომ არსებობენ ოთხი წლის ბავშვები, ბავშვები, რომლებიც იბადებიან და კიდევ დაიბადებიან, თუმცა ჩვენი საზოგადოება მათ უკვე პრობლემადაც კი მიიჩნევს. აი, შეერთებულ შტატებში... მათი თავისუფლების საკითხს იმ თავიანთი

პედაგოგიური და სამედიცინო კვლევებით სწავლობენ.

არა, ბავშვები არ წარმოადგენენ პრობლემას. საზოგადოება, რომელიც მათ პრობლემად მიიჩნევს, მათ შორდება, თაობათა მემკვიდრეობას არღვევს. ნენე და ლულუ პრობლემას არ უქმნიან მასწავლებელ მიჩიკესა და მის მეუღლეს; ისიც მართალია, ისინი მასწავლებლები არიან და შემდეგ საკონკურსო გამოცდაზე როცა გავლენ, სწორედ ამერიკელებისა და შვეიცარიელების თეორიებს გაიმეორებენ აღზრდაზე.

მართლა, შვეიცარიას რაც შეეხება... ისეთ საზოგადოებაში, როგორიც შვეიცარიაშია, სადაც თითქოს ტრაგედიისა და ისტორიის ჩანასახიც კი ამოძირკვეს, მაქს ფრიშის ინუინერი ფაბერი იბადება. ბერძნული ტრაგედია... ციურიხის პოლიტექნიკური. ტექნიკურატიის წარმომადგენელი კაცის ტრაგედია. ის საბერძნეთის უძველეს მიწაზე თამაშდება, სადაც ფატალურობა ისევ ჩასაფრებია მოკვდავს.

მოიცა, ერთი წუთით... ბავშვებზე ფიქრობდი, ინუინერი ფაბერი არაფერ შუაშია! შუაშია, მაგრამ ამაზე კარგად უნდა დაფიქრდეს კაცი, ახლა კი მეძინება... მივხვდი, საბერძნეთი... სიცილია... – იქნებ ეს იყოს კავშირი. კლასიკური ენების ლიცეუმი! ყველაფერი საბერძნეთს უკავშირდება. ჰო, ფაქტია, რომ შვეიცარიაში ყოველ ბავშვი იმ შვეიცარიელს ხედავ, ის რომ უნდა გახდეს, საბერძნეთში კი პიროვნებას, ადამიანს... ასეა, მგონი, სიცილიაზეც... აი, ეს ორი პატარა ბიჭი...

ასეთ მხარეში აღზრდა არც არის: არც წესებია, არც მეთოდიკა, არც საგანმანათლებლო ჩვევები, არსებობს მხოლოდ გრძნობები; ბერძნებსა და სიცილიელებს ჰგონიათ, რომ არ არსებობს ცხოვრებაში პრობლემა, რომელთანაც გამკლავება გრძნობებით არ შეიძლებოდეს. სიკვდილსაც ასე უსწორდებიან...“ – ფიქრობდა ინუინერი და მისი გონება ძილ-ბურანში იძირებოდა.

ჩახუთულობისაგან გამოეღვიძა, გვერდით მჯდარ ახალგაზრდა ქალს

ძილში თავი მის მკერდზე ჩამოსცურებოდა. ღრმად ეძინა, მისი სუნთქვა ოდნავ იგრძნობოდა. ინუინერი რაღაც ფაქიზმა გრძნობამ მოიცვა, ბედნიერების აუხსნელმა განცდამ; ქალიშვილის თმა სახეზე ოდნავ ეხებოდა, მის მკერდს კი მკლავზე გრძნობდა. ინუინრის ძილმორეული სხეული ერთიანად დაიძაბა.

ყველას ეძინა, სინიორ მიჩიკე ხვრინავდა კიდეც. უკვე კალაპრიაში ჩამოსულიყვნენ. სადგურში, ლამის მოულოდნელად ჩამოწოლილ სიჩუმეში, ადგილობრივ დიალექტზე ლაპარაკიც ისმოდა. მატარებლი ზღვის სანაპიროსთან ახლოს გაჩერდა. ზღვის ხმაზე ინუინერს თვალწინ სურათი დაუდგა, ზუსტად ისეთი, როგორიც ფილმებშია ხოლმე – როგორ ნელ-ნელა ინთემება წყლის ტალღებში ადამიანის ფიგურა და მერე სულ უჩინარდება; ინუინერმა იგრძნო, როგორ შეერწყა მისი სხეული წყალს, მოეშვა, აუხსნელი იყო სამყაროსთან, ბუნებასა და სიყვარულის განცდასთან ერთიანობის შეგრძნება.

როცა მატარებელი დაიძრა, ინუინერმა გაიგონა, როგორ შეინძრა ლულუ, რამდენიმე წამში კი, სრულიად მოულოდნელად, ის უკვე მის წინ აღიმართა. ბავშვი მისჩერებოდა და სახეზე, გაკვირვებასთან ერთად, საყვედურიც გამოხატვოდა, მერე ქალიშვილის სახე ხელებს შორის მოიცია და ენერგიულად გაასწორა, საზურგეს მიაყრდნო. „ეჭვიანობს!“ – გაიფიქრა ინუინერმა. – „ნამდვილად ეჭვიანობს, თითქოს მისი შეყვარებული იყოს, ამიტომაც იყო გასუსული სულ მის გვერდით“.

ქალიშვილს გამოეღვიძა და ყველაფერს მიხვდა.

– მაპატიეთ! – მიმართა ინუინერს, მერე ლულუს უთხრა: – დაიძინე, საყვარელო, ჯერ ადრეა! მოდი, ჩემს ადგილს დაგითმობ, თავისუფლად დაწვები და კარგად დაიძინებ! ლულუ ორ ადგილზე მოხერხებულად დააწვინა, თავზე ხელი გადაუსვა. ლულუს ხმა არ ამოუღია, ქალიშვილს წყენითაც უყურებდა და ვედრებითაც. ვინ იცის, ისეთ ტკივილში იხარშებოდა, რასაც ჯერ სა-

ხელიც არ ჰქონდა.

ქალიშვილი დერეფანში გავიდა. ინუინერმა დაიცადა, სანამ ლულუ ჩაიძინებდა და ქალიშვილს მიჰყვა. გოგონა დერეფნის ბოლოში იდგა, თავით მინას გვერდულად ეყრდნობოდა, თითქოს ისევ ძილ-ბურანს მინდობილი. ინუინერი მიუახლოვდა.

– ჩაეძინა, – და მერე, გრძელი პაუზის შემდეგ... – ეჭვიანობს.

– ჰო, ვუყვარვარ. – თქვა გოგონამ.

– ნენეს არ ჰგავს, უფრო ჩაკეტილი და სევდიანია... ნენე საოცარი ვინმეა!

– თქვა ინუინერმა.

– აუტანელია ნენე! თქვენ ჯერ არ გინახავთ, რისი გაკეთება შეუძლია... საცოდავმა ლუჩიამ აღარ იცის, რა ქნას.

– სინიორას ლუჩია ჰქვია? მეუღლე თითქოს რაღაც სხვა სახელს ეძახდა.

– დიახ, ეტას ეძახის. ლუჩეტა... აი, მე ჯერლანდა მქვია, მაგრამ დინას მეძახიან, ჯერლანდინა... სიცილიაზე ასეა, ნამდვილ სახელს არავის ეძახიან, ლამაზიც რომ იყოს.

– ჯერლანდა ლამაზი სახელია.

– არ არის ლამაზი. მძიმე სახელია, ჯერლა ამძიმებს.

– იტალიაში სხვაგან არსად არ გამიგია.

– მხოლოდ აგრიჯენტოს პროვინციაში იციან ეს სახელი, სან ჯერლანდო ქალაქის მფარველი წმინდანია და მისი პირველი ეპისკოპოსი იყო.

– სან კალოჯერო? ისიც ეპისკოპოსი იყო?

– არა, სან კალოჯერო განდეგილი იყო... ლეგენდის მიხედვით, შვიდი ძმანი ყოფილან და შვიდივეს კალოჯერო რქმევია, ერთ-ერთი მათგანი ნიზიმაში ჩამოსულა. შვიდი ლამაზი მოხუცი. კალოჯერო ბერძნულად „ლამაზ მოხუცს“ ნიშნავს. მე ბერძნული არ ვიცი, თქვენ იცით?

– ოდესალაც ვსწავლობდი, მაგრამ ვიცი-მეთქი, ვერ ვიტყვი.

– ძალიან მინდოდა ბერძნულის სწავლა, მაგრამ ჩემები ამბობდნენ, რომ ახალგზარდა ქალი ლიცეუმში თუკი ისწავლის, შემდეგ უნივერსიტეტშიც უნდა

შევიდეს, მაგრამ გოგოს, მარტო, პალერმოსნაირ ქალაქში როგორ გაუშვებ?

— სიცილიაზე ყველა ოჯახში ასე ფიქრობენ?

— არა, ყველა ოჯახში არა.

— მაში, თქვენი ოჯახი გამორჩეულად მკაცრია?

— გამორჩეულად არა. სიცილიაზე კიდევ ბევრნი არიან ისინი, ვინც ცხოვრებას განსაკუთრებული თვალით უყურებენ, არ ენდობიან...

— რას?

— სამყაროს, საკუთარ თავებსაც. ვერც გაამტყუნებ ბოლომდე... იცით, მე ავადმყოფობამდე უფრო მოუთმენელი ვიყავი, უფრო სულსწრაფი. მინდოდა კონკურსში მიმელო მონანილეობა და აქედან კონტინენტზე წავსულიყავი. ახლა ყველაფერს სხვაგვარად ვუყურებ; ასე მგონია, რომ ცხოვრება შეიცვალა, სერიოზულობა დაკარგა, ადამიანებს ადვილად შეუძლიათ ერთმანეთის ღალატი, ყველას ღალატი... სათქმელს კარგად ვერ ვამბობ, არა?

— ძალიან კარგად ამბობთ!

— ერთხელ რომში, ოსტიაში, კაფეში ვიჯექი. ჩემ ნინ ბევრი ადამიანი მიმოდიოდა. მაშინ ვიფიქრე, რომ ყველა თავისი იყო, მიუხედვად იმისა, რომ ისინი ლაპარაკობდნენ, ხუმრობდნენ და ხელგაყრილნიც დადიოდნენ. ცხოვრებაში ისეა, თითქოს დაკრძალვაზე იყო და კუბოს უკან მიჰყვებოდე. ყველა თავის თავზე ფიქრობს: „ცოცხალი ვარ, ახლა მისი ჯერი იყო, მე არ მოვკედები“. თითქოს ყველა და თავად სამყაროც კი მასზე უფრო ადრე მოვკედება... თქვენ დაკრძალვაზე ყოფილხართ?

— რამდენჯერმე.

— მე ერთი-ორჯერ. ესე იგი, გესმით, რისი თქმაც მინდა. არეულად კი ვლაპარაკობ. ასე, სიხარულსაც კუბოსავით გვერდით ჩაუვლი...

— თქვენ ჭეშმარიტ სიმართლეს ამბობთ!

— შეიძლება ეს იმ ადამიანის ნაფიქრალია, ვინც ავადმყოფობა გადაიტანა. თქვენ არ გეჩვენებათ, რომ ცხოვრებამ სერიოზულობა დაკარგა?

— არა მგონია, რომ ყველგანე ასე იყოს. — უპასუხა ინუინერმა.

— არა, არა, ყველგან არა... აი, ჩემს სოფელში, მგონი, ცხოვრება ისევ ნამდვილია... მაგრამ მისი საბრალო, აუტანელი სახე... თქვენ ფიქრობთ, რომ მეც საბრალო და ძველმოდური ვარ? თანაც ასე ჩაცმული.

— არა, არა! — შეენინაალმდეგა ინუინერი. — მე სრულიად საპირისპიროს ვფიქრობ!

— ცხოვრება მიყვარს, ლამაზი რალაცები მომწონს, ლამაზი კაბები... ძალიან მინდოდა ტუჩისაცხიც წამესვა, სიგარეტიც გამესინჯა!

— თქვენ ყველაზე მომხიბვლელი გოგონა ხართ, ვისაც კი ვიცნობ. აი, ასე ჩაცმული, სან კალოჯეროსთვის მიცემული აღთქმის დამცველი და ტუჩისაცხის გარეშე!

გოგონამ თვალები დახარა, საჩვენებელი თითოთ მინაზე რალაც გამოჰყავდა, თითქოს წერდა.

— რამეს წერთ? — ჰკიოთხა ინუინერმა.

— როგორ? დიახ, ჩემს სახელს... როდესაც უხერხულად ვგრძნობ თავს, ჩემი სახელის წერას ვიწყებ ხოლმე!

— თავი უხერხულად არ უნდა იგრძნოთ, როცა გეუბნებით, რომ ლამაზი გოგონა ხართ და თქვენთან საუბარი ძალიან მსიამოვნებს, იმიტომ რომ ეს ასეა!

— ჰო, — თქვა ქალიშვილმა და ხელები ერთმანეთს ისე მოუჭირა, თითქოს საკუთარ თავს უშლიდა, სახელი მინაზე გამოეცვანა.

— აი, ახლა ჩავალთ დანიშნულების ადგილას. იქნებ არც კი ლირდეს ჩვენი ამგვარი, შემთხვევითი შეხვედრის გაგრძელება, მაგრამ, მინდა გითხრათ, რომ დიდი სიამოვნებით შეგხვდებოდით ისევ!

ამ დროს დერეფანში თავი სინიორ მიჩიკე გამოყო, რომელიც ჩამოშვებულ ფარდებს შორის მოკვეთილი თავივით ჩანდა, იოანე ნათლისმცემლის გასისხლიანებული თავივით, ძილმორეულ სახეზე კი უნდობლობა ეწერა.

— რატომ გამოხვედით გარეთ? — იკიოთხა გალიზიანებაშეპარული ხმით.

— მეც... — უპასუხა ქალიშვილმა ინ-
ჟინერს ყოველგვარი კეკლუცობის გა-
რეშე და მიჩიკეს ეჭვის გასაქრობად
გაემართა.

მატარებელი პაოლას სადგურში შე-
დიოდა. მუხრუჭების ღრწიალის შენ-
ყვეტისთანავე ყვირილი შემოესმათ: —
მარწყვი! მარწყვი! რასაც სინიორ მი-
ჩიკე ხელში მომზადებული ექვსასი ლი-
რით ელოდა; თითო ჭიქა მარწყვი ყვე-
ლასათვის, ინჟინრის ჩათვლით.

ბავშვებს გაელვიძათ და თვალები
ჯერ ისევ არ გაეხილათ, ისე იშვერდნენ
მარწყვისკენ ხელს.

— შენ და შენი მარწყვი! — უსაყვე-
დურა სინიორამ მეუღლეს. — ბავშვები
გააღვიძე!

— მე კი არ გავაღვიძე, გამყიდველე-
ბის ყვირილზე გაიღვიძეს. — მოიბოდი-
შასავით მიჩიკემ.

— შენ ამოძრავდი, სანამ ისინი დაიყ-
ვირებდნენ! — თქვა სინიორამ.

— იმიტომ ავდექი, რომ... — ის-ის იყო
ახსნა დაიწყო მიჩიკემ, რომ შებორძიკ-
და: ცოლს თვალით შეუმჩნევლად ინ-
ჟინრისა და ქალიშვილისაკენ ანიშნა,
მაგრამ ქალში, ქმრის სიფრთხილისაგან
განსხვავებით, სრულიად სხვა გრძნობა
გაჩნდა — ყველა გათხოვილი ქალის მო-
წოდება, ყველა გასათხოვარს ქორწი-
ნებისკენ უბიძგოს. ამ შემთხვევაში კი
ამბავს უფრო რომანტიკული ელფერი
დაჰკერავდა: მატარებლით მოგზაურო-
ბა, ქალაქელი ინჟინერი კონტინენტი-
დან და კარგი პროვინციელი გოგონა.

— მარწყვი კიდევ მინდა! — თქვა ნე-
ნემ, რომელიც უკვე თავის როლში შე-
სულიყო.

— აი, ჩემი აიღე! მე არ ვჭამ. — უთ-
ხრა დედამ.

— აბა, არ არის ახლა ეს უზრდელი?
— მიმართა მიჩიკემ ყველა იქ მყოფთ
დასტურის მოლოდინში.

— თავის ჭიქასაც ვერ გაათავებს!
უბრალოდ იმიტომ ლაპარაკობს, რომ,
შენსავით, ამასაც პირი აქვს... — და ის-
ის იყო აპირებდა ქმარი ერთი წუთის
წინ გოგონასა და ინჟინერთან შექმნი-
ლი უხერხულობისთვის გაეკიცხა, რომ

ნენემ ისევ გააწყვეტინა:

— ჩემსასაც შევჭამ, შენსასაც და კი-
დევ ათ, ას ჭიქა მარწყვს შევჭამ!

— ას ჭიქა მარწყვს შევჭამ! — გამოა-
ჯავრა ლულუმ.

— ორასს, ათასს!.. — გაჯიუტდა ნე-
ნე, მაგრამ თავის ულუფას უკვე ძლივს
ათავებდა. ერთი წუთის შემდეგ კი დე-
დამისს გაუწოდა. — დანარჩენს მერე
შევჭამ!

— აბა, აბა! — ჩაიბურდლუნა ლულუმ.

— იცოდე, დედას გიტირებ! — გააფ-
რთხილა ნენემ.

— იმიტომ კი არ ლაპარაკობს, რომ
პირი აქვს, იმიტომ ლაპარაკობს, რომ
გაუზრდელია... მოიცა, მე შენ გასწავ-
ლი ჭკუას, ინტერნატში გიკრავ თავს! —
დაემუქრა მამა.

— პატარა ობლებთან? — მთელი სე-
რიოზულობით იკითხა ნენემ.

— სწორედაც, ობლებთან ერთად!

— შენ თუ ცოცხალი იქნები, მე არ
მიმიღებენ, ჯერ მოკვდი და მერე მეც
წავალ ობლებთან.

მიჩიკემ ხელი კედელზე მოაფათუ-
რა, რკინას ეძებდა და ბოლოს საფერ-
ფლეს მისწვდა. ამ გზით სიკვდილისა-
გან დაცულმა, ჩვეული სიამაყით, ინჟი-
ნერს მიმართა:

— მისი ლოგიკა ხომ გასაგებია? —
მერე კი ნენეს მიუბრუნდა. — თავს ნუ
მოიტყუებ. შენ ისედაც მიგიღებენ, მე
რომც ცოცხალი ვიყო! საკმარისია, ერ-
თი სიტყვა ვუთხრა პადრე ფერაროს. —
და ამ დროს ფეხზე წამოვარდა, რადგან
ზუსტად გამოიცნო, რის თქმას აპირებ-
და ნენე; მისკენ გადაიხარა და მუქარით
უთხრა: — არც კი გაძედო ის თქვა, რის
თქმასაც აპირებდი პადრე ფერაროზე.
ისე მოგცხებ, რომ კიდევ ასი წელი გე-
მახსოვრება!

— არ ვიტყვი, გავიფიქრებ! — თქვა
ნენემ სრულიად მშვიდად.

— მიჩიკემ სახეზე ხელი ნერვიულად
რამდენჯერმე მოისვა, მერე გაეცინა.
ყველა იცინოდა. ამ სიცილში იყვნენ,
როდესაც კონდუქტორიც გამოჩნდა და
ბილეთები მოიკითხა. ბილეთები მის-
ცეს, მერე მიჩიკემ მატარებლის გან-

რიგთან დაკავშირებით რაღაც იყითხა.

- ისევ პადრე ფერაროზე ვფიქრობ!
- გამოაცხადა ნენემ კონდუქტორის გასვლისთანავე.

- ღმერთო, დიდებულო! - შესძახა სინიორამ, მაგრამ მისი მეუღლე, გოგონა და ინუინერი ისე იცინოდნენ, თვალებიდან სულ ცრემლები სდიოდათ.

ასე, ნენეს ანცობის გაცხოველებულ განხილვასა და ლულუსა და ნენეს შორის რამდენჯერმე წამოჭრილი განევ-გამოწევის დაშოშმინებაში ვილასან ჯოვანიმდეც ჩავიდნენ; თავიანთი სამშვიდობო ჩარევების სამახსოვროდ, მიჩიკესა და ინუინერს პერანგები მარწყვის წითელი ლაქებით დასვროდათ. ბოლოს, აღელვებულმა მიჩიკე ყველას შესთავაზა, რომ ბორნის გემბანზე ასულიყვნენ ყავის დასალევად.

- ჩემოდნებს რაღა ვუყოთ? - იყითხა სინიორამ.

- აჲ, ჩემოდნები! - შეფიქრიანდა მიჩიკე და მერე სიცილიელთათვის ჩვეული თვითგვემის სიამოვნებით ინუინერს აუხსნა, რომ სიცილიასთან მიახლოებულებს წესად ჰქონდათ, ჩემოდნები უყურადღებოდ აღარ დაეტოვებინათ; ეს, ჩრდილოეთისაგან განსხვავებით, სულ სხვა მხარე იყო; ჩრდილოეთში, მისი წარმოდგენით, ჩემოდნები ძალებივით დასდევდნენ თავიანთ კანონიერ პატრონებს.

სინიორამ, რომელსაც თავში თავისი გეგმა უტრიალებდა, პრობლემის ასეთი გადაჭრა მოიფიქრა: ჯერ დინა და ინუინერი წასულიყვნენ, ყავა მშვიდად, აუჩქარებლად დაელიათ და მას შემდეგ, რაც დაბრუნდებოდნენ, უკვე თავად ის და მისი მეუღლე ბავშვებთან ერთად წავიდოდნენ ყავის დასალევად.

ბავშვების პროტესტი, რომლებსაც ერთი სული ჰქონდათ, თავად ასულიყვნენ გემბანზე, მშობლებმა მკაცრად ჩაახშეს.

მიჩიკე, სიმართლე რომ ითქვას, ამ შეთავაზებას დიდი ნდობით არ უყურებდა; ერთი მხრივ, პასუხისმგებლობის გრძნობა ტანჯავდა, რომელსაც გოგონას ძმის მიმართ გრძნობდა და, მეორე

მხრივ, სიამოვნებდა. უნდოდა ხელი შეეწყო შექმნილი იდილიისთვის. ბოლოს მაინც ცოლის გადაწყვეტილებამ აჯობა.

ამგვარად, ქალიშვილი და ინუინერი მარტონი აღმოჩნდნენ მესინის ყურეში, რომელსაც უკვე მზის პირველი სხივები აჭერდა. ყავა სწრაფად დალიეს და შემდეგ ჩუმად დასხდნენ პირით მესინისკენ; მათ წინაშე მისი კამკამა და მშვიდი წყლები იშლებოდა.

უძილო ლამის შემდეგ, ზღვაზე სისხამ დილას გამოსულებს, მზის სხივებმა თითქოს აზრები აურიათ; როდესაც ბორანი ამოძრავდა, ქალიშვილმა ინუინერს ისევ ქვევით ჩასვლა შესთავაზა:

- ჩავიდეთ. ბავშვებს, ალბათ, ერთი სული აქვთ, როდის ამოვლენ აქ.

ბავშვებს კი მართლაც ერთი სული ჰქონდათ, როდის ავიდოდნენ ზევით. ლულუ მოუთმენლობისაგან ზუზუნებდა, ხოლო ნენე, მდუმარე პროტესტის ნიშნად, ვაგონის ძირზე იყო გართხმული. მიჩიკემ ის ქალიშვილისა და ინუინრის განსჯას მიანდო:

- აბა, შეხედეთ ერთი! არ არის ნამდვილი გოჭი?! - მაგრამ ნენე ისე გავარდა გარეთ, რომ არავის აღარ უსმენდა. მას ლულუ მიჰყვა და ბოლოს სინიორაც გავიდა.

მიჩიკე უკვე დერეფანში იყო, როდესაც აზრმა გაუელვა, რომ ქალიშვილს მარტო ტოვებდა მამაკაცთან ერთად თითქმის ცარიელ ვაგონში, შემდეგ დაბრუნდა და იმისათვის, რომ დამშვიდებულიყო და სინდისის წინაშეც მართალი ყოფილიყო, გოგონას ჰკითხა, ზევით ხომ არ უნდოდა დაბრუნება, მათთან ერთად. გოგონამ უარი უთხრა. თქვა, რომ ძალიან დალლილი იყო.

- მიჩიკე არ მენდობა. - თქვა ინუინერმა.

- უნდა, რომ სახლში მშვიდობით, სალსალამათი ჩამიყვანოს. - გაელიმა გოგონას.

- იმედი მაქვს, რომ ამას ვერ მოახერხებს, - თქვა ინუინერმა. - იმედი მაქვს, რომ თქვენ... მაგრამ სიტყვებს ვეღარ პოულობდა.

- დიახ! - უთხრა გოგონამ და გა-

წითლდა.

მეტი აღარაფერი უთქვამთ. ასე-
თი დადუმებულები რომ ნახა, დაპრუ-
ნებულ მიჩიკეს ეჭვი გაუჩნდა: ვითომ,
ინუინერი იმდენად კეთილშობოლურად
მოიქცა, რომ დინასთან დალაპარაკებაც
კი არ უცდია მისი არყოფნის დროს? თუ
პირიქით, ისეთი სულმდაბლობა გამოი-
ჩინა, რომ რაღაცის მცდელობა ჰქონ-
და, რაზეც უარი მიიღო. ამ კითხვაზე
პასუხი თვალებისა და ქუთუთოების
უსიტყვო ენით სინიორამ გასცა: იდი-
ლია გრძელება, ყველაფერი წესიერე-
ბის ფარგლებშია, ეს სახეზეც ანერიათ.

მიჩიკე დამშვიდდა. ეჩვენებოდა, რომ
ერთგვარ იდილიას მართლაც ჰქონდა
ადგილი, რაშიც სინიორაც არწმუნებ-
და, თუმცადა იმის დროც მოსულიყო,
გაეგო, ვისთან ჰქონდა საქმე; „ინუინე-
რია, ძალიან კარგი, უცოლოა, კი ბატო-
ნო! ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობს;
ასაკით, ერთი შეხედვით, ოცდათხუთ-
მეტისა თუ იქნება, სიმპათიური, კარგი
ხასიათისა ჩანს...“ მაგრამ ცოტა უფრო
ჩაღრმავება იყო საჭირო.

— თქვენი აქცენტით... ვენეტოდან
ბრძანდებით, არა? — ჰკითხა ინუინერს
და ისიც დაამატა, რომ თავად მაროს-
ტიკაში გაევლო ოფიცირების კურსები.

— ვიჩენციდან გახლავართ. — უპასუ-
ხა ინუინერმა.

— ლამაზი ქალაქია, თანამედროვე! —
თქვა მიჩიკება.

— ვიჩენცა, ვინჩენცა, ვინჩენცინა;
დეიდა ვინჩენცინა. — წაითამაშა სიტ-
ყვებით ლულუმ.

— დეიდა ვინჩენცინას ბისკვიტი! —
თქვა ნენემ და თითებიდან შოკოლადის
ნარჩენები აილოკა.

— თქვენ ვიჩენცაში ცხოვრობთ? —
განაგრძო დაკითხვა მიჩიკემ.

— დიახ, შეიძლება ასე ითქვას, ფორ-
მალურად; იშვიათად მიწევს ხოლმე იქ
ჩასვლა. დედაჩემი და ჩემი და-ძმანი
არიან იქ... დიდი ხანი არ ვიყავი იტა-
ლიაში. ამერიკაში ვცხოვრობდი, მერე
ირანში... ახლა კი სიცილიაზე დავრჩე-
ბი, ჯელაში.

— ნავთობი?

— ნავთობი.

— ანიკი?

— ანიკი.

— მაშ, შეგიძლიათ სიმართლე მით-
ხრათ? მართლა არის ჯელაში ნავთო-
ბი? — მიჩიკემ ხმას ისე დაუწია, თით-
ქმის ჩურჩულებდა.

— რა თქმა უნდა, არის!

— იმიტომ გეკითხებით, რომ ამბობენ,
თითქოს... როგორ ვთქვა, ყველაფერი
შეთხული ამბავია. ისე ცოტა ნავთო-
ბია, რომ ჩიტი ბრდლვნად არ ლირს.

— გასაგიუებელი ამბავია! — თქვა ინ-
უინერმა.

— მეც მაგას არ ვამბობ?! მაგრამ, ხომ
იცით, როგორც ხდება ხოლმე. ხანდახან
ეჭვი შემეპარება, რომ ეს თქვენი მატეი
რაღაცებს იმიტომ აკეთებს, რომ თვალ-
ში ნაცარი შეგვაყაროს... კარგად გამი-
გეთ. გენიოსია, კი ბატონო. ამაზე არც
კი ვდავობთ... თანაც, ჯელაც თუ თაღ-
ლითობაა და ასეთი თაღლითობის და-
გეგმვას მხოლოდ გენიოსი თუ შეძლებს!

— არა, არ არის თაღლითობა, — და-
არწმუნა ინუინერმა.

— თქვენ თუ ასე ამბობთ... — თქვა მი-
ჩიკემ და ორივე ხელი ასწია დანებების
ნიშნად. ნავთობის თემას შეეშვა და იმას
დაუბრუნდა, რაც ყველაზე ძალიან აინ-
ტერესებდა. — თავად ინუინერ ბიანკის.

— ჯელაში დიდი ხნით აპირებთ დარ-
ჩენას?

— ალბათ... ჯელაში თუ არა, მაშინ
სადმე სხვაგან, სიცილიაზე. ტროინაში
ან გალიანოში...

— სიცილია მოგწონთ?

— ვფიქრობ, რომ ძალიან მომეწონე-
ბა. არასოდეს ვყოფილვარ... — თან ქა-
ლიშვილს უყურებდა.

— გესმით?! — მიმართა მიჩიკემ მე-
უღლესა და ქალიშვილს. — ნახევარი
მსოფლიო მოუცვლია და სიცილიას არ
იცნობს! ღმერთო ჩემო, კონტინენტი-
დან ყველანი ასეთები ხართ!

— ისე, სიცილიაზე მოგზაურობა ყო-
ველთვის მინდოდა. — მოიბოდიშასავით
ინუინერმა.

— აბა, რა! აბა, რა! „ის მიწა, სადაც
ხშირ, მწვანე ფოთლებს შორის ოქროს

ფორთოხლები ანათებენ“ – სიმწარენა-რევი ირონიით გაიხსენა ციტატა მას-ნავლებელმა.

– ყოველთვის ასეა ხოლმე! – ჩაერია სინიორა ინჟინრის დასახმარებლად და მეუღლის წყენის მოსალბობად. – ჩვენს გეგმებს წლიდან წლამდე გადავდებთ ხოლმე და ბოლოს ყველაფერი იმით მთავრდება, რომ, რისი ნახვაც ყველაზე ძალიან გვინდა, იმას ვერც კი ვნახულობთ ან, თუ ვნახულობთ, სრულიად შემთხვევით... აი, ჩვენ, მაგალითად, ჯერ არ ვყოფილვართ პიაცა არმერინაში, ქორწილის დღიდან კი გაიძახის ჩემი ქმარი, რომ უნდა ნავიდეთ!

– მართალია! – დაეთანხმა მეუღლე. – მართალია, ყოველთვის ასე ხდება ხოლმე, მაგრამ, როცა მესმის, რომ ვინმე, აი, ინჟინრის ასაკში... – უკაცრავად, რამდენი წლის ბრანდებით? – ცდილობდა მიზნიდან არ გადაეხვია და შეძლებისდაგვარად მეტი ინფორმაცია მოეპოვებინა თანამგზავრზე.

– ოცდათვრამეტის.

– ...რომ ოცდათვრამეტი წლის ასაკში არ იცნობს სიცილიას, ჩემდაუნებურად რაღაც ბრაზი მახრიობს... იმიტომ რომ, ხომ გასაგებია, რომ ზოგადად ვლაპარაკობ... სიცილიას არც იცნობენ, არც იციან რა არის... და თავიანთი ბუმის თუ, რა ჰქვია, ეკონომიკური სასწაულის სიმაღლიდან ამ საცოდავ სიცილიას ისე ექცევიან, ისე ჭრიან და კერავენ, როგორც უნდათ და მოსწონთ... აი, რას გეტყვით, იცით? ბუმი და ჯანდაბა! ამ ბუმს თქვენ ჩვენს ტყავზე აღწევთ, ჩვენ ჩვენსავე ზეთში გვხრაკავთ... მოდით, ამას შევეშვათ!

ლულუმ და ნენემ ომობანა წამოიწყეს. თითქოს ავტომატები ეკავათ და რიგ-რიგობით ერთმანეთს ესროდნენ: ბუმ! ბუმ! ბუმ!

– სეპარატისტი იყო, – თქვა სინიორამ მეუღლეზე მისი გაცხარების მიზეზის ასახსნელად.

– დამოუკიდებლობის მომხრე! – შეუსწორა მეუღლემ. – და ახლაც იმავე აზრზე ვარ!

– ახლა უკვე ნავთობიც გაქვთ! –

უთხრა ინჟინერმა დასამშვიდებლად.

– ნავთობი?.. დამიჯერეთ, მაგასაც ამონუნიან, ბოლომდე ამონუნიან. გახსოვთ, მუსკოს გმირი მარტოლიოს „თავმოკვეთილი წმინდა იოანედან“? წმინდანის გამოსახულების წინ ზეთის ლამპარს რომ ანთებს, მეზობელი კი ამ ზეთს იპარავს. ასე მოვა ვინმე ღვთის-მოსავი ქალი იქნება თუ კაცი და ის ზეთი ამოშრება ლამპარიდან... აი, ასე დამთავრდება ნავთობის ამბავი, დიდი საწრუპავით – მილანიდან პირდაპირ ჯელაში... ასე ამონუნიან. სიცილიის-თვის თავდადებული, მისი ერთგული ხალხი კი... მოდით, უკეთესია, ამაზე საერთოდ ნულარ ვილაპარაკებთ!

– ეს თუ მართლაც ასე ხდება ან მოხდება, არ ჩათვლით, რომ ამაში სიცილიულების ბრალიც არის?

– რა თქმა უნდა! ჩვენ ხომ ასეთები ვართ, იმას ველოდებით, როდის ჩაგვივარდება ხიდან პირში მწიფე ნაყოფი!

– მაპატიეთ, მაგრამ თუ ასეთები ხართ, ვერ ვევდები, რას მოიგებთ დამოუკიდებლობით?

– არა, არ ვართ ასეთები! – ჩაერია ქალიშვილი, – უბრალოდ მოგვწონს, როცა საკუთარ თავზე ასე ცუდად ვფიქრობთ. იმ ავადმყოფივით ვართ, თავის ავადმყოფობაზე ლაპარაკით შვებას რომ პოულობს!

– მართალია! – თქვა მასწავლებელმა, ცოტა ჩამქრალმა, მაგრამ ტაორმინის ზღვას რომ გახედა, მაშინვე გამოცოცხლდა. – რა ზღვაა! სადაა სხვაგან ასეთი ზღვა?!

– ღვინოს ჰეგავს. – თქვა ნენემ.

– ღვინოს? – გამიეორა ცოტა დაბნეულმა მიჩიკემ. – არ ვიცი რა, როგორ ხედავს ეს ბავშვი ფერებს, თითქოს მათი გარჩევა საერთოდ არ იცოდეს! თქვენი აზრით ეს ზღვა ღვინის ფერია?

– არ ვიცი, მაგრამ მეჩვენება, რომ რაღაც მოწითალო ელფერი კი დაპკრავს. – თქვა ქალიშვილმა.

– მე გამიგია და სადღაც წამიკითხავს კიდეც – ღვინის ფერი ზღვა! – თქვა ინჟინერმა.

– შეიძლება რომელიმე პოეტმა კი-

დევაც დაწერა ასე, მაგრამ მე, პირა-
დად, ზღვაში ღვინის ფერი არასოდეს
დამინახავს. – თქვა მიჩიკემ. მერე ნე-
ნეს მიუბრუნდა:

– ხედავ? აი აქ, კლდეებთან ახლოს,
ზღვა მწვანეა, უფრო შორს კი ლურჯი,
მუქი ლურჯი.

– მე კი მგონია, რომ ღვინისფერია!

– თქვა თავდაჯერებით ნენემ.

– ნამდვილად დალტონიკია! – განა-
ჩენი გამოუტანა მამამისმა.

– რას ამბობ! რა დალტონიკი! – შეე-
პასუხა სინიორა. – უბრალოდ, ჯიუტია!

მერე თავადაც შეეცადა ნენეს დარ-
წმუნებას, რომ ზღვა მწვანე და ლურჯია.

– ღვინოა! – თქვა ნენემ.

– ხედავთ, რა ჯიუტია? ახლა უკვე
იმას ამტკიცებს, რომ ღვინოაო!

– ერთი წუთით, – თქვა მიჩიკემ და
ზედა თაროდან თავისი ჰალსტუხი ჩა-
მოილო. მწვანე იყო, შავი ზოლები დას-
დევდა. ნენეს აჩვენა და ჰქითხა: – აბა,
რა ფერებია ამ ჰალსტუხზე?

– ღვინისფერი! – არ თმობდა ნენე
და ეშმაკურად იღიმებოდა.

მასწავლებელმა ჰალსტუხი ჰაერში
მოისროლა.

– თავი დაანებე! ასე აჯობებს, ჯიუ-
ტია! – თქვა სინიორამ.

– შეიძლება, მართლაც დალტონი-
კია. – თქვა მისმა მეუღლემ, მაგრამ
მის ხმაში ეჭვი იპარებოდა.

„ღვინისფერი ზღვა – საიდან ვიცი?“
– ეკითხებოდა საკუთარ თავს ინუინე-
რი. „ზღვა არ არის ღვინისფერი, მას-
წავლებელი მართალია, თუმცა, შეიძ-
ლება, ძალიან ადრე, გარიურაჟის პირ-
ველ სხივებზე ან მზის ჩასვლისას... ამ
დროს კი არა! და მაიც, ნენემ რაღაც
ნაღდი დაიჭირა, შეიძლება ის ეფექტი,
თრობის მსგავსი, რასაც ასეთი ზღვა
ახდენს; არ გათრობს, შენს ფიქრებს
ისე ეპატრონება, ჩაგაფიქრებს, მივიწ-
ყებულ სიბრძნეს წამოგიტივტივებს.
პლატონის დიალოგებში უნდა იყოს,
მგონი, ედუარდო დე ფილიპო კითხუ-
ლობდა ნეაპოლურ დიალექტზე... ჩვენ
კი სიცილიაზე ვართ. ეს კი, ალბათ,
სულ სხვა რამაა“.

მატარებელი ულამაზესი ზღვის გას-
წვრივ მიქროდა. ასეთი ზღვა არ ენახა
ინუინერს, ხანდახან მატარებელი ისე
გადაიხრებოდა ხოლმე, თითქოს თვით-
მფრინავში ისხდნენ, აფრენის დროს და
მაშინ თითქოს ფრენის სიმაღლიდან ხე-
დავდა დახრილ პეიზაჟს.

– აბა? ლამაზია თუ არა? – ჰკითხა
მასწავლებელმა, რომელიც ყოველთვის
ორ უკიდურესობას უპირისპირებდა
ხოლმე ერთმანეთს, თან ხელით სანა-
პიროსა და აჩის მახლობლად ზღვისკენ
ისე იშვერდა ხელს, თითქოს მისი ნახატი
იყო, რომელიც ეს-ესაა დაესრულებინა.

– ულამაზესია! – დაეთანხმა ყვე-
ლა, ნენეს გარდა, რომელიც იმით იყო
დაკავებული, რომ ადგილების საზურ-
გიდან თავის მისადები თეთრი შალითე-
ბის სამაგრებს აძრობდა.

– ნიზიმაც ზღვაზეა? – იკითხა ინ-
უინერმა.

– ეჲ, არა! – თქვა ნაღვლიანად მას-
წავლებელმა. – შიგა სიცილიაა, გამომ-
შრალი სიცილია. მაგრამ, იმასაც თა-
ვისი სილამაზე აქვს. ასეთი არა, სუნ-
თქვას რომ შეგიკრავს... ის სილამაზე
ნელა გეპარება, განსაკუთრებით კი მა-
შინ, როდესაც მისგან შორს ხარ, შენს
მოგონებებში... აქაურობა რომ ლამა-
ზია, ამას თქმაც არ უნდა, ამ სილამა-
ზით უტვინოც მაშინვე მოიხიბლება...
ნიზიმა სულ სხვაა, იქ დროა საჭირო,
ჭკუაც... მოკლედ სულ სხვა რამაა!

– იქ მაფია არის? – ჰკითხა ინუი-
ნერმა.

– მაფია? – გაიკვირვა მასწავლე-
ბელმა ისე, თითქოს ის ჰკითხეს, მის
სამშობლოში პოლენტას თუ შეექცე-
ოდნენ და გრაპასაც აყოლებდნენ.

– რა მაფია?! სისულელებია.

– ესეც? – ჰკითხა ინუინერმა და ნი-
ნა დღის გაზეთში ოთხსვეტიანი სტატი-
ის სათაური აჩვენა – „მაფიას არ უნდა
კაშხლის მშენებლობა“.

– სისულელეა! – ისევ მოკლედ მო-
უჭრა მიჩიკემ.

„განათლებული კაცი, თავაზიანი,
ოჯახის მამა და მაფიაზე ლაპარაკიც არ
უნდა. უკვირს კიდეც, მაფიაზე თუ იტ-

ყვი რამეს... თითქოს ამ თემაზე ლაპარაკით მას გარკვეულ მნიშვნელობას ანიჭებდე. ახლა უკეთ მესმის, რომ მაფია მართლაც აქაურობის უბედურებაა".

კატანის სადგურში იყვნენ.

- კატანი! - გამოაცხადა მასწავლებელმა, - ეს კი უკვე მატარებლისთვის სამარეა, ამას იქით ველარც დავიძრებით.

- ჩავალ, ფეხის გაშლა მინდა! - თქვა ნენემ.

- ახლა ამ ვაგონს სხვა ლიანდაგზე გადაიყვანენ, ჩასვლა არ შეიძლება. - უთხრა მამამ.

- გრანიტა მინდა, გრანიტა და ბრიოში! - თქვა ნენემ

- მეც მინდა, გრანიტა და ბრიოში! - გამოეპასუხა ლულუ.

მიღეს გრანიტა, ორცხობილა და ბრიოში.

- ეს რა გრანიტა? - იკითხა ნენემ. ეტყობოდა, არ ესიამოვნა, თუმცა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ბოლო, დამდნარი ყლუპი გადაყლაპა და ნახევარი სამოსზე ჩამოიდინა;

- გრანიტა ის არის, დონ პასკუალინოს რომ აქვს. როგორც კი ნიზიმაში ჩავალთ, ერთ მთლიან თასს გამოვართმევ.

- ეს ჯობია დონ პასკუალინოს გრანიტას! - შეეპასუხა ლულუ გაბზარული ხმით, მხოლოდ იმიტომ, რომ შენინააღმდეგებოდა.

- შენ არაფერი არ გესმის. ამაში წყალია, პანანინა ლიმონი და შაქარი, დონ პასკუალინოს გრანიტაში კი ლიმონიცაა და კვერცხის ცილაც. - აუხსნა ნენემ კარგი მცოდნესავით.

- ყველაფერი იცის! - თქვა დედამისმა. - ცნობისმოყვარეა, ყველაფერი აინტერესებს, სულ რაღაცას გეკითხება...

- მე არ ვარ ცნობისმოყვარე. ცნობისმოყვარე დეიდა ტერეზინაა!

- ცუდად ლაპარაკობ დეიდა ტერეზინაზე! - გააჩერა მამამისმა.

- შენ არ ამბობ ყოველთვის ცნობისმოყვარეა ეს ბებერი კუდიანიო?!

დამარცხებული მიჩიკე ნენეს ძლიერი სიღის განვნით დაემუქრა, თუმცა ნენეზე ამას არ უმოქმედია და ორ თა-

ნამგზავრს, რომლებმაც არ იცოდნენ, თუ ვინ იყო დეიდა ტერეზინა, აუხსნა:

- დეიდა ტერეზინა მდიდარია. თავის მიწებს ჩვენ დაგვიტოვებს, მაგრამ მე მისი მიწები სულ ფეხ...

აქ კი დედამისის ხელი მართლაც მოეწია.

- თავის მიწებს დეიდა ტერეზინა მე დამიტოვებს! - თქვა ლულუმ.

- აბა, მორჩით! - ხმას აუნია მიჩიკემ.

- დეიდა ტერეზინა პარიკიანია. დეიდა ტერეზინას ცალი თვალი გაურბის...

- წალილინა ნენემ.

- უსირცხვილო ხარ! - უთხრა დედამ.

- დეიდა ტერეზინა ბლითებს აღარ მოგცემს! - უთხრა ლულუმ.

- ობიანი ბლითები. გახსენებაზეც კი გული მერევა! - მიუგო ნენემ და ისე ზედმიწევნით ზუსტად განასახიერა გულისრევა, რომ მეორე სილაც დაიმსახურა.

ნენე ქალიშვილმა დასამშვიდებლად დერეფანში გასავლელად გაიხმო. ისიც მაშინვე დაჰყვა. - აქედან წასვლა სჯობს, აქ ხომ ჭკვიანურს ვერაფერს გაიგებ!.. - მაგრამ ერთი წუთის შემდეგ უკვე მარტო შემოვარდა კუპეში. მორბოდა და თან უკან იხედებოდა, თითქოს ვიღაც მოსდევდა; თავის ადგილზე დაჯდა და სახეზე გაშლილი გაზეთი აიფარა, თითქოს კითხულობსო, ოღონდ გაზეთი ამოტრიალებული ეკავა. კუპეს კარებში პოლიციის უფროსი აღიმართა - მსუქანი, უზარმაზარი, მოქუფრული სახით, რომელიც სიცხისა და წვეთებად ჩამოსული ოფლისაგან კიდევ უფრო მოღუშვოდა. ნენე მას გაზეთს ზემოდან აკვირდებოდა. პოლიციის უფროსმა დააზუსტა, ნამდვილად აგრიჯენტოს ვაგონში თუ იმყოფებოდა, შემდეგ მადლობა გადაიხადა და გზა განაგრძო. ნენემ გაზეთი ძირს ფარდასავით დაუშვა; ლულუმ სიცილი დააყარა, ყველას ეცინებოდა. შეურაცხყოფილი და ბრაზმორეული ნენე ატირდა, ლულუს უქბინა, მერე ხელებზე იკბინა და წიხლებიც ისროლა ჰაერში, მერე კი ნელ-ნელა, სლოკინში ჩაეძინა.

ამის შემდეგ საუბარი ბავშვების აღზრდაზე გადავიდა და კონკრეტულად ისეთი ბავშვებისა, რომორიც ნენე იყო. დედ-მამა თვლიდნენ, რომ ნენე უზრდელი ბავშვი იყო და ამაში, თავიანთი დანაშაულის გარდა, სამხრეთელი საზოგადოების დანაშაულსაც ხედავდნენ; კონტინენტზე ბავშვები უფრო მკაცრად იზრდებოდნენ და უფრო აღზრდილნიც იყვნენ. ქალიშვილსა და ინუინერს კი მიაჩნდათ, რომ ნენე, მიუხედავად მისი უწმანური ენისა და უხეში ქცევისა, ეჭვგარეშე, ცოცხალი, სხარტი აზროვნებისა და კეთილშობილი ზნის ბავშვი იყო. სინიორა და მისი მეუღლე კი თავისას არ იშლიდნენ, თუმცა მათი მხრიდან ეს უფრო კეკლუცობას წააგავდა; მათი მოზღვავებული სითბო მძინარე ნენეს სიყვარულის ტალღებზე არწევდა.

ამასობაში მატარებელი მზით გაჩახჩახებულ, უდაბურ პეიზაჟს კვეთდა; უფროსები ჩაძინებულ ბავშვს ირგვლივ თავიანთი კეთილი სურვილებით პრეზეპეს პერსონაჟებივით ეხვივნენ, იმ რწმენით, რომელიც თავად გააჩნდათ ცხოვრების მიმართ, იმ რწმენით, რომ ამ შემთხვევითი მოგზაურობის დასრულების შემდეგ მეგობრობა და სიყვარული სამუდამოდ გაგრძელდებოდა; ინუინერი ფიქრობდა, რომ ბოლოს და ბოლოს ცხოვრების არსი შეიცნო და, სანამ ერთმანეთს დაშორდებოდნენ, რაღაც გადამწყვეტი უნდა ეთქვა იმ მშვიდი და ფაქიზი, ნაკლებ მოლაპარაკე, მაგრამ ძალიან მგრძნობიარე გოგონასათვის. „პატარა ბიჭი აღარ ხარ“, – გაიფიქრა, როდესაც თავისი ჩემოდნების ჩამოლება დაიწყო; გაიფიქრა, რომ

ყველაფერს თავის დრო აქვს და რომ პირველსავე თავისუფალ დღეს ნიზიმას მოინახულებდა.

ერთმანეთს დიდხანს ემშვიდობებოდნენ, მატარებლიდან ჩასვლამდე და მატარებლიდან ჩასვლის შემდეგაც, კანიკატის სადგურის წინ, სადაც ავტობუსი კამპობელო-ლიკატა-ჯელა უკვე იცდიდა. ყველა აღელვებული იყო, ლულუს გარდა, რომელიც ყველაფერს აკეთებდა, რომ ქალიშვილის ყურადღება სხვა რამეზე გადაეტანა. ნენემ ინუინერი თავიანთან, ნიზიმაში დაპატიჟა, დონ პასკუალინოს გრანიტაც აღუთქვა და იმასაც შეჰპირდა, საღამოს იმ ცნობილ კლუბში წაგიყვანთო. ინუინერი ქალიშვილს უყურებდა და თან ნენეს პირობას აძლევდა, რომ მათ მოსანახულებლად მალე ჩავიდოდა. ბოლოს ნენე ინუინერს მოეხვია, მანაც თავისი სავიზიტო ბარათი გაუწოდა.

ავტობუსში ინუინერი ფანჯარასთან ისე დაჯდა, რომ თანამგზავრებისთვის თვალი არ მოუცილებია; მთელი ჩემოდნებისა და ჩანთების გროვა სადგურის გასასვლელისკენ დაიძრა. სანამ გაუჩინარდებოდნენ, ქალიშვილმა ერთხელ კიდევ მოხედა. „ნიზიმაში ორშაბათს წავალ!“ – გაიფიქრა ინუინერმა.

ამასობაში ავტობუსი დაიძრა და მისი გრძნობები, მისი სევდა და მისი სიყვარული – ყველაფერი ძილბურანში ჩაიძირა. ბოლოს იმის სახე წამოუტივტივდა, ვინც ეს მოგზაურობა ურჩია, ეს მატარებელი – მისი ცინიკურად კმაყოფილი სახე... მერე ეს წარმოსახვაც ჩაქრა: „ოჲ, რა მოგზაურობა იყო, ღმერთო ჩემო!“

იტალიურიდან თარგმნა
მაია ჭავახაძეგ